

# საბავშვო ლიტერატურა

1975 4



4/1975

# საბჭოთავ ხელმოწერა

## შინაარსი

რომან შენგელია — ღვინი და გორაი . . . . .	2
შენგელის განთავისუფლების 30 წლისთავი . . . . .	12
შოთა ნოზაძე — საქართველოს ხელშეწყობის მოღვაწე დიდ საბავშვო ოცში . . . . .	13
კორა წერეთელი — სოფიკო ვიუაჩელი . . . . .	20
კარლო გოგოძე — „ვიწიბი იასავნის ქუჩიდან“ . . . . .	25
ოდო ანთაძე — ბაბაი ხორავა — შემოკმედი და საჯარო მოღვაწე . . . . .	30
კიტი შაჩაბელი — ღურამ ბაბაშვილი . . . . .	33
მერაბ კოსტავა — „ლაღატი“ . . . . .	40
ბაჩანა ბრეგვაძე — მიქაელანჯელოს კოეზი . . . . .	48
ავთანდილ თათარაძე — ნები ქურაფლია პართულ ხალხურ კომიოგრაფიას . . . . .	70
ვასილ კენაძე — წიგნი სამთატრო კრიტიკის შესახებ . . . . .	76
ვალერიან მაღრაძე — მისწერი სუფრულუბის კომეტური ტექსტები . . . . .	78
გია დავითაშვილი, დემურ ელოშვილი — იროვნულ თავისებურებათა შესახებ არტიტიკურულ- ლიტერატურულ შემოკმედეგებაში . . . . .	82
ღისუწინა, თეატრი და მკაურებალი ჭანსულ ლეონტილია — უფრო ახლოს საკამათო საბანთან . . . . .	90
გივი ბარამიძე — წიგნი ბავთრინულ მსახიოგზე . . . . .	98
ვან გოგის წერილები . . . . .	102
შოთა რამიშვილი — პირველი პართველი არწიხტი . . . . .	113
ქრწინიკა . . . . .	115

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
ყოველთვიური შურნალი

**თეატრი  
მუსიკა  
მსახტროგა  
კინო  
არტიტიკურა  
თორეოგრაფია**

მთავარი რედაქტორი —  
თეაგა ბილახი  
სარედაქციო კომეგია:  
ბაბაი ბაქრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
გივი ბოჯგვა  
(გასუხისმგებელი მღიგანი),  
ნოღარ გებუწია,  
ვასილ კიქნახე,  
ნოღარ მგალოგლიწიგნი,  
ჯურაბ ნიქარაძე,  
გივი თრჯონიწიგნი,  
ნათელა ურუწაძე,  
რევაგ ჩხიძე,  
ანტონ ვულუწიგნი,  
ნიკო ვამეზაძე,  
ნოღარ ჯანგარიძე.

# ლენინი

და

# გორკი


რომან შენგელია

ლენინი და გორკი თითქმის ერთდროულად გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. 1895 წელს ლენინი პეტერბურგში აყალიბებს „მუშათა კლასის განთავსულებისათვის ბრძოლის კავშირს“, იმ დიადი პარტიის წინამორბედს, რომელსაც კაცობრიობის ახალი ერის დაწვევა ხვდა წილად. იმავე წელს ქალაქ სამარის ადგილობრივ გაზეთში გორკი აქვეყნებს „შევარდნის სიმღერას“, რომლის პათოსია არსებული წყობილებიდან და შერევიანობა და შეუდრეკელი ბრძოლისკენ მოწოდება.

ლენინის გენიალობა ისაა, რომ მან ჩამორჩენილ, ნახევრად მიძინებულ რუსეთში მუშათა კლასის სახით დაინახა ძალა, რომელიც იხსნიდა კაცობრიობას და ისტორიის უღმობელ განაჩენს გამოიტანდა.

გორკის, როგორც მხატვრის, ძალა და მომხიბვლელობაც ხომ რუსეთის მივლემარე ძალის, უკუღმართი საზოგადოებრივი ყოფის გამო დაბეჭავებული რუსი ადამიანის, მაღალპუმანური და უკეთესი შიშაღმართის თავგანწირული მებრძოლის ხილვასა და გამოსატკავში მდგომარეობს.

ძნელად თუ მოიძებნება მწერალი, რომელიც ისე ახლოს იცნობდეს ცხოვრებისაგან გათვლილი, დაწარული, ხელმოცარული, გზასაცდენილი კაცის შინაგან ცხოვრებას, როგორც გორკი. მისი ცხოვრება ნიმუშია რუსი კაცის ცხოვრების ბატონყმობის გადავარდნიდან ოქტომბრის რევოლუციამდე. გორკიმ მთელი ძალით შეიგრძნო დაწარული რუსი ადამიანის გასაჭირიცა და მომავალიც; მისი პერსონაჟები მუდამ დამაჯერებლად მოქმედებდნენ.



უ. ჯაფარიძე.

ვ. ი. ლენინის პორტრეტი.

XX საუკუნის დასაწყისიდან, როცა გორკი უკვე სახელმწიფო მწერალია, იწყება ლენინისა და გორკის შემოქმედებითი და იდეური სიახლოვე. 1900 წელს გა-  
ნოვიდა ლენინური „ისკრა“. ახლოვდებოდა დიდი ქარიშხალი და გორკი მის მათუყებ-

ლად მოგვევლინა. ლენინური „ისკრა“ იწყებს ახალი, ნამდვილად რევოლუციური პარტიის საძირკვლის ჩაყრას. გორკის „სიმღერა ქარიშხალზე“ კი მხოლოდ ბუნებრივი რევოლუციის მანიფესტად იქცა. წერილი „ქარიშხლის წინ“ ლენინი უკვე იყენებს გორკის „სიმღერას“, რომელსაც კარგად იცნობდა რევოლუციურად განწყობილი საზოგადოება.

1902 წლის 18 დეკემბერს პირველად დაიდა გორკის პიესა „ფსკერზე“, რომელმაც განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა. ადამიანის უზადრუბობის, სასოწარკვეთილებისა და უფლებობის უკიდურესი მდგომარეობა პიესაში დაპირისპირებულია სამართლიანობის დაცვასთან. „ძველი საზოგადოება, — წერდა ლენინი — დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავ შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა“. პიესაში „ფსკერზე“ გორკი ამხელს იმ წესწყობილების ყველა ურთიერთობას, რომელიც არსებობს იქ, მაღლა, ზედაპირზე, სადაც ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავ შენ.

სტენაზე გამოჩენისთანავე პიესამ „ფსკერზე“ პირველი ადგილი დაიკავა რუსული ლიტერატურის იმ ნაწარმოებთა შორის, რომელთაც საზოგადოებაზე რევოლუციური ზემოქმედებით ხელი შეუწყვეს ქარიშხლის მომზადებას.

1902 წლიდან გორკი მჭიდროდ უკავშირდება რევოლუციურ სოციალ-დემოკრატებს, რომლის ორგანოს — „ისკრას“ ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა.

900-იანი წლებიდან გორკიმ შესანიშნავად გაიგო ლენინის, როგორც პოლიტიკური ბელადის მნიშვნელობა.

1905 წლის შემოდგომაზე გორკის მეშვეობითა და მატერიალური დახმარებით დაარსდა ბოლშევიკების პირველი ლეგალური გაზეთი „ნოვიაა ვიხნი“. მისი პირველი ნომერი 27 ოქტომბერს გამოვიდა. ლენინის ემიგრაციიდან პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ, ნოემბრიდან, გაზეთი მისი უშუალო ხელმძღვანელობით გამოდიოდა. სოციალისტური იდეები არასოდეს გატყვევებულა ისეთი სისწრაფით, — წერდა ფრანგული გაზეთი „იუმანიტე“ — როგორც ეს ახლა რუსეთში ხდება. „ნოვიაა ვიხნი“ „იუმანიტე“ ლენინისა და გორკის გაზეთს უწოდებდა.

„ნოვიაა ვიხნი“ ლენინის სხვა ნაშრომებთან ერთად დაიბეჭდა დიდი პოლიტიკური და თეორიული მნიშვნელობის წერილი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“.

რევოლუციის აღმავლობის პერიოდში, როცა ადამიანთა მთელი ძალა და ენერჯია მიმართული იყო კაცობრიობის სანუკვარი ოცნების, თავისუფლების მოპოვებისათვის საბრძოლველად, განსაკუთრებით საზიანო იყო ყოველგვარი ცუდა მხატვრული შემოქმედების იზოლაცია. ამ ძნელი საქმის მოგვარებას ადამიანთა მთელი ფიზიკური და სულიერი ძალა სჭირდებოდა. ამ დროს უპარტიობისა და ზეკლასობრიობის ქადაგება ცუდად დაფარული ღალატი იყო.

ყოველი ხელოვნება პარტიულია. უპარტიობა, ზეკლასობრიობა ისტორიაში ფანტაზიაა, — ამბობდა ლენინი. ყოველი ხელოვნება ამა თუ იმ კლასის ინტერესს გამოხატავს. ხელოვნებაში უპარტიობის მოთხოვნა სწორედ პარტიული პოზიციაა. ამიტომაც შესანიშნავად წერდა ლენინი, რომ „უპარტიობის“ ლოზუნგი არის ბურჟუაზიული ლოზუნგი, იგი შირმაა რეაქციულ ხელოვნებაში ბურჟუაზიული იდეების დასაფარავად, იგი მიმართულია იმ მხატვრების წინააღმდეგ, რომლებიც აშკარად დგებიან პროლეტარიატის პოზიციაზე.

„ბატონო ბურჟუაზიულო ინდივიდუალისტებო, — წერდა ლენინი აღნიშნულ წერილში, — უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სიტყვები აბსოლუტურ თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები გალატაკებულნი არიან და ერთი მუჭა მდიდრები მუქთახრობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი „თავისუფლება“. განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო?.. არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო...“

1 ვ. ი. ლენინი, ოხზულებანი, ტ. 31, გვ. 352.



და ჩვენ, სოციალისტები, ვამხელთ ამ ფარისევლობას. ვგეჯთ ყალბ აბრებს, არა იმიტომ, რომ ხელში შეგვრჩეს არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება (შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში), არამედ იმიტომ, რომ ფარისევლურად თავისუფალ, ნამდვილად კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დაუპირისპირით ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურაა.<sup>2</sup>

ლენინური პარტიულობის პრინციპით არის გაკვლილი ამავე გაზეთში დაბეჭდილი გორკის წერილი „შენიშვნები მემჩანობის შესახებ“. გორკი პროლეტარული ჰორდაპირობით აშკარაა და მემჩანობას — განსაკუთრებულ სულიერ წყობას, რომელსაც აქწინდა და ზრდიდა მესაკუთრული, ბურჟუაზიული საზოგადოება: „მე ვინცოთ ცხოვრების ამათუე უფრო ბოროტ მტრებს. მათ უნდათ, რომ შეიარაღებულ მწვალებელი და წვალებული, უნდათ თავი გაიმართლონ მწვალებლებთან თავიანთი სიახლოებისა და ქვეყნის ტანჯვისადმი გულცივიობისათვის. ისინი წვალებულებს ასწავლიდნენ მოთმენას და შთაგონებდნენ წინააღმდეგობა არ გაუწიონ ძალადობას, განუწყვეტილად ეძიებდნენ დასაბუთებას, რომ შეუძლებელია მოედარა და ღარიბის შორის ურთიერთობის არსებული წესის შეცვლა. ხალხს ზეცაში პირდებინა შრომისა და ტანჯვის გასამარჯლოს, ტკბებინა მისი აუტანელი ცხოვრებით დედამიწაზე და წურღვასავით სწოვენ სიცოცხლის ძალას. მათი დიდი ნაწილი აშკარად ემსახურება ძალადობას, მცირე ნაწილი კი — არაპირდაპირ — მოთმენის, შთანხმების, პატივების, გამართლების ქადაგებით“.

მოსკოვის აჯანყების ორგანიზების დროს გორკი სასტიკად ილაშქრებდა მერყევი ელემენტების, საკატაკოსების წინააღმდეგ, რომელნიც თავიანთი ცრუფილოსოფიით მანჭვა-გრეხით ცდილობდნენ გაემართლებინათ საკუთარი ტყავის გაფრთხილების მიმართული პოლიტიკა.

ჟურნალ „ადსკაია პორტაში“ გორკიმ მოათავსა პატარა მოთხრობა „ბრძენი“. „ადამიანი! — თქვა ბრძენმა და ღლიბიერად ჩაიცინა, — ცთომილება აქვია შენს სიტყვებს. შეზღუდულია ადამიანთა შეგნება, და არ ეცოდინებათ მათ იმაზე მეტი, ვიდრე შეუძლიათ. და შენთვის სულ ერთი არ არის, როგორ დაიღუპები, — შივირი თუ ყვლამდე მაძლარი, იმათ მსგავსად, რომელთაც შენი სიბრძნის ასე სუსტი გესლით შხამავ? და სულ ერთი არაა განა, უმეცარი ჩაწვები კუბოში თუ შენს მუეფათა საკლავი ცოდნის სუდარას გადაიფარებ? იფიქრე, — დედამიწაზე ყველაფერი და თვით დედამიწაც დაიწყების შვე უფსკრულში, სიკვდილის უძირო მორევში გადაიარგება...“

მუშები მღუმარედ უცქერდნენ მას თვალებში და უმძროოდ ისმენდნენ ბრძულ სიტყვას, და რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა იგი, მით უფრო მკაცრი სიცივე იპყრობდა მათ სახეებს. შემდეგ ერთმა მათგანმა ამხანაგს უთხრა:

— მათ, მე ხელი მტყავა, — მოდი, ერთი ჩასცხე კისერში ამ ბებერ მაიმუნს... ეს იყო და ეს.

... დიახ, მართალია, მე გეთანხმებით, რომ ცოტა უხეშია ეს მუშა ხალხი, მაგრამ ამაში განა მათ უდევთ ბრალი? მათთვის ხომ არავის არასოდეს უსწავლებია ქვეყის წესები“.

პროლეტარიატის დამოკიდებულების დედარსი ბურჟუაზიულ ფილოსოფიასთან, რომელიც ცდილობს მუშათა კლასი ააცდინოს თავის უშუალო ამოცანებს, შესანიშნავად არის გადმოცემული მოთხრობაში.

პეტერბურგის ყოველკვირეულ გაზეთ „მოლოდაია როსიაში“, სადაც დაიბეჭდა ლენინის „მუშათა პარტია და მისი ამოცანები თანამედროვე ვითარებაში“, გორკი აქვეყნებს წერილს „მოსკოვის ამბების გამო“. წერილში აღნუსხულია, რაც ავტორმა მოსკოვის ქუჩებში ნახა და მოთხრობილია ობიექტულზე, რომელიც მუშას დაჰყვება და მის თვალწინ „რევოლუციონერდება“.

მოსკოვში მომხდარი ამბების შემდეგ ლენინი თავის წერილში წერდა: „მოსკოვის ციმირა პროლეტარიატმა გვიჩვენა აქტიური ბრძოლის შესაძლებლობა და ამ ბრძოლაში ქალაქის მოსახლეობის ისეთი ფენების მასა ჩააბა, რომელნიც აქამდე თუ რეპუციონერებად არა, პოლიტიკურად გულგრილ ფენებად მაინც ითვლებოდნენ. მოსკოვი

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 39-40.



კი იყო ამ „მდინარეების“ მხოლოდ ერთ-ერთი უარესად რელიეფური გამოსატყულება, რომელმაც რუსეთის ყველა კუთხეში გადამოსქიქა<sup>3</sup>.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ დაიწერა გორკის ერთ-ერთი შესანიშნავი რომანი „დედა“, რომელშიც ფართოდ არის გამოყენებული დეტალები მუშათა რევოლუციური მოძრაობიდან. მაგალითად, პავლე ვლასოვის პირველსახეა მუშა ზალიმოვი — ერთ-ერთი პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი; ნილოვანს პორტოტიპი — ზალიმოვის დედა, რომელიც იმავე ორგანიზაციაში მუშაობდა, არაფერაღიერი ლიტერატურა დაქონდა მუშებთან და მთელ რიგ პარტიულ დავალებებს ასრულებდა.

რომანში აღწერილ დემონსტრაციას საფუძვლად დაედო 1902 წლის ცნობილი საპირველმართო დემონსტრაცია. მაგრამ რეალური პირები და მოვლენები გამოყენებულია მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების ქარგად. გორკის რომანს მსოფლიო პრობაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა.

წერილში „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ“ ლენინი წერდა: „ჩვენ ვამაყობთ იმით..., რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია... ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძობით, რადგან ველიკორუსმა ერმა... დამატკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები...“<sup>4</sup>.

რუსი ხალხის შემოქმედებითი ძალების სიამაყის ეს გრძობა განსახიერებელი იყო გორკის რომანის მხატვრულ სახეებშიც.

როცა ლენინი 1909 წელს წერდა, რომ გორკი „თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით მტკიცედ დაუკავშირდა რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს“, ცხადია, მას პირველ რიგში მხედველობაში ჰქონდა რომანი „დედა“, რომელიც იმ ხანებში გამოვიდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხებამ ბევრ მის მონაწილეს გაუტეხა გული. ბევრმა მწერალმა უღალატა დემოკრატიულ პრინციპებს. გორკი მგზნებარედ იბძოდა ამ მწერლების წინააღმდეგ.

პარტიის მეხუთე ყრილობას, რომელიც 1907 წელს გაიმართა ლონდონში, გორკი ესწრებოდა როგორც ბოლშევიკი-დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. აქ ლენინი და გორკი უფრო ახლოს გაეცნენ ერთმანეთს. გორკი თავის მოგონებებში ლენინზე დიდ ადგილს უთმობს ლონდონის ყრილობაზე ლენინთან შეხვედრას. ყრილობის სხვა გამოჩენილი მონაწილეების მოგონების ფონზე მწერალი შესანიშნავად გადმოგვცემს ლენინის უბრალოებას, თვისებას, რომელსაც განსაკუთრებით აფასებდა გორკი ადამიანებში.

„როცა მე ვ. გ. პლენანოვთან „მიმიყვანეს“, — იგონებს გორკი, — ის გულზელ-დაკრეფილი იდგა და კუსტად, მოწყენილად გამოიყურებოდა, ისე როგორც თავისი მოვალეობით დადლილი მასწავლებელი შეუყურებს კიდევ ერთ ახალ მოწაფეს. მან მითხრა მეტად ჩვეულებრივი ფრაზა: „მე თქვენს ნიჭის თავყანისმცემელი ვარ“. ამის მეტი მას ისეთი არაფერი უთქვამს, რაც ჩემს მესხიერებაში აღბეჭდილიყო“<sup>5</sup>. სულ სხვაგვარი იყო შეხვედრა ლენინთან.

„ცოცხალი მოძრაობით მომიახლოვდა ვლადიმერ ილიჩი, — წერს გორკი, — და დიმილით მიხიხრა: „თქვენ ჩხუბი გიყვართ, აქ გვარიან ჩხუბს ნახათ“<sup>6</sup>. გორკი ჯერ იგონებს სხვა დელეგატების გამოსვლას, მათ მედიდურ თუ მქუხარე სიტყვებს. სხვათა შორის, გარდა ლენინისა, გორკიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როზა ლუქსემბურგის გამოსვლამ, მისმა მოხდენილმა და ლაკონიურმა შენიშვნებმა. სწორედ ლონდონის ყრილობაზე უთხრა ლუქსემბურგმა მენშევიკებს: „თქვენ კი არ დგახართ, ქვეხართ მარქსიზმის პოზიციებზე“ და ბოლოს, სიტყვას იღებს ვლადიმერ ილიას ძე — „ვლადიმერ ილიჩი აჩქარებით ავიდა კათედრაზე და ღღინით გამოთქვა სიტყვა „ამხანაგებო“. მე მომჩვენდა, რომ მას ლაპარაკი არ ეხერხებოდა, მაგრამ ერთი წუთიც არ იყო გასულა და მე, ისე როგორც ყველა იქ მყოფი, გატაცებით უსმენდი მის სიტყვას. პირველად მესმოდა, რომ თურმე ურთულეს საკითხებზეც შეიძლება ილაპარაკო ასე უბრალოდ...“

<sup>3</sup> იქვე, გვ. 97.

<sup>4</sup> ვ. ი. ლენინი, ოხზულებანი, ტ. 21, გვ. 111-112.

<sup>5</sup> ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ, გვ. 604.

<sup>6</sup> მ. გორკი, ლენინის შესახებ, გვ. 4.



მისი წინგაწეული და ოდნავ მაღლა აწეული ხელი, მისი ხელისგული, რომელიც თითქმის სწონდა თითოეულ სიტყვას, ფანტავდა მოწინააღმდეგეთა ფრახებს, სტეფანო და მათ საფუძვლიანი დებულებებით, იმის დასაბუთებით, რომ მუშათა კლასს უფლება აქვს და მისი მოვალეობაა იარის თავისი გზით და არა ლიბერალური ბურჟუაზიის უკან, ანდა გვერდით. — ყველაფერი ეს უჩვეულო იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქმის ამ სიტყვას ლენინი თავისი კი არ ამბობდა, არამედ, მართლაც, ისტორიის ნება ალაპარაკებდა<sup>7</sup>. (გორკი, ლენინის შესახებ, გვ. 5).

ყრილობაზე გორკის შეხვედრები ვ. ი. ლენინთან იყო დასაწყისი მათი მჭიდრო ურთიერთობისა.

„არ მახსოვს, — წერს ნ. კრუპსკაია, — ხვდებოდა თუ არა ილიჩი გორკის ლენინის ყრილობამდე, მაგრამ ლენინის ყრილობიდან დაწყებული, რომელსაც გორკი ესწრებოდა, მას ყოველთვის სახე გაუბრწყინდებოდა და თვალებში სითბო ჩაუდგებოდა ხიომე, როდესაც გორკიზე დაიწყებდა ლაპარაკს<sup>8</sup>“.

1907 წლის ბოლომდე ლენინი პეტერბურგის მახლობლად, ფინეთში ცხოვრობდა და იქიდან ხელმძღვანელობდა პარტიულ მუშაობას რუსეთში. მის დაეძებდნენ მეფის მამებრები. უდიდესი საშიშროების პირობებში ლენინმა 1907 წლის დეკემბერში გადაიარა ყონული, გადალახა საზღვარი და ემიგრაციაში წავიდა. ფენევაში ჩასულ ლენინს გორკის წერილი დახვდა, რომელიც მიუღი გულთი ეპატიჟებოდა მას კაპრიზე. „ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა, — პასუხობდა ლენინი, — მართლაც რა ჩინებული იქნებოდა კაპრიზე გამოსიერება! აუცილებლად როგორმე ვიხელთებ დროს, რომ თქვენთან ჩამოვიდე. მაგრამ ახლა, სამწუხაროდ, შეუძლებელია. აქ ჩამოვიდე და ვალეობით, მოვაწყო გაზეთით: ფინეთიდან გადმოვიტანოთ „პროლეტარი“. ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ფენევას ავირჩევთ თუ სხვა ქალაქს. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვიქაჩროთ, და ახლად მოწყობას დიდი ფუსფუსი სჭირდება“<sup>9</sup>.

როგორც კი გაზეთის გადმოტანასთან დაკავშირებული წერილმანები მოთავდა, ლენინმა გადაწყვიტა გაზეთში სამუშაოდ მოეწვია გორკი. 1908 წლის თებერვალში იგი ფენევიდან წერდა გორკის: „თანამშრომლად გაყენებთ თქვენ. მოგვწყურეთ ორიოდე სიტყვა, შეგიძლიათ თუ არა მოგვეცეთ რამე პირველი ნომრისათვის (იქნება ეს ისეთივე რამ, როგორც შენიშვნები მემშანობის შესახებ, „ნოვია თიხნი“ რომ იყო მოთავსებული, თუ ნაწყვეტები მოთხრობიდან, რომელსაც წერთ და სხვა)“<sup>10</sup>. ამავე დროს ლენინმა ლუნაჩარსკისაც, რომელიც იმჟამად კაპრიზე ცხოვრობდა, მისწერა წერილი. იგი მოწონებით შეხვდა ლუნაჩარსკის აზრს გაზეთში ბელეტრისტული განყოფილების დაარსებისა და ამ განყოფილების გორკისთვის ჩაბარების შესახებ.

წერილში ლენინი განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა გორკის მუშაობას, სურდა ყოველნაირად შეეწყო ხელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, არ დაექსაქსა მისი ენერგია და ტალანტი წერილმანი და ყოველდღიური საქმეებით. ლენინი წერდა ლუნაჩარსკის: „თქვენი პროექტი „პროლეტარიში“ ბელეტრისტული განყოფილების დაარსებისა და ა. მ.-სათვის მისი ჩაბარებისა შესანიშნავია და ანაჩვეულურივად მახარებს. მე სწორედ ვოცნებობდი იმაზე, რომ ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილება მუდმივი გაგვეხადა „პროლეტარიში“ და იგი ა. მ.-სათვის ჩაგვებარებინა. მაგრამ მემინოდა, საშინლად მემინოდა პირდაპირ შემთავაზებინა ეს ვინაიდან არ ვიცნობ ა. მ.-ს მუშაობის ხასიათს და მუშაობისადმი მიდრეკილებას. თუ ადამიანი სერიოზულ და დიდ სამუშაოს ასრულებს, და თუ ამ სამუშაოს ზიანს მიაყენებს ადამიანის მოწყვეტა წერილმანებისათვის, გაზეთებისათვის, პუბლიცისტიკისათვის — მაშინ სისულელე და დანაშაული იქნება ხელი შევუშალოთ მას და მოვეუკუტოთ ამ სამუშაოს! ამას ძალიან კარგად ვხვდები და ვგრძნობ“.

<sup>7</sup> Ленин и Горький, Документы воспоминания, М., 1961, стр. 327.

<sup>8</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 34, გვ. 422.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 423.

ადგილზე უკეთ გაერკვევით, ძვირფასო ან. ვას. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ზინან არ მივაყენებთ აღ. მ-ს მუშაობას, თუ ჩაებათ მას რეგულარულ პარტიულ შეხვედრაში (პარტიული მუშაობა კი ამით ბევრს მოიგებს!), ეცადეთ ეს მოაგვაროთ. ხოლო გორკისადმი მიწერილ წერილში ლენინი წერდა: „მაგრამ თუ გეხალისებთ ერთად მუშაობაც პოლიტიკურ გაზეთში, — რატომ არ უნდა განაგრძოთ, ჩვეულებად არ შეჰილით ის უნარი, რომელიც თქვენ დაიწყოთ „შენიშვნებით შემწიანობის შესახებ“, „ნოვია ეიზენში“ და, ჩემი აზრით, კარგადაც დაიწყეთ? მე „წინასწარ მოფიქრებული განზრახვით“ მოგწერთ ამავე ერთ-ერთ პირველსავე წერილში“. და შემდეგ ლენინი აღვთოვანებით ატყობინებს გორკის, თუ როგორი ნაყოფიერი და სასარგებლო იქნებოდა მისი მუშაობა გაზეთში, როგორ გააძლიერებდა ის გაზეთის შემოქმედებას მკითხველზე. „რამდენად მოიგებდა პარტიული მუშაობაც გაზეთის საშუალებით, გაზეთისა, რომელიც არ იქნება ისეთი ცალმხრივი, როგორც წინათ იყო, — და ლიტერატურული მუშაობაც, რომელიც უფრო მკიდრიად დაუკავშირდებოდა პარტიულ მუშაობას, პარტიულ სისტემატურ, განუწყვეტელ შემოქმედებას! რომ იყოს არა „თავდასხმები“, არამედ მთლიანი შეტევა მთელი სახით, შეუჩერებლად, უხარვეზოდ, რომ ს. დ. ბოლშევიკები არა მარტო ნაწილ-ნაწილ ესხმოდნენ თავს ყოველგვარ ყვეჩერებს, არამედ იპყრობდნენ ყველაფერს და ყოველფერს ისე, როგორც იპყრობენ იპყრობდნენ მანჯურიას რუსებთან ბრძოლაში“.<sup>10</sup>

ლენინის წერილები გორკისადმი, როგორც ეს მრავალჯერ აღუნიშნავთ ლენინისა და გორკის თანამებრძოლებს, გამოირჩევა გულწრფელობით, ადრესატისადმი პატივისცემით. ლენინი ხშირად საუბრობს გორკისთან, უთაბიერება, ელის მის შენიშვნას და მზადაა, ყურადღებით მოისმინოს იგი.

1907-8 წლების რუსეთში ძლიერდება ემპირიოკრიტიცისტული ფილოსოფიისადმი მიდრეკილება. ლენინი თავის წერილებში გულწრფელად საუბრობს გორკისთან ფილოსოფიაში ახალ მიმდინარეობასთან დამოკიდებულების შესახებ. უზიარებს თავის შობებულებებსა და მოსაზრებებს. „მე ძლიერ ვგრძობ, რომ მოუშადადებელი ვარ ამ დარგში (ფილოსოფიაში), რაც ხელს მიშლის საჯაროდ გამოვიდე. მაგრამ, როგორც რიგითი მარქსისტი, ყურადღებით ვკითხულობ ჩვენს პარტიულ ფილოსოფოსებს, ყურადღებით ვკითხულობ ემპირიომონისტ ბოგდანოვს და ემპირიოკრიტიცისტებს ბაზაროვს, ლუნაჩარსკის და სხვ. — მთელ ჩემ სიმპათიას ისინი წარმართავენ პლენხანოვი-სკენ! ხომ უნდა გქონდეს ფიზიკური ძალა, რომ არ აწყვე განწყობილებას, როგორც პლენხანოვი აკეთებს! მისი ტაქტიკა უკიდურესი უხამსობა და სიმიდობაა. ფილოსოფიაში იგი მართალ საქმეს იცავს. მე ვემხრობი მატერიალიზმს „ემპირიო“-ების და სხვ. წინააღმდეგ“.<sup>12</sup>

მიუხედავად ლენინის სურვილისა, გორკის თანამშრომლობა „პროლეტარში“ არ განხორციელდა. ამის მიზეზი გახდა იმ დროს აღმოცენებული ფილოსოფიური უთანხმოებანი პარტიის შიგნით. ზოგიერთი პარტიული ლიტერატორი (ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი და სხვა) დამორდა დიალექტიკურ მატერიალიზმს და იდეალიზმისკენ გადაინარა. ამ ფილოსოფიური უთანხმოების დროს გორკიმ წერილი გაგზავნა „პროლეტარში“, სადაც იგი არსებულ ფილოსოფიურ უთანხმოებას ესებოდა. ლენინმა მიზანმიწონილად ცნო არ გამეწყვეტინა ფილოსოფიური დისკუსია და გორკის წერილი არ დაიბეჭდა. ლენინი ცდილობდა პარტიის რიგების ერთიანობის შენარჩუნებისათვის, გარკვეულ პერიოდამდე, ფილოსოფიური დავა მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიცისმს შორის გამოჰყოფდა მთლიან პარტიულ მუშაობას. „ჩვენს პარტიულ საქმეს, — წერდა ლენინი გორკის, — წინანდებურად შეწყობილად უნდა ვაკეთებდეთ: ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვასორციელებდით და რეჟოლუციის განმაგლობაში განვახორციელებთ, არავის ჩვენგან სანანებლად არ განდობია. მაშასადამე, ჩვენი მოვალეობაა, ვიცადეთ მას და დავიცვათ კიდევაც პარტიის წინაშე. ამის გაკეთება შეგვიძლია მხოლოდ ყველას ერთად და ეს უნდა გაგაკეთოთ „პროლეტარში“ და მთელ პარტიულ მუშაობაში“.<sup>13</sup>

<sup>10</sup> ვ. ი. ლენინი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, 1957, გვ. 455.  
<sup>11</sup> იქვე, გვ. 453.  
<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 34, გვ. 449.



მაგრამ ერთიანობის დაცვა ვერც პრაქტიკულ პარტიულ მუშაობაში მიხერხდა. ბოლშევიკების დამორგებამ ბოლშევიზმისაგან გაგლემა მოახდინა ტაქტიკის საფუძვლებზე. ბოლშევიკების თანამოაზრეებმა წამოაყენეს მოთხოვნა, სახელმწიფო სათანადოდ რომანდანი გამოეყოფათ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები და მხოლოდ და მხოლოდ არალეგალურ საქმიანობაზე გადასულიყვნენ. ეს მაშინ, როცა ლენინი ბოლშევიზმის ტაქტიკას ლეგალური და არალეგალური მუშაობის მიზანშეწონილი შეთანხმების საფუძველზე აგებდა.

ამ პერიოდში ბოლშევიკი, ლუნაჩარსკი და სხვები, გორკის უშუალო ხელის შეწყობით და დახმარებით, შეუდგნენ კაპრიზე პარტიული სკოლის მოწყობას. მაგრამ, რადგან ლექტორების უმრავლესობა „ოტზოვისტების“, ამ მათი თანამოაზრეებისაგან შედგებოდა, სკოლა, ბუნებრივია, ახალი ფრაქციის პროპაგანდისტული და ორგანიზაციული ცენტრი ხდებოდა. ამიტომ, „პროლეტარის“ გაფართოებული რედაქციის სხვა რეზოლუციათა შორის, ლენინმა წამოაყენა აგრეთვე რეზოლუცია „პარტიული სკოლის შესახებ, რომელიც ეწყობა საზღვარგარეთ, NN ადგილას“.

რეზოლუციაში ხაზგასმული იყო, რომ „ბოლშევიკური ფრაქცია სკოლაზე არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს“.

სკოლაში მოხდა განხეთქილება; მსხენელთა შორის შეიქმნა ლენინური ჯგუფი, რომელიც მას შემდეგ, რაც ლენინმა მოტივირებული უარი განაცხადა კაპრიზე ლექციების წაკითხვის თაობაზე, გადმოვიდა პარიზში, სადაც ქენევიდან წასული ლენინი იმყოფებოდა.

გორკი, რომლისთვის უცხო იყო ბოლშევიკების მომხრეთა ვიწრო, ფრაქციული მიზნები და რომელიც სკოლას უკურებდა, პირველ ყოვლისა, როგორც ბოლშევიკების საერთო საქმეს, მძიმედ განიცდიდა წარმოშობილ უთანხმოებას.

როცა ლენინისთვის ნათელი გახდა პარტიული სკოლის მიზნები და შექმნილი სიტუაცია, მან გულითადი და გამამხნეებელი წერილი მისწერა გორკის. ამ წერილში ლენინმა, სხვათა შორის, გაიხსენა გორკის საყვედური: ფილოსოფიური დავის ფრაქციულობის გარეშე გამოცხადება ინტელიგენციის გარკვეული უპატივცემლობა არს. ლენინი დაწვრილებით და ბეჯითად განმარტავდა ფრაქციიზმს და, საერთოდ, რევოლუციურ მოძრაობაში შექმნილ მდგომარეობას.

წერილში აღსანიშნავია ლენინის გასათყარი პრინციპულობა როგორც სხვებისადმი, ასევე საკუთარი თავის მიმართ: „მე მუდამ სასუსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ და ამა. მიხეილი (ვილონოვი) ახალი ფრაქციის ყველაზე მტკიცე ფრაქციონერები იყავით, რომლებთანაც მეგობრულად ლაპარაკის ცდა ჩემთვის უაზრება იქნებოდა, დღეს პირველად ენახე ამხანაგი მიხეილი, გულახდილად ვისაუბრეთ საქმეებზეც და თქვენზეც და ენახე, რომ სასტიკად ვცდებოდი.“

მიხეილის სიტყვებიდან ვხედავ, ძვირფასო ა. მ., რომ ახლა ძალიან გიმძიმით. მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიის დანახვა ერთბაშად მოკიდდა ისეთი ფორმებით, რომლებსაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიაში უკვე არა ერთხელ მიუყვანიათ ინტელიგენტი მცირედ მორწმუნეები მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიაზე გულის გატყვამდე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ეს არ დაგემართებათ, და მიხეილთან ლაპარაკის შემდეგ მინდა მაგრად ჩამოგართვათ ხელი, თქვენნი მხატვრული ნიჭით რუსეთის და არა მარტო რუსეთის — მუშათა მოძრაობის თქვენ ესოდენ დიდი სარგებლობა მოუტანეთ, მოუტანთ კიდევ იმდენ სარგებლობას, რომ არავითარი უფლება არ გაქვთ აყვეთ საზღვარგარეთული ბრძოლის ეპიზოდებით გამოწვეულ მძიმე განწყობილებას.<sup>14</sup>

ბოლშევიკური ფრაქციიდან ბოლშევიკისა და მისი ჯგუფის წასვლამ ბურჟუაზიულ პრესაში მრავალი კორი წარმოშვა, კერძოდ, გორკისადმი ბოლშევიკების დამოკიდებულებისა და პარტიიდან მისი გარიცხვის შესახებ. ლენინი ამ ცნობას სპეციალური წერილით გამოეხმაურა „ბურჟუაზიული პრესის ზღაპარი გორკის გარიცხვის შესახებ“. „ქორიკანული კამპანიის მიზანი არანაკლებ ცხადია, ბურჟუაზიულ პარტიებს უნდათ, რომ გორკი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გავიდეს. ბურჟუაზიული გა-

<sup>14</sup> იქვე, გვ. 462-463.



ზეთები თავს არ იზოგავენ იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ უთანხმოებანი გააღრმავონ და ისინი დამახინჯებულად წარმოადგინონ.

ამოდ ჯახრობენ ბურჟუაზიული გაზეთები. ამხანაგმა გორკიმ თავისი დიდი მხატვრული ნაწარმოებებით იმდენად მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მსოფლიოს მუშათა მოძრაობას, რომ იგი ამ გაზეთებს მხოლოდ ზიზღით შეხედავს<sup>15</sup>.

ლენინის კაპრიზე ყოფნის დროს (1908 წ.) გორკის უკვე დაწერილი ჰქონდა „აღსარება“ (მოთხრობა შედარებით გვიან გამოქვეყნდა), რომლითაც ავტორმა მხატვრული ლიტერატურის დარგშიც გამოხატა თავისი დამოკიდებულება და ერთგვარი თანაგრძნობა ბოგდანოვის, ბაზაროვისა და ლუნაჩარსკის ფილოსოფიური ტენდენციებისადმი. მოთხრობაში გამოხატულია „ლენინისმშენებლობის“ იდეები, ამ ნიუანსით, რომელიც ამ იდეებმა მიიღეს ლუნაჩარსკის პუბლიცისტურ ნაშრომებში. ლენინი მთელი პირდაპირობითა და თანმიმდევრობით აკრიტიკებდა გორკის შეცდომებსა და ნარკუსშიდნად გადახვევის გამო. მაგრამ გორკის ფილოსოფიური დაბნეულობის პერიოდშიც მას, როგორც ნამდვილი პროლეტარული ხელოვნების უდიდეს წარმომადგენელს, ლენინი მკვეთრად უპირისპირებდა იმ ვითომდა პროლეტარული ხელოვნების წარმომადგენლებს, რომლებსაც ბოგდანოვი და ვერთოდელოთა პლატფორმის მომხრეები „სპეციალურ რეკუზობრივ ამოცანად“ აყენებდნენ. ლენინი არა მარტო არ უიგივებდა გორკის პოზიციებს ბოგდანოვ-ლუნაჩარსკის რეჟუის პოზიციას, არამედ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გორკი, მისი მცდარი გატაცების მიუხედავად, რჩება „პროლეტარული ხელოვნების უდიდეს წარმომადგენლად“. ამიტომაც იყო ასე მხურვალედ რომ დანიცა ლენინმა გორკი ბურჟუაზიული მონაჭორებისა და ცილისწამებისაგან სტატიამში „ბურჟუაზიული პრესის ზღაპარი გორკის გარიცხვის შესახებ“.

1910 წელს ლენინი კაპრიზე ჩავიდა. ლენინს გორკი იხსენებს, როგორც შესანიშნავ ამხანაგს, მზარულ ადამიანს, რომელსაც ამქვეყნად ყველაფრისადმი ცოცხალი ინტერესი აქვს. კაპრიზე ლენინისა და გორკის ურთიერთობამ აღადგინა მათ შორის მჭიდრო მეგობრული დამოკიდებულება. გორკის ხიბლავდა ვლადიმერ ლენინის ასოსულეტურად უპრეტენზიო, უბრალო ყოფაქცევა. გორკი ასე იკონებს ლენინის კაპრიზე ყოფნას: მან ერთნაირი გატაცებით იცოდა... თევზაობა, სამხრეთის შუა გაგარვარებული კაპრის ქვიან ბილიკებზე ხეტიალი, კურდღლისცოცხას ოქროსფერი ყვავილებითა და მეთევზეთა მოთხუნული ბიჭუნების ცქერით დატკობა. სადამოთი კი, როდესაც რუსეთზე, სოფელზე მოთხრობებს ისმენდა, სინანულით ამბობდა: — მე კიდევ კარგად არ ვიცი რომ რუსეთს. სიმირისკი, ყაზანი, პეტერბურგი, გადასახლება და — თათქმის ენა სულ!“ (იხ. გრუზდვეი, გორკი, გვ. 201).

საინტერესოა კაპრიზე გორკისა და ლენინის ლიტერატურულ-თეორიული საუბრები. ამ საუბრების ხასიათისა და შინაარსის შესახებ მხოლოდ ის შემორჩა, რომელიც წერილებსა და მოგონებებში აისახა.

1910 წლის 22 ნოემბერს ლენინი სწერს გორკის: „მე და თქვენ ზაფხულში რომ ესაუბრობდით და რომ გიამბოთ, თითქმის დაწერილი მქონდა თქვენდამი წყენის წერილი „აღსარების“ შესახებ, მაგრამ არ გამოვიგზავნეთ მახსიებთან მაშინ დაწყებული გათიშვის გამო-მეთქი, თქვენ მიპასუხეთ: ტყუილად არ გამომიგზავნეთო!“<sup>16</sup>.

შემდეგში, როდესაც ლენინი მიუთითებდა გორკის გამონათქვამთა დახლართულობაზე დოსტოევსკის წერილთან დაკავშირებით, იგი წერდა: „საკითხში დღმერთის, ღვთიურის და ყოველივე იმის შესახებ, რაც ამასთან დაკავშირებულია, თქვენ წინააღმდეგობა გამოვლით — სწორედ ის წინააღმდეგობა, ჩემი აზრით, რომელსაც მე აღვნიშნავდი ჩვენს საუბრებში კაპრიზე შეხვედრების დროს: „თქვენ კავშირი გაწყვიტეთ (ან თითქმის გაწყვიტეთ) „ვეპერიოდულბოტან“ ისე, რომ ვეპერიოდულობის იდეური საფუძვლები არ შეგიჩნევიათ“<sup>17</sup>.

ლენინის „დამოკიდებულება ჩემდამი მკაცრი მასწავლებლისა და კეთილი მზრუნველი მეგობრის დამოკიდებულება იყო“ — წერდა გორკი.

15 ვ. ი. ლენინი, კულტურისა და ხელოვნების შესახებ, გვ. 87-88.

16 ვ. ი. ლენინი, ობზ. ტ. 34, გვ. 500.

17 ვ. ი. ლენინი, ობზ. ტ. 35, გვ. 118.

კაპრიზე საუბრების შესახებ მნიშვნელოვან მასალას იძლევა ნ. კ. კრუპსკაიასადმი 1930 წლის 16 მაის მიწერილი გორკის წერილი ლენინის შესახებ: „კაპრიზე წლების ლიტერატურაზე საუბრის დროს იგი საოცრად ზუსტად ახასიათებდა ჩვენი თაობის მწერლებს, დაუნდობლად და ადვილად ამხელდა მათ რაობას; მან მეც მიმი-თითა ჩემი მოთხოვნების ზოგიერთ არსებით ნაკლოვანებაზე და შემდეგ მისაყვედუ-რა: „ტყუილებურად აღქმაცემებთ თქვენს გამოცდილებას წერილ-წერილ მოთხო-ბებზე, უკვე დროა იგი ერთ წიგნში, რომელიმე დიდ რომანში მოათავსოთო“. მე ვუსთარი, რომ ვოცნებობ დავწერო ერთი ოჯახის ისტორია 100 წლის მანძილზე, დაწ-ყებული 1813 წ., იმ მომენტიდან, როდესაც იწყებოდა მოსკოვის აღდგენა და დამ-თავრებელი ჩვენი დღეებით... იგი დიდი ყურადღებით მისმენდა და მეკითხებოდა, შემ-დეგ კი მითხრა: „მშვენიერი თემაა, რა თქმა უნდა ძნელია, დიდ დროს მოითხოვს, ვფიქრობ, რომ თქვენ მას დაძლეეთ, მაგრამ ვერ ვხედავ რით უნდა დაამთავროთ? სი-ნამდვილე მის დასასრულს არ იძლევა. არა, იგი უნდა დაიწეროს რევოლუციის შემ-დეგ, ახლა კი რაიმე „დედის“ მსგავსია საჭირო“.<sup>18</sup>

ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდიდან ისევ გამუქდა ურთიერთობა გორ-კისა და ლენინის შორის. გორკი თავისი შეცდომებისა და ლენინთან თავისი ურთიერთ-ობის შესახებ ასე წერდა მოგონებაში „ვ. ი. ლენინი“: „ამ უთანხმოებათა მნიშვნელო-ზა, — ჩემი აზრით, — ფრიად ღრმა არის და იგი შეიძლება ზოგადი ფილოსოფიური მსჯელობის თემად იქცეს, რადგან, უხეშად, „ემპირიულად“ სინამდვილის ცოდნის საქ-მეში, მე, ალბათ, მასზე უფრო „გამოცდილი“ ვიყავი, მაგრამ იგი — თეორეტიკოსი — რუსეთის სინამდვილის განუზომლად უფრო ღრმა და დიდი მცოდნე აღმოჩნდა“.<sup>19</sup>

ლენინის სიცოცხლეზე ხელის აღმართვამ გორკი დაარწმუნა წინააღმდეგობათა მთელ სიმწვავესა და გამაგებულ ბოროტებაში, რისი დაძლევაც ბრძოლით უხდებო-და პარტიას.

მიუხედავად გორკის ზოგიერთი თეორიული შეცდომისა, ლენინი ყოველთვის თვლიდა მას დიდ პროლეტარულ მხატვრად. ხოლო 1921 წელს, დაღის ლექსიკონის გამოსვლასთან დაკავშირებით, ლენინი სწერდა ლუნაჩარსკის: „ჩინებული რამეა, მაგ-რამ ეს ზომ კუთხური ლექსიკონია და მოძველდა. ზომ არ არის დრო, შეეცმნათ დღე-განდელი რუსული ენის ლექსიკონი, ვთქვამთ, იმ სიტყვების ლექსიკონი, რომელიც იხ-მარება ახლა და რომელსაც ხმარობდნენ კლასიკოსები, პუშკინიდან გორკიმდე“.<sup>20</sup>

სიკვდილის წინ ლენინი ნაღვედა კონსტანტინეს ასულს გორკის წერილს აკით-ხებდა. ცოტა ხნის შემდეგ კი გორკი წერდა: „ლენინის სიკვდილმა პირადად მე მძი-მე თავსარი დამცა“...

<sup>18</sup> იხ. გ რ უ ლ დ ე ვ ი, გორკი, თბ., 1963, გვ. 200-201.

<sup>19</sup> Горький, В. И. Ленин, М., 1966, стр. 37.

<sup>20</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 35, გვ. 461.



## უნგაეთის განთავისუფლების 30 წლისთავი

შს ნახატში ახალგაზრდა უნგრელ გრაფიკოსს ევა იოვას ეკუთვნის. მხატვარი უკვე ორი პერსონალური გამოფენის ავტორია. მისი ნამუშევრების რეპროდუქციები ბევრჯერ დაიბეჭდა უნგრეთის ეურნალ-გაზეთებში. ეურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მკითხველებს ვაცნობთ ევა იოვას ორ გრაფიკულ ფურცელს — „დედა-შვილი“ და „მშენებლობაზე“. ამ ნამუშევრებს, რომლებიც დიდი ცვაღის ერთი ნაწილია, მხატვარი უძღვნის ფაშოზმისაგან უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავს.



ღიღი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება წარმოადგენდა მძლავრ იდეურ იარაღს. მტერთან ბრძოლაში. არ გამართლდა ძველი თქმულება: რჩეულნი ბახნიბი კქუხან, მუხები სდუმანო. ომით გამოწვეულმა სიმწილეებმა და საშიშროებამ, მტრისადმი ზიზღმა მუხები მთელი ძალით აამოქმედა და მტრის განადგურების სამსახურში ჩააყენა.

ნიკოლოზ ტინოვი წერდა: „ნათელი გახდა, რომ მუხებს დუმილი არ შეუძლიათ. საშინელ დღეთა მოწმენი ალაპარაკდნენ ლიტერატურისა და ფერწერის ენაზე. ისინი არ დაელოდნენ მობავალ დღეებს. ისინი ალაპარაკდნენ დღეს. ომი, სამშობლო, თავისუფლების სიყვარული, მტერზე შურისძიება — აი რა ცოცხლობს პროზაში და ლექსში. შეიქმნა ახალი ფრონტი. ფრონტი ხელოვნებისა, რომელიც სულ უფრო ფართოვდება.“<sup>1</sup>

ამ ახალი ფრონტის აქტიური მებრძოლები იყვნენ საქართველოს ხელოვნების მოღვაწეები.

\* \* \*

ხელოვნების მუშაკებმა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, 1941 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე შეჯამეს განვილი პერიოდში გაწეული მუშაობა. აღინიშნა დიდი წარმატებები, დაისახა ახალი შემოქმედებითი გეგმები. ასე მაგალითად, თბილისის თეატრებსა და მათ წამყვან რეჟისორებს ა. ვასაძეს, ა. წუწუნავას, შ. აღსაბაძეს გადაწყვეტილი ჰქონდათ მაყურებლისთვის ეჩვენებინათ მიფელი რიგი ახალი დაწელები, — „მეფე ლირი“, „ოთიდიბოს მეფე“, „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, ოპერა „სამშობლო“ და სხვა. ახალ წარწომებზე მუშაობდნენ კომპოზიტორები რ. გაბრიჭაძე, ვ. გოციელი, შ. მშველიძე, მუსიკათმცოდნე ვ. ჩხვიჭაძეს გადაწყვეტილი ჰქონდა კომპოზიტორ ა. ბლაზნივაძესთან ერთად გამოსაცემად მოემზადებინათ აფხაზური ხალხური სიმღერების კრებული, დაეწერა ნაწრომი ქართული ხალხური სიმღერების პარმინისა და კადანსების თავისებურებათა შესახებ.<sup>2</sup>

მხატვართა კავშირი ითვალისწინებდა სამი თემატური და 10 პერსონალური გამოფენის მოწყობას. შემოქმედებითი მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, იენისში, აგვისტოსა და სექტემბერში ნავარაუდები იყო ქ. თბილისში უკრაინისა და სომხეთის მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, მათთან შემოქმედებითი შეხვედრა, ხოლო ერევანსა და ბაქოში — ქართველ მხატვართა გამოფენა.<sup>3</sup>

ხელოვნების მუშაკთა ფართი და შრომალფეროვანი პროგრამა, რომლის განხორციელებას ისინი აპირებდნენ, წლის პირველ ნახევარში მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. ბევრი მათგანი კი, ჩვენს ქვეყანაზე პიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმის გამო, გადაიღო ან შეუსრულებელი დარჩა. მა-

<sup>1</sup> იხ. „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორია“ 1941-45 (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 1962, ტ. 2, გვ. 357.

<sup>2</sup> რაზე ვიშუშეებთ 1941 წელს. იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1 იანვარი, 1941 წ.

<sup>3</sup> საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და საბჭოთა მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდგომში — ორსმესა), ფ. 2422, აღწ. 2, საქ. 192, ფურც. 3.



# საქართველოს ხელოვნების მოღვაწენი დიდ სამკამულო ომში

შოთა ნოზაძე

თი მოელი მოღვაწეობა ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ინტერესებს დაემორჩილა. ეს მკაფიოდ გამოჩნდა ომის პირველ დღეებშივე იმ მიტინგებზე, რომლებიც 22 და 23 ივნისს გაიმართა მხატვართა კავშირში, კინოსტუდიაში, კომპოზიტორთა კავშირში, თეატრალურ ინსტიტუტში, რესპუბლიკის ყველა თეატრსა და სხვა სანახაობით დაწესებულებებში. მიღებულ რეზოლუციებში მიტინგის მონაწილენი მკაცრად გამოხატეს გერმანულ ფაშისტებს, ცივილიზაციის ამ უბოროტეს მტრებს და ერთსულადად აცხადებენ: კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიისა და მთავრობის გარშემო, შექმნიან ომიანობის ვითარების შესაბამის ნაწარმოებებს და ამით ჩაღვებიან ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში, დაეუფლებიან სამხედრო საქმეს და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი სისხლით დაიცვენ სამშალოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

24 ივნისს გაიმართა ხელოვნების მუშაკთა და სამხედრო შენაერთების წარმომადგენელთა თათბირი. იგი მიეძღვნა ომიანობის შესაბამისი მუსიკალურ-ვოკალური რეპერტუარის შექმნის საკითხებს. ომის დაწყებიდან ერთი კვირის განმავლობაში 25-მა კომპოზიტორმა საბჭოთა პოეტების ლექსებზე 32 მუსიკალური ნაწარმოები დაწერა. მათი უმრავლესობა მოწონებულ იქნა და გადაეცა საეკიკლურ ბრიგადებს წითელი არმიის ნაწილებში ესტრადებზე შესასრულებლად.<sup>4</sup>

იმხვედრეს ხელოვნების მუშაკთა და წითელი არმიის სახლის წარმომადგენელთა თათბირზე გადაწყდა ბრიგადების შექმნა თბილისის თეატრების, ესტრადის მსახიობების, აგრეთვე სახელმწიფო კონსერვატორიისა და მუსიკალური ტექნიკუმების უფროსი კურსის სტუდენტების მონაწილეობით. ბრიგადებს

დაეხსნათ სამხედრო ნაწილების, პოსპიტლების, მობილიზებულითა გასაწვევი და შესაკრები პუნქტების კულტურული მომსახურება. ასეთივე მითითება მიიღეს რესპუბლიკის სხვა თეატრებმა და მუსიკალურმა სასწავლებლებმა, სახელმწიფო ფილარმონიის ხელმძღვანელებმა.

28 ივნისს ხელოვნების საქმეთა სამმართველოში მხატვართა მონაწილეობით გამართულმა თათბირმა იმსჯელა თავდაცვითი, საბრძოლო, ანტიფაშისტური და თანამედროვეობის სხვა სახიათის ახალი პლაკატების შექმნის საკითხებზე. აქვე მხატვრებმა ს. კუცხოველმა, უ. ჯაფარიძემ, ვ. სიღამონ-ურისთავმა, ს. ნადარეიშვილმა და სხვებმა წარმოადგინეს ახალი ესკიზები. გაითვალისწინეს მიღებული ესკიზების უახლოეს პერიოდში დაბეჭდვა. იმავე დღეს მხატვართა კავშირმა გადაწყვიტა თავდაცვითი, პატრიოტულ-საბრძოლო, ისტორიულ და ანტიფაშისტურ თემებზე შექმნილ ნაწარმოებთა მოძრავი გამოფენის მოწყობა.

პატრიოტული გრძნობით აღსავსე წერილი — „შხამიანი ფაშისტის ქვეწარმავალი გასრესილი იქნება“ — გამოაქვეყნეს ხელოვნების მუშაკებმა ა. ხორავამ, ა. ვასაძემ, ნ. ჩხიძემ, ე. ჩერქეზიშვილმა, შ. ღამბაშიძემ, გ. დავითაშვილმა, დ. მჭავიამ, ნ. გოცირიძემ, გ. კილაძემ, ს. კაკაბაძემ, ი. ტუსკიამ, ი. გამრეკელმა, კ. პატარიძემ. თავიანთ წერილში ისინი სწორდნენ, რომ „...ხელოვნება მთლიანად ემსახურება ხალხს. ჩვენ მზად ვართ ახლა ხალხს ჩვენი სიცოცხლეც შევწირთ“.

ომის დაწყების გამო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმისა და სხვა თეატრების კოლექტივებმა უარი განაცხადეს 1941 წლის შეგებულებებზე და სურვილი გამოთქვეს, რომ მოემსახურებოდნენ საბჭოთა არმიის მებრძოლებს. თბილისის

<sup>4</sup> ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 14 ივლისი, 1941 წ.

<sup>5</sup> ვაზ. „მომენტისტი“, 27 ივნისი, 1942 წ.

ოპირისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა გადაწყვიტა მარტო ივლისში მეორეხარისის გეგმითა 12 წარმოდგენა, ამავე მიზნით გრიბოედოვის სახელობის რუსულმა თეატრმა ივლისი ივლისში 5 წარმოდგენის მოწყობა.<sup>6</sup> მუსიკალური კომედიის, ფოტისა და სხვა თეატრებმა უარი თქვა სახელმწიფო საგან დოდაციის მიღებაზე. დაბრეკა-ქარხენა, კომმუნურნიზებისა და საბჭოთა მურწინებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, სახმადრო ნაწილებში, გასაწვევ პუნქტებსა და პოსპიტლებში დაიწყო ანტიფაშისტური საღამოების გამართვა. ამ საღამოებში აქტიურად მონაწილეობენ ხელოვნების მუშაკები.

ამასთან, მთელ რიგ შემოქმედებით ორგანიზაციებთან შეიქმნა სახელოვანი ჯგუფები. ისინი სწავლობდნენ მოსკოვის. ეუფლებოდნენ საბრძოლო იარაღის ხმარებას, საპაერო ქიმიურ თავდაცვის იმ მიზნით, რომ ხელოვნების მუშაკებს შესაძლებლობა მისცემოდათ ძირითად სამუშაოსთან ერთად შეეტავსებინათ საყოველთაო სავალდებულო სწავლება. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თხოვნით, შესაბამისმა ორგანიზაციებმა სწავლების დღედ დააწესეს ორშაბათი—თეატრებისთვის გამოსასვლელი დღე.

საბჭოთა პატრიოტიზმის ერთ-ერთ შესანიშნავ გამოხატულებას ომის პერიოდში წარმოადგენდა მრავალრიცხოვანი წინადადებანი თავდაცვის ფონდის შექმნის შესახებ. საბჭოთა ადამიანებმა გადაწყვიტეს არა მარტო შრომით, არამედ პირადი სახსრებითაც მიეღოთ მონაწილეობა თვითმფრინავების, ტანკების, ქვემუხების, ჭურვების, ტყვიამფრქვევების დამატებით გამოშვებაში. თავდაცვის ფონდი ჯერ სტიქიურად წარმოიშვა, ხოლო შემდეგ ორგანიზაციული ფორმა მიეცა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სამხედრო საჭურველის შემდგომი გადიდება. ამ ინიციატივას ფართოდ გამოხმამურნენ საქართველოს მშრომლები, მათ შორის, ხელოვნების მუშაკებიც.

სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა მოქანდაკე ვ. კაკაბაძემ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდში 15.000 მანეთი შეიტანა, მოქანდაკე კ. მერაბიშვილმა — 30.000 მანეთი, რეჟისორმა მ. ჭიაურელიმ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ — 50.000 მანეთი თითოეულმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანათაძემ — 5.000 მანეთი. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა გადაწყვიტა ყოველ თვეში ორ გამოსასვლელ დღეს ეთამაშა საქეტაკლები, რომელთა მთელ შემოსავალს გადასცემდა თავდაცვის ფონდს. თავდაცვის ფონდის შექმნაში ასეთივე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვა თეატრები და ხელოვნების მუშაკები.

ასეთი იყო ომის პირველი დამახული დღეები ხელოვნების მუშაკებისათვის. ომის გამო შექმნილი ვითარება მოითხოვდა შესაბამის ხანგრძლივ მუშაობას, მთელი ჩვენი ქვეყნის სახალხო მურწინობისა და კულტურის გარდაქმნას საომარ ყაიდაზე. სოციალისტური სამშობლოს დაცვის, ფაშისტური გერმანიის უკუგდებისა და განადგურების ორგანიზაციის პროგრამა ჩამოყალიბებულ იქნა საკავშირო კ (ბ) ცენტრალური კომიტე-

ტისა და სსრ კავშირის სახელოვანობის 1941 წლის 29 ივნისის დირექტივები ფრონტისპირა ოლქების პარტიული დაწესებულებათა ორგანიზაციებისადმი. ამ პროგრამას შეუფარდეს თავისი შედეგში მუშაობა პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლოდებრივმა და შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა, მუშებმა, კოლმურწინებმა, ინტელიჯენციამ და მათ შორის ხელოვნების მუშაკებმა.

\*\*\*

დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს ქართულ თეატრს. იგი ყოველთვის თავისი ეპოქის მღვლელოვანი იდეებით ცხოვრობდა.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა არმიის დამცველთა რიგებში ჩადგენი საქართველოს ხელოვნების მუშაკები. ფრონტზე წვიდა ოპერისა და ბალეტის თეატრებიან 82, გრიბოედოვის თეატრიდან — 83, მოზარდ მაცურებელთა ქართული თეატრიდან — 30 კაცი. მათ შორის იყვნენ მსახიობები, გუნდისა და ბალეტის სოლისტები<sup>7</sup>. ფრონტს მიაშურა ბევრმა ახალგაზრდა ხელოვანმა ისე რომ ვერ მოასწრო თეატრში პირველი სახეების შექმნა. თეატრალური ინსტიტუტიდან, მაგალითად, მარტო 1942 წელს 24 კურსდამთავრებული ჩადავა პიტეატრული გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. სულ საქართველოდან 1941 წლის ზაფხულში ფრონტზე 100-ზე მეტი მსახიობი წავიდა.

გადასინჯა თეატრების რეპერტუარი. აქ მთავარი ყურადღება მიექცა ომის შესაბამისი სექეტაკლების შექმნას. ძირითადად იდგმებოდა ისტორიული ხასიათისა და თანამედროვეობის ამხსნეული პიესები. შ. რუსთაველის სახელობის თეატრმა 1941 წლის 5 სექტემბერს დადავა ვ. დარასელიანის „კიკელი“. სექეტაკლმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ევრაკა მტრის განადგურების გრძნობით გამსჭვალული ქართული მაცურებელი არტისტების გამოთქვამდა იმ მამაციობისა და ვაჟაყვინძისათვის, რომლებსაც მთავრად აღვინაო ლეგენდარული ვასილ კვიციანი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად ამ წარმოდგენის შემდეგ თეატრის სცენაზე დაიდავა ფ. ვოლგის „პროფესორი მამლოვი“, მ. კაცისა და ა. რტყელის „ოლგოტი დუნდინი“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. სელინის „გენერალი ბრუსილოვი“, ს. შანშიაშვილის „კრწანისის გერბი“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი ვოჩა“ და სხვ. კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე იდგმებოდა ისტორიული ხასიათის პიესები კ. ვინისა და მ. გულის „ბერიონის გასაღები“, ლ. გოთუას „მეფე ერეკლე“, ა. სამსონიას „ბაგრატიონი“ და სხვ. ისტორიული ხასიათის სექეტაკლები იდგმება აგრეთვე ოპერისა და ბალეტის, გრიბოედოვის სახელობის, ომსწერი დრამის, მოზარდ მაცურებელთა და სხვა თეატრების სცენაზე.

ეს პიესები მაცურებელს უძლიერებდნენ სამშობლოსადმი სიყვარულს, აზნებუნდნენ, თავადებული ბრძოლისა და შრომისათვის განაწყობდნენ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ა. სამსონიას „ბაგრატიონის“ დღეების გამო დ. ჯანელიძე წერდა: „პირველი საბჭოთა ომის გმირის სახეს უ. ლამაშიძემ შეუნარჩუნა მისი შოთამაგონებელი, ისტორიულ-შემეცნებითი ძალა და მნიშვნელობა... კულტურის როლის ასეთი შოთამაგონებელი ძალით განსახიერება მოწოდებს, რომ ჩვენი სცენა წარმატებით ახერხებს

6 ვაზ. ალიბერატოვილი საქართველო, 10 ივლისი, 1941 წ.

7 ორბელიანი, ფ. 823, აღწ. 1, ტ. 23, ფურც. 1-7.



ისტორიის ქმედითი, შეშენებითი ძალის გამოყენებას მტერზე გამარჯვების შთაბრუნებელი სპექტაკლების შექმნაში<sup>8</sup>...

ქუთაისის თეატრმა შექმნა მრავალი საინტერესო სპექტაკლი, რომლებშიც აისახა ფრონტისა და ზურგის დაძაბული ბრძოლა და შრომა.

აჭარის თეატრების რეპერტუარში საპატრიო ადგილი დაიკავა პერიოდულ-პატრიოტულმა თემაში. წარმატებით დაიდგა მ. კაცისა და ა. რევეკის „ოლეკო ლენდინი“, გ. მდიენის „პარტიზანები“, კ. სიმონოვის „რუსი ხალხი“, ვ. დარასლის „იკივიქი“ და სხვ.

ისტორიული ხასიათის პიეკებთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ომის შესაბამისი პერიოდის სპექტაკლებს შექმნას. მაგრამ ამ მხრივ თეატრები განიცდიდნენ რეპერტუარის სიღარიბეს, რომლის მიზეზები მრავალი — როგორც ამის შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა მწერალი და სასოგადო მოღვაწე დ. ქიანელი 1943 წლის 30 იანვარს მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიაში, — იყო ჩვენი დრამატული რეპერტუარი. იგი სათანადოდ ვერ იყვებოდა იმ უხე მასალას, რასაც იძლეოდა არა მარტო ფრონტი, არამედ სამამულო ომის ზურგი, დრამატურგები უშთაფრესად ისტორიულმა თემატიკამ გაიტაცა<sup>9</sup>.

მიუხედავად ამისა, თეატრებმა მაინც შესძლეს თანამედროვე თემაზე 3-4 და მეტი სპექტაკლის შექმნა, რაც, საბოლოო ანგარიშით, მნიშვნელოვან როლს ითავსებს გვამცდედა.

რუსთაველის სახელობის თეატრმა 1942 წლის 1 იანვარს დადგა სამამულო ომის ამსახველი პირველი ქართული პიესა. ეს იყო გ. მდიენის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“. ეს პერიოდულ მეტად მძიმე იყო ჩვენი ქვეყნისათვის. მტერი, მიუხედავად მოსკოვთან განცდილი დამარცხებისა, სარგებლობდა თანესი რეზონანსი და ტექნიკური უპირატესობით, აპარტახებმედროებით დაკავებულ საბჭოთა ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილს და ემზადებოდა შემდგომი წინსვლისათვის. ასეთ დაძაბულ ვითარებაში წარმოდგენა აქტუალურად ედგინა და სამართლიანი ყურადღება დაიმსახურა. მალე თეატრმა დადგა სამამულო ომის მიმდინარე მიხედვით აგებრის „მოსკოვის ბჭისალი“ და ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი“, რომელიც კავკასიის დაცვას ესება.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დადგა დიდი სამამულო ომის ამსახველი სპექტაკლები: გ. მდიენის „პარტიზანები“, კ. სიმონოვის „მელოდე“, კ. ფინისა და მ. გუგის „ბერლინის გასაღები“, გ. შატბერაშვილის „ფიცების გორა“.

დიდი სამამულო ომის თემატიკას თბილისის თეატრებიდან ერთ-ერთი პირველი გამოუმხედა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი, რომელმაც დადგა ამავე თეატრის მსახიობის ა. კაკუჭიშვილის პიესა „გაიდარი“. მას მოჰყვა ალ. ბრუშტინის „გაგრძელება იქნება“. ამ სპექტაკლების შეშენებით და აღმოსტრიალითი მუშაობა, — წერდა რეჟისორი ა. ფეერალი სტალინი „ორი ანტიფაშისტური სპექტაკლი“, — მკვს გარეშა: ისინი აძლიერებენ ბავშვებსა და ახალგაზრდებს საზოგადოებრივი მტრის წინააღმდეგ მებრძოლი და შეუპოვარი ბრძო-

ლის გაგრძელების წყურვილს“<sup>10</sup> ამასთან ერთად რესპუბლიკის თეატრები სისტემატურად აწყობდნენ ერთობიქმედობის პიესების საღამოებს პატრიოტულ თემაზე.

ქართველი კომპოზიტორები წარმატებით განაგრძობდნენ ომის პირველ დღეებში დაწყებულ მუშაობას, რაც დიდი სამამულო ომის ინტერესებს დაემორჩილა. კომპოზიტორთა კავშირი პერიოდულად აწყობდა კონკურსებს მასობრივ სამწყობრო-სალაშქრო სიმღერებსა და მარშებზე. ამ მხრივ ჯერ კიდევ 1942 წლის პრემიერულ იქნა სიმღერები შ. თათიაქიშვილის „საიერიშო“, ვ. კურტიასის და ვ. ცაგარეიშვილის „გამარჯება ჩვენ დავგრძედა“, რ. გაბიჩავას „ლაშქრული“, მ. შარაბიძის „გამარჯვების გზით“, შ. აზმაფარაშვილის „გამარჯება“ და სხვა.

ომის პერიოდში შეიქმნა მთელი რიგი სიმფონიური ნაწარმოებები. ამ მხრივ აღსანიშნავია სახელმწიფო პრემიის ლაურეატ შ. მშველიძის პირველი სიმფონია, რომელიც კავკასიის გმირული დამცველებისადმი მიძღვნილი და ავტორმა მას „სისხლისა და გამარჯვების სიმფონია“ უწოდა. მანვე დაწერა დიდი ორატორია „გამარჯვების პოემა“ სიმფონიური, სასულიერესტრისა და გაძლიერებული გუნდისათვის.

კომპოზიტორმა ვ. ცაგარეიშვილმა ქართველი პოეტების ლექსებზე შექმნა ხუთნაწილიანი კანტატა „ლომჯოვანი“ ორკესტრის, გუნდისა და სოლისტებისათვის. ავტორმა კანტატაში ასახა საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა ლენინგრადის, ოდესის, სტალინგრადისა და კავკასიის დაცვისათვის. კავკასიის დაცვას მიეძღვნა გ. გუდიაშვილის კანტატა „კომპოზიტორებმა ი. ტუკიამ, ა. ბალანჩივაძემ, შ. აზმაფარაშვილმა და სხვებმა შექმნეს არა ერთი ანტიფაშისტური სიმღერა, რომანები და მარშები ქართული დივიზიებისათვის.

ომის პერიოდში შეიქმნა ოპერები: ვ. გუციულის „პატარა კახი“, ა. მაჭავარიანის „დედა და შვილი“, ბ. ავეისოვის „გამოქცეული“. ამ სახეში დაიწერა დიდი ნაწილი ოპერებისა: შ. მშველიძის „თქმულება ტარიელზე“, აკ. ანდრიაშვილის „ლაშქარა“, დ. თორაძის „მთების ძახილი“, ვ. კილაძის ბალეტი „სინათლე“.

1944 წლის დეკემბერში მოეწყო ამიერკავკასიის მოძვე რესპუბლიკების მუსიკალური დეკადა, რომელზედაც წარმატება ხვდა ქართველ კომპოზიტორთა არა ერთ ნაწარმოებს. იმავე წლის მაისში მოსკოვში გაიმართა ქართული მუსიკის საღამოები. ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახთან დაარსდა მერონჯერე ქალთა ანსამბლი ა. მერგულიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც ნაყოფიერი მუშაობა გასწია.

ქართველ კომპოზიტორთა მნიშვნელოვან მიღწევებზე მუთითებს სსრ კავშირის საზოგადოების ხელოვნების საქმეთა კომიტეტის დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართველოში მუსიკალური ხელოვნების განვითარება ხასიათდება ერთგული მუსიკალური შემოქმედების ინტენსიური ზრდით, განსაკუთრებით სიმფონიური ნაწარმოებები ჩაითვალა საბჭოთა მუსიკალურ კულტურაში შეტანილ სერიოზულ წვლილად. ამასთან, დადგენილებაში ყურადღება იყო გამახვილებული გამრული მუსიკისა და

<sup>8</sup> ვახ. „კომუნისტი“, 20 თებერვალი, 1945 წ.  
<sup>9</sup> ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 20 იანვარი, 1943 წ.

<sup>10</sup> ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 18 იანვარი, 1942 წ.

საბავშვო შემოქმედების არასრულწლოვანი განვითარებას და ერთგულ-  
ლი მუსიკალური კოლექტივების სუსტ ორგანიზაციას.<sup>11</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის პერიოდში ხალხური სიმღერების სახით შეიქმნა თანამედროვე ფოლკლორის შესანიშნავი ნიმუშები.

\* \* \*

დღმა სამამულო ომმა სათანადო გამოძახილი ჰპოვა საქართველოს სახვითი ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებაში.

1942 წლის დასაწყისისათვის საქართველოს მხატვრთა კავშირი თავის რიგებში აერთიანებდა 108 წევრს და 33 კანდიდატს. მათ შორის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის განყოფილებებში ირიცხებოდა 21 წევრი და 7 კანდიდატი. 12 მხატვარი ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე წავიდა სამშობლო არმიის რიგებში.

დღედაღამ მთელს საქართველოში მხატვართა დიდი უმრავლესობა თავიდანვე ჩაება თავდაცვითი მუშაობაში, ხოლო 1942 წლის ბოლოსათვის მათ ყველა მხატვარი შეუერთდა. 1942 წელს მოეწყო 2 თეატრული და ერთი სარესპუბლიკათაშორის გამოფენა. ამ უკანასკნელზე წარმოდგენილი იყო საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, გრანდორდის, ვლადიკავკასიის და სხვა მხატვრების ნაშრომები. ამასთან მოეწყო 3 პერსონალური და ამდენივე დახურული გამოფენა მხატვრებისათვის. ერთი წლის განმავლობაში გამოფენა დააგვიღებდა 15.372 კაცმა.

დიდი ყურადღება ექცეოდა მხატვართა კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით, 1942 წელს ჩატარდა 10 შემოქმედებითი მოხსენება და დისკუტი, ხოლო გრაფიკოსებისათვის ამ საქმეს დიდი სპეციალისტის პროფ. პავლოვის ხელმძღვანელობით მოეწყო სამივიანი სემინარი ლინოგრაფიურის ტექნიკის შესასწავლად. 1944 წელს მხატვრებს დაუბრუნდათ კულბის შენობა, რომელიც ომის დასაწყისში სხვა დანიშნულებისთვის იყო გამოყენებული. ორი წლის მანძილზე კულბში ჩატარდა 72 ლექცია, 22 შემოქმედებითი საღამო, 15 გამოფენა და ა. შ.

1943 წელს მოეწყო ფორნტალ ოფიცრის კ. ჭანკვეტაძის პერსონალური გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საფორნტო ჩანახატები, კომპოზიციები და პამფლეტები. ომის პერიოდში კ. ჭანკვეტაძე, სარტლობის დაჯალბებით, პერეკოპზე, იშუნში, არმიანსკოში, სევასტოპოლში აგებდა ომში გმირულად დაღუპულ გმირძალთა მონუმენტებს.

ქართველი მხატვრები ფორნტების ხშირი სტუმრები იყვნენ. 1943 წლის ოქტომბერში, მაგალითად, ფორნტზე მივიღებულ იქნა მხატვართა ბრიგადა შემდეგი შემადგენლობით: სახელმწიფო პრემიის ლაურეატი უ. ჯაფარიძე, მხატვრები შ. მამალაძე, ვ. ჯაფარიძე, გ. გრძელიანი, გ. ხუციშვილი. შემდგომ მათი ფორნტული ჩანახატები გამოფენილ იქნა მხატვართა კულბში და დაიბეჭდა კიდევ პერიოდულ გამოცემებში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ქართველმა ფერწერებმა, გრაფიკოსებმა და სკულპტორებმა არა ერთი ნაწარმოები შექმნეს, რომლებიც დღესაც ამწებენ სამშობლო ხელოვნების საგანძურს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. თოძის „ღუდა სამშობლო გვეხაბის“, „ტანაია“, „პარტიზანი არ გასცემს“, უ. ჯაფარიძის „დაჭრალის მოწოდება“, მ. თოძის „ფორნტიდან“, ი. ნიკოლაძის მიერ შესრულებული გენერალ ჩანჩიბაძის სკულპტურული პორტრეტი და სხვ.

მხატვრული აქტიურად მონაწილეობდნენ საკლდის და საკლდის ფანჯრების გაფორმებაში, პოლიტიკურ თემებზე მათ მთელი რიგი დამახასიათებელი კარიკატურები შექმნეს. მათ 43 წლებში მხატვრებსა დიდი ტირაჟით გამოუშვეს 20 მხატვრული ნახატი, 45 პლაკატი, 50-ზე მეტი დასახელების საგაფორმელო ლოზუნგი; გააფორმეს საკლდის 340 ფანჯარა, რომელთა ნაწილი მასობრივ ტირაჟით გამოვიდა.<sup>12</sup>

თავი გამოირჩინა მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილებამ. აჭარელმა მხატვრებმა მოწვევა რადიონიშემ გამოფენა, სადაც ჩაწებები იყო ფაშოშმის ნამდვილი სახე და სამშობლო არმიის ბროზის საშობობის დასაცავად. მათვე სამხედრო ნაწილებსა და პოსტტლებში გააფორმეს საავიტიკო კუთხეები, შექმნეს პორტრეტები ომის გმირებზე.

\* \* \*

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე თბილისის კინოსტუდიის შემოქმედებითა კოლექტივმა თავისი საქმიანობა ომის მოთხოვნებს შეუთავსა. 1942 წელსვე სტუდიამ გამოუშვა სამამულო ომისადმი მიძღვნილი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „ფორპოსტი“, „სადარაჯო ქობია“, „შაქ მთებში“. იმავე წელს გამოვიდა სამამულო ომის თემაზე შექმნილი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდაი“ (სცენარი გ. მდიენის, რეჟისორი კ. პიპინაშვილი, ოპერატორი ვ. ფისოცი, კომპოზიტორი ა. მჭავარიანი).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კინოფილმი „გოიორგი სააკაძე“ (ორ სერიალ). მისი სცენარი ეკუთვნით ა. ანტონოვიკიასსა და ბ. ჩორნის, დამდგმელი რეჟისორია მ. ჭიაურელი. ფილმის პირველი სერია ეგრანზე გამოვიდა 1942 წლის მისიხის დღეებში, როცა მტერი ცდილობდა კავკასიის მისაღობების გადმოლახვასა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში შემოჭრას. „ქუმბორტად აქტიური თემა დამუშავებულია ისეთი ოსტატობით, რომ... ჩვენ საქმე გვაქვს შედევრობთან“ — წერდა ამ ფილმის შესახებ ავადმედიკოსი ა. ჯანაშია.<sup>13</sup>

მაგრამ თბილისის კინოსტუდია თავისი მოღვაწეობით მაინც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებს. მისმა ხელმძღვანელობამ, — როგორც ეს აღინიშნა საქართველოს მწერალთა აქტივის კრებაზე 1941 წლის 29-30 ნოემბერს, — ვერ გამოინახა ქართველი მწერლების დიდ ნაწილთან აქტიური შემოქმედებითი თანამშრომლობის ფორმები.<sup>14</sup>

შემდგომ წლებში მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება.

1942-45 წლებში თბილისის კინოსტუდიამ გამოუშვა ფილმები „გოიორგი სააკაძე“ (მეორე სერია), „ის კვლავ დაბრუნდება“, „ქართველი მეზობლები“, „ჯურღალის ფარი“, „ოქრის ბილი“, ნახატის ფილმი „სამი მეგობარი“. ქართულ ენაზე დაუბლირებულ იქნა ფილმები „დიდი მოქალაქე“, „სუგოროვი“, „ლენინი ოქტომბერში“, „ზოია“.

თბილისის კინოსტუდიის მიერ დამგებული ფილმიდან კვლავ ყურადღება მიიპყრო „გოიორგი სააკაძე“ (მეორე სერია). სახელმწიფო პრემიით აღინიშნა აგრეთვე მხატვრული მუსიკალური ფილმი „ჯურღალის ფარი“ (სცენარის ავტორები გ. ლეონინი, ს. დლიძე და დ. რინდელი, რეჟისორები

<sup>12</sup> ორნცსკა, ფ. 2422, აღწ. 2, საქ. 214, ფურკ. 14.  
<sup>13</sup> ვახ. „ქუმბორტი“, 9 ოქტომბერი, 1942 წ.  
<sup>14</sup> „ლიტერატურული საქართველო“, 5 დეკემბერი, 1941 წ.

<sup>11</sup> ვახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 22 მარტი, 1945 წ.



ს. დლოძი და დ. რონდელი). ეს ფილმი შემოქმედებითა კოლექტივმა შექმნა ჯურდიან ფარის ლეგენდაზე და მხატვრულ ფერებში დაგვიხატა სამშობლოს დაცვის კვილიშობილური საქმე. ფილმში უხვადაა გამოყენებული ქართული და რუს საბჭოთა კომპოზიტორთა: ზ. ფადიშვილის, შ. ბალანჩიშვილის, ა. სერუგის, დ. არაგიშვილის, ვ. სოლოვიოვ-სერდის, ა. ბალანჩიშვილის, ა. ანდრიაშვილის, ვ. კილიას და სხვათა მუსიკალური ნაწარმოებები და სიმღერები. ეს ფილმი „...ნამდვილი პატრიოტიზმისა და საბჭოთა ხალხების შეურყეველი მეგობრობის მადლიანი დიდი გამსჭვალული ფილმი“ — უწერა გაზეთი „პრავდა“.<sup>15</sup>

„მასთვის, — იცინებს დიდი სამამულო ომის მონაწილე ბ. მაგაიბეგი, — როდესაც ჩვენთან მოიტანეს ფილმები „ჯურდიან ფარი“ და „გიორგი სააკაძე“. ეს სურათები ძალიან მოყვინათ ჩვენს მეგობარ კახაკებს. „ვასილ გიორგის ძე“ ჩვენი სააკაძეა“ — ამბობდნენ ისინი და დივიზიის სათავეში მდგომი მამაკე და ნიჭიერი მხედართმთავრის სახელს წარმოთქმა მათ გულში იწყვედა განსაკუთრებულ სიამაყეს<sup>17</sup>.

თბილისის კინოსტუდიამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწავა დოკუმენტური ფილმების შესაქმნელად.

დოკუმენტური ფილმების სექტორის სახით ჩამოყალიბდა საფორნტო ჯგუფები რეჟისორების: ი. კანდელაკის, შ. ხომერგის, შ. ჩაგუპაძის, ვ. მიტროფანოვის; თეატრების: გ. ასათიანის, ლ. არსუზმანოვის, ო. დევანოსიძის; ალ. ახიზგაშვილის, გ. უსეინაშვილის, ა. ფილიპაშვილის, ა. სემიონოვის, ვ. კილიანისა, ვ. შანიძის და სხვათა მონაწილეობით. მათ კინოფორზე ატვირთეს ქართველ მეომართა არა ერთი საბრძოლო საქმიანობა უშუალოდ ფრონტის მოწინავე პოზიციებზე. სამამულო ომის პერიოდში ქართველი ხალხის შრომით საქმიანობაზე რეჟისორებმა: ვ. ვალიშვილმა, ა. მამულაშვილმა, გ. ზნეძელაშვილმა და სხვებმა შექმნეს დოკუმენტური კინონაწარმოები: „პირველი საფორნტო გაზაფხული“, „გორის ველ“, „კ. ვაკაშვილ სამშობლოს გამარჯვებისათვის“, „დახმარებულ ფრონტელთა ოჯახებს“, „მტკიცე მეგობრობა“ და სხვ.

ომის პერიოდში თბილისის კინოსტუდიამ ეკრანებზე გამოუშვა 15 სერიალტრაქიანი, ოთხი დღეობრივული და ასობით მიკრომეტრაქიანი ქრონიკალურ-დოკუმენტური კინოტურნალი.



უკრაინის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საბჭოთა კავშირის დასავლეთის სხვა მიწები რიგი ტერიტორიების გერმანელთა მიერ დროებითმა ოკუპაციამ, აგრეთვე ქალაქებში მოსკოვსა და ლენინგრადში ომის გამო შექმნილმა პირობებმა საჭირო გახდა ფაბრიკა-ქარხნების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა და შრომობელთა ევაკუაცია აღმოსავლეთში. ისინი ევაკუირებულ იქნენ აგრეთვე ქ. თბილისში. მათ შორის იყვნენ მოსკოვის მხატვრული აკადემიური დიდი თეატრის 50 მსახიობი სსრ კავშირის სახალ-

სო არტები ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მეთაურობით; უკრაინის პეტროსკის და შრონის სახელობის თეატრები; ლენინგრადში კომედის თეატრი; აგრეთვე სხვა თეატრების, ფილარმონიისა და ესტრადის ცრთული შენარტულებები — სულ 314 კაცი. ქ. თბილისში ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი კინოსახალკები, მუსიკისა და ფერწერის ოსტატები, ბათუმში მუშაობდა ხარკოვის თეატრი.

1941 წელს თბილისში ჩამოვიდნენ მხატვრები უკრაინიდან, მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან.

ჩამოსული ხელოვნების მუშაკები ფართოდ ჩაებნენ სასოფაოდებრივ და შემოქმედებით მუშაობაში. ისინი ქმნიდნენ სპექტაკლებსა და კინოსურათებს. აქტიურად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა კადრების აღზრდაში, საფრონტო საშუალო ბრიგადებში. მავალითა, საქართველოში ევაკუირებულმა ხარკოვის პირველმა უკრაინულმა თეატრმა საბჭოთა არმიის მებრძოლებთან, ჰოსპიტლებში, აგრეთვე შავი ზღვის სამხედრო გემებზე 120 საშუალო სპექტაკლი და კონცერტი გაზარა.

დიდი სამამულო ომის დროს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა 30-მდე ოპერა და ბალეტი დადგა. მათ შორის: „თავადი იგორი“, „ტრუფალო“, „ვერტერი“, „ლაკაი“, „სამსონ და დალია“ და სხვა. სპექტაკლების საერთო წარმატება მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ჩვენს ქვეყნის გამოჩენილი არტისტების, დიდი თეატრის სოლისტების: ვ. დავიდოვას, დ. ბადრიძის, დ. მჭედლიძის, პ. ცესარევიჩის, უკრაინის არტისტების: დირიჟორ სტოლერმანის, ვოკალისტი ი. კიპორენკო-დამანსკის, ა. კოლიჩენსკის, ი. კუჩენკოს და სხვათა მონაწილეობამ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ვ. ჭაბუკიანის ჩამოსვლა 1941 წელს. მან ნაყოფიერი მუშაობა გასწავა თეილი სახალტო საქმის გარდასამსწელად.

თბილისში მომუშავე ევაკუირებული რეჟისორებისა და მსახიობების მონაწილეობითა და დაგმებით ეკრანზე გამოვიდა კინოფილმები „წითელფლოტელი მფლონოვი“, „უზინარი იანი“, „მალახოვის ყორღანი“ და „ჩხვინის მოთხრობები“.



საქართველოს ხელოვნების მოღვაწეები მრავალფეროვან საშუალო მუშაობას ეწეოდნენ სამხედრო ნაწილებში, აგიტპუნქტებში, საბჭოთა მეომრების გასაწვევ და შესაკრებ პუნქტებში, ჰოსპიტლებში.

დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე, ამიერკავკასიის სახმედრო ფრონტის პოლიტიკური სამმართველოსა და ცენტრალური საშუალო კომისიის დაავალებით, შექმნა რამდენიმე მხატვრული ბრიგადა 32 წამყვანი მხატვრის შემადგენლობით. ორი თვის განმავლობაში მათ მხატვრულად გააფორმეს რკინიგზის ვაგზლები, საავტოტო და შესაკრები პუნქტები, რესპუბლიკური და რაიონული სახმედრო კომისარიატები, ევაკო-ჰოსპიტლები, წითელი კუთხვები საბჭოთა არმიის ნაწილებში და სხვა. 1942-1943 წლებში მხატვრებმა უსახილდო შეასრულეს: 35-ზე მეტი დიდი და მცირე პანი ისტორიულ და თავდაკვით თემებზე, 14 დიდი კარიკატურა პოლიტიკურ თემებზე, 98 პორტრეტი (მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირების), საკდესის 20 ფანჯარა, 2.000 მტრზე მეტი ლოზუნგი და სხვადასხვა წარწერა, 25 ესკიზი თავდაკვით თემებზე; მხატვრულად გააფორმეს 16 ჰოსპიტა-

<sup>15</sup> კ. ვაკაშვილი, „ნარკვევები ქართული კინომატორგრაფიის ისტორიისა“, თბ., 1950 წ., გვ. 215.

<sup>16</sup> ვასილ გიორგის ძე ვაკაშვილი, პოლკოვნიკი, მე-9 კახეთის ცხენოსანი დივიზიის მეთაური. დაღუპა ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში 1945 წ.

<sup>17</sup> ბ. მაგაიბეგი, ომის იყო გვარდიელია მამა, გავითი ავეჩერნა ტბილისი, 3 მარტი, 1961 წ.



ლი და მათ დროებით სარგებლობაში გადასცვა 60-ზე მეტი ფერწერული სურათი; მხატვრულად გააფორმეს რამდენიმე გამოფენა, აგრეთვე ფრონტზე მიმავალი მატარებლები. ევაკო-პოსპიტლებზე მხოლოდ მხატვრული გაფორმებისათვის მიმარგებული იყო 6 მხატვარი, დაჭრილი მებრძოლთა შორის სისტემატურად ეწეობოდა შემოქმედებითი მუშაობა, მათთვის 1942-1943 წლებში მოეწყო 3 თემბატურა საღამო.

მხატვრები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე წითელი არმიისათვის ტანსაცმლისა და საწურქების შეგროვებაში.

მუსიკოსებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს საარმიო გუნდებს ახალი სიმღერების შესწავლის მხრივ. 1942 წელს საარმიოების კომპოზიტორთა კავშირმა და ხელოვნების მთავარმა სამმართველომ მოქმედი არმიის ნაწილებში საარმიო გუნდებისათვის ახალი მარშებისა და სიმღერების შესწავლის მიზნით მთავალინეს დირიჟორები და გუნდის ხელმძღვანელები. საუბრო ანსამბლების ახალ რეპერტუარში უმთავრესად შევიდა ის მარშები და სიმღერები, რომლებმაც მაღალი შეფასება მიიღეს 1941 წელს გამოცხადებულ კონკურსში (შ. მშველიძის „სამამული ომის გმირებს“, ი. ტუხაიას „სამშობლოსათვის“, ა. ბალანჩივაძის „ლაშქრული“ და სხვ.).

ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საშუფო ბრიგადებმა. უკვე 1941 წლის 26 ივნისისათვის შეიქმნა 27 ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანდა 238-ზე მეტი ხელოვნების მუშაკი. მიუღმა რიგმა ორგანიზაციებმა რამდენიმე ბრიგადაც კი წარმოადგინეს. ასე, მაგალითად, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა შექმნა 3 საშუფო ბრიგადა 6 ჯგუფით, გრიზოლდის თეატრმა — 2 ბრიგადა 3 ჯგუფით, სახელმწიფო ესტრადამ — 4 ბრიგადა 10 ჯგუფით და ა. შ. სულ 27 ბრიგადაში ჩამოყალიბდა 46 ჯგუფი<sup>18</sup>, ბრიგადებს და ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი: ა. ზორავა, ა. ვასაძე, გ. კოკელაძე, დ. მგავია, შ. თარხნიშვილი, ა. ფოცხვერაშვილი, შ. გომელაური და სხვები.

მხატვრული ბრიგადები იქმნებოდა თეატრების, ფილარმონიის, მუსიკალური სასწავლებლების, რადიოკომიტეტის, სახელმწიფო ანსამბლებისა და, ნაწილობრივ, თბილისში ევაკურებულ წამყვან მსახიობთა შემადგენლობით. ქ. თბილისში სახმედრო გარნიზონისა და ევაკო-პოსპიტლების მომსახურებისათვის შედგებოდა მუშაობა 20 მხატვრული ბრიგადა, ხოლო ცალკეულ სახმედრო ნაწილებსა და პოსპიტლებში იზრუნებოდა სახელმწიფო ფილარმონიისა და თეატრების მსახიობთა შერეული ბრიგადები. რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო.

გრადა ამისა, თითოეულ პოსპიტალსა და სახმედრო ნაწილზე მიმარგებული იყო მხატვრული ბრიგადა.

სისტემატურად ეწეობოდა საშუფო სპექტაკლები და კონცერტები თეატრებისა და ფილარმონიის დარბაზებში.

ზაზი უნდა გაესვას იმას, რომ სახმედრო საშუფო მუშაობა მიმდინარეობდა წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული საშუფო გეგმის მკაცრი დაცვით, ყოველთვიური გრაფიკითა

და ჩატარებული მუშაობის სისტემატური ანალიზით. მასალები ყოველთვიურად ეგზანგებოდა ზემდგომ მხატვრობის საკითხები პერიოდულად ინილებოდა როგორც ხელოვნების საქმეთა სამმართველოში, ისე ცენტრალურ საშუფო კომისიაში. ჩატარებული მუშაობის ანალიზის საფუძველზე ისახებოდა შესაბამისი ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სამხედრო საშუფო მუშაობა არ შემოიფარგლებოდა მარტო საქართველოს ტერიტორიით. კონცერტები და სხვა საშუფო ღონისძიებები ეწყობოდა როგორც მოქმედ არმიასა და ფრონტისპირა სამხედრო ნაწილებში, ასევე სხვადასხვა ქალაქსა და რესპუბლიკაში.

გამოსაცვლელ დღეებში თეატრები და ხელოვნების სხვა კოლექტივები თავდაცვის ფონდისა და ფრონტელთა ოჯახების დახმარებისათვის თანხების შეგროვების მიზნით აწყობდნენ საშუფო კონცერტებსა და სპექტაკლებს. დიდი ყურადღება ექცეოდა ავადმყოფი და დაჭრილი მებრძოლის მომსახურებას. პოსპიტლებსა და მის პალატებში ეწყობოდა კონცერტები, შეხვედრები და საუბრები. 1943 წლიდან შეიქმნებოდა ოქნა „დაჭრილი მეთაურთა და მებრძოლთა კულტურული მომსახურების დღე“.

დიდი სამამული ომის დაწყებიდან 1946 წლის 1 იანვრამდე რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა გამართეს 27.280 საშუფო კონცერტი და სპექტაკლი. აქედან სამხედრო ნაწილებში — 12.047, პოსპიტლებში — 8.709, პალატებში — 2.466, აგიტპუნქტებში — 1.120, ფრონტებზე — 1.895, სტაციონარულ დარბაზებში — 608, თავდაცვისა და საბჭოთა მეორების ოჯახების დახმარების ფონდებისათვის — 436. ამავე პერიოდში თავდაცვის ფონდის და საბჭოთა არმიის ოჯახების დახმარებისათვის შეგროვილ ოქნა 9.957.553 მანეთი<sup>19</sup>.

ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს ქ. თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის თეატრებმა და ხელოვნების სხვა დაწესებულებებმა. 1945 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა სულ გამართეს 23.737 საშუფო კონცერტი და სპექტაკლი, აქედან თბილისის ხელოვნების მუშაკებს ეკუთვნით 16.826 სპექტაკლი და კონცერტი, ე. ი. მთელი ჩატარებული ღონისძიების 70,9 პროცენტით.

საშუფო ბრიგადების მოღვაწეობას მაღალ შეფასებას აძლევდნენ საფრონტო გავითები. ამასთან, სამხედრო საბჭოებისა და ცალკეული პოლიტსამმართველოების მიერ გაცემულ დახმარებაში მითითებულია ბრიგადების მიერ გაწეულ დიდ და ნაყოფიერი მუშაობაზე. „ქერის სამხედრო საზღვაო ბაზის მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა — ვკითხოვობთ კონტრადმირალ ფროლოვისა და პოლკის კომისარ მარტინოვის მიერ ხელმოწერილ დახმარებაში, — დიდი ყურადღებით მოვისმინეთ შესანიშნავი და შინაარსიანი კონცერტები... ხელოვნების მუშაკთა გამოსვლები აღფრთოვანებდნენ მებრძოლებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს გერმანულ ფაშისტთა წინააღმდეგ ახალი ბრძოლები-

<sup>18</sup> საქართველოს სახელმწიფო სთეატრო მუზეუმი, ფ. 65, იხ. სამხედრო-საშუფო მუშაობის 1941 წლის საანგარიშო მასალები.

<sup>19</sup> ოსმესკა, ფ. 823, აღწ. 2, საქ. 37, ფურც. 1.

სათვის.<sup>20</sup> ამავე ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ გ. ლომი-  
ნაძე, კ. გაგაშვილი და სხვ., ყირიმის ფრონტის N შენაერთ-  
ში 1942 წლის მარტში გამართა კონცერტები. ....ასეთი კონ-  
ცერტების შემდეგ, — კვითხულობით პოლიტიკასყოფილების  
მიერ გაცემულ დახასიათებაში, — საბრძოლო პოზიციებზე  
გრძობ მუდმივ კავშირს ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასთან.  
იგი აღფრთოვანებს საბჭოთა სამშობლოს სიყვარულითა  
და ვერავ მტრის სიძულელით. მებრძოლები და მეთაურე-  
ბი გულწრფელ მადლობას გამოთქვამენ ასეთი კონცერტების  
გამართვისათვის.<sup>21</sup>

შეგად საინტერესოა აგრეთვე საშფოო ბრიგადების მონა-  
წილთა მოგონებები. არ შემოძლია არ მოვიგონო, — ამბობ-  
და თავის სიტყვაში რესპუბლიკის სახალხო არტიკის თამარ  
ჭაჭავაძე 1943 წლის 15 ნოემბერს ქ. თბილისის ინტელი-  
გენციის კრებაზე, — ჩემი პირველი ნაღობა ფრონტის საზ-  
ზე. ხელოვნების მუშაკები, დავლების მიღების შემდეგ, მან-  
ქანება ფრონტის საზთან სულ ახლოს, ლაშქრობაში მყოფ  
ნაწილებთან მივიყვანა. ზარბაზნების გრიასს უერთდებო-  
და ჩვენი სიმღერისა და საბჭოთა პოეტების ლექსების ძალა,  
ბრძოლის წყურვილისათვის აღაზნებდა ცეკვის რიტმი და  
სიკვილის პირისპირ დამდგარ გულად მეომრებს ჩვენი სიმ-  
ღერა მოაგონებდა თავის სახლ-კარს, თავის სოფელს, რომ-  
ლის დასაცავად სამშობლომ მათ ხელში იარაღი მისცა; მშო-  
ბლიური ლექსი მოაგონებს სატროფს, მეუღლეს, დედას,  
შვილს, რომელთა ნამუსს, პატივს და ბედნიერებას დღეს ია-  
რადით ხელში იცავენ. ამ შეგებაამ ჩვენც რაღაც საოცარი  
ძალა მოგვცა, ფრთა შეგვასხა, ისე თავდავიწყებითა და გა-  
ტაცებით ვმოქმედებდით, რომ ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით.  
პირადად მე იშვიათად მიგრტყნია ჩემი დახმოსვლით ასეთი  
კმაყოფილება, ასეთი სიხარული, სიხარული საკუთარი ხმის  
მინახვისა...

უპირავ წერილს ვღებულობ ქართული მეომრებისაგან.  
ეს წერილები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ჩვენს კონ-  
ცერტებს ამაოდ არ ჩაუვლია. „თქვენი ხელოვნებით, —  
მწერს ფრონტელი გოგი გოგავაძე, — სამშობლოსადმი სიყ-  
ვარული აღზნებულმა, მტრის დიდი უბედურება ვაგეშო...  
ცეცხლის ალმურში ვიგონებთ თქვენს ნათქვამ ლექსს „ჩემი  
ვეფხვებო“ და მტრის პირისპირ მდგომი მართლაც ვეფხე-  
ბად გადავიქცევით ხოლმე... ქართული მწერლობა, თქვენი  
თეატრი, საბჭოთა ხელოვნება ახალ ძალას გვაჭაბებს... სწო-  
რედ ამიტომ ფრონტზე უფრო მეტად განვიცადე და უფრო  
მეტად შევიყვარე ჩემი ხელოვნება, რომელსაც ესოდენი ძა-  
ლა ჰქონია — ადამიანის გულში აანთოს სამშობლოს სიყ-  
ვარული, აღაფრთოვანოს ადამიანი მამაცობისა და გამირობი-  
სათვის.<sup>22</sup>

დიდი სამამულო ომის პერიოდში ხელოვნების მუშაკთა  
მიერ გაწეული ეს მრავალფეროვანი მუშაობა სათანადოდ შე-  
ფასდა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მიენიჭა ხელოვნ-  
ების 8 მუშაკს (მ. ჭიაურელი, ა. ხორავა, ე. ანჯაფარძე,

ს. დოლიძე, დ. რონდელი, უ. ჯაფარიძე, კ. მერაბიშვილი,  
კაკაბაძე); საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირში  
მუდმივად გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
გარდამავალი დროშა, რომელსაც იგი 1940 წლიდან ფლობ-  
და.<sup>23</sup>

თბილისის სამხედრო ოლქის 1946 წლის 14 მარტის  
ბრძანებით ომის დროს საშფოო მუშაობაში საუკეთესო მაჩ-  
ვენებლებისათვის სიკვლებით დაჯილდოვდნენ სომეხეთისა და  
საქართველოს სსრ ხელოვნების მუშაკები. საქართველოდან  
სიკვლები გადაეცა ხელოვნების 20, ხოლო მადლობა გამოი-  
ცხადა 11 მუშაკს. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირების  
რესპუბლიკური სიკვლით დაჯილდოვდა 600-ზე მეტი, ხო-  
ლო საკავშირო სიკვლით 300-ზე მეტი მუშაკი, ბევრს გადაე-  
ცა სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ დაწესებული წარჩინების  
ნიშნები. რესპუბლიკის 4.000 შემოქმედი მუშაკიდან 578  
დაჯილდოვებულია მედლით „გაგასის დაცვისათვის“, ხოლო  
2.000-ზე მეტი — მედლით „მამაკური შრომისათვის დიდ  
სამამულო ომში“.

ომის პერიოდში საუკეთესო სამხედრო-საშფოო და პრო-  
ფესიული მუშაობისათვის დაწესებული ჯილდოები მოიპოვა  
ფრონტის თეატრმა (საკავშირო გარდამავალი დროშა),  
გრიბოედოვის სახელობის თეატრმა (შინაგან საქ-  
მეთა სახალხო კომისარიატის გარდამავალი დროშა), გორის  
თეატრმა (ფაიფურის პრიზი); მარჯანიშვილის სახელობის,  
მოხარად მაყურებელთა რუსულმა და უკრაინის თეატრმა, რომ-  
ელიც ომის დროს საქართველოში იყო (საპატიო სიკვლე-  
ბი).

ამგვარად, დიდი სამამულო ომის პერიოდში საქართვე-  
ლოს ხელოვნების მუშაკებმა ფართო შემოქმედებითი და სა-  
ზოგადოებრივი სახარებლო შრომა გასწიეს, რითაც მნიშვ-  
ნელოვანი წვლილი შეიტანეს პიტლერული გერმანიის განად-  
კურებისა და მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენის საქმეში.

<sup>20</sup> ოკსმსა, ფ. 823, აღწ. 2, საქ. 34, ფურც. 1-5.

<sup>20</sup> საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში, ხელნაწერთა  
ფონდი 3. იხ. სამხედრო საშფოო მუშაობის 1942-43 წწ. სანაგაროშო  
მასალები.

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის  
პარტარქივი, ფ. 17, აღწ. 3, საქ. 425, ფურც. 63-64.

# სოფიკო ჭიაურელი



კორა  
წერეთელი

სოფიკო ზიაურელის აქტიური ინდივიდუალობა ერთბაშად, ან ბავშვობის ასაკში არ გამოვლენილა, როგორც ეს ხშირად მეგვიდრეობითად ხდებდა ხოლმე მსახიობის ოჯახში. იგი არ მონაწილეობდა საოჯახო სპექტაკლებში, არც მამამისის ფილმებში გადაუღლიათ პატარა გოგონა წყნარი ბავშვი იყო, ყმაწვილქალობაშიც მორიდებული და ჩუმი დარჩა. მშობლებს, ვერიკო ანჯაფარიძესა და მიხეილ ჭიაურეს, ეგონათ, რომ იგი ძალიან შორს იყო მათი პროფესიისაგან. ამიტომ მისი გადაწყვეტილება — სსწავლებლად შესულიყო საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ახლობლები ურჩევდნენ გადაეფიქრებინა ეს წადილი, მაგრამ სოფიკომ მისთვის უჩვეულო სიჯიუტე გამოიჩინა. მშობლები გაოცებული დარჩნენ და სულ სხვა თვალთ შეხედეს საკუთარ ქალიშვილს.

სოფიკო დღესაც დარწმუნებულია, რომ მაშინ მას, უბრალოდ, ბედმა გაუღიმა, ან ინსტიტუტის მიმღები კომისია, უთუოდ, მისი მშობლების ავტორიტეტის ტყვეობაში აღმოჩნდა და იგი ჩაირიცხეს. მხოლოდ ინსტიტუტში სწავლისას თანდათანობით, გარკვევით იჩინა თავი ტალანტმა.

მომავალი მსახიობი სულ უფრო თავისუფლდებოდა შემოტყვევი მუსრუკებისაგან, მუშაობაში უფრო რბილი და დამყლილი აღმოჩნდა, გამოიკვეთა მოულოდნელი მეზუნებარე ტემპერამენტი, გონება მახვილობდა, უშუალობა და ზუსტი რეაქცია, დაბაბულობის სცვლიდა ქალურობა, უფრო მოქნილი ხდებოდა და უჩინდებოდა საკუთარი თავის რწმუნაც.

ამ დროს შეინიშნა იგი რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ.

გ. მდივნის სცენარში „ჩვენი ეზო“, რომელსაც იგი ზაშინ დასადგმელად ამაჯავბდა, იყო სწო-

რედ ასეთი ქალიშვილი — ციცილო, და რეჟისორმა თერამეტი წლის სტუდენტი გოგონა მიიწვია ამ როლის შესასრულებლად.

სოფიკოს ამოცანა უბრალო და ამავე დროს, რთულიც იყო. მას საკუთარი თავი უნდა განესახიერებინა ფილმში. ეს თუმცა დიდ ოსტატობას და მსახიობურ გამოცდილებას არ მოითხოვდა, მაგრამ საჭირო იყო გამოკვეთილი უშუალობა და გულწრფელობა.

ეს პირველი როლი კინოში სოფიკოსთვის საოცრად ავტობიოგრაფიული გამოდგა. შიშნარევი სიხარულით ეგებება ციცილო პირველი გრძნობის ჩასახვას. ცოცხალი, უშუალო მონაწილეობის მიღება ახლობელი ადამიანების ცხოვრებაში, სიციცხე და ნერვულობა თავად სოფიკოსაც ახასიათებს. როლზე მუშაობისას მომავალი მსახიობი ფაქტიურად საკუთარ თავსაც შეიცნობდა. როლი ესმარებოდა მას თავისი გრძნობების გამოცნობაში. ამ მხრივ ნიშანდობლივი აღმოჩნდა ერთი ეპიზოდი, რომელიც მან შესანიშნავად განასახიერა გ. შენგელაისთან ერთად... ყმაწვილები თამაშობენ, ცდილობენ ერთმანეთს ხელიდან გამოგლიჯონ ბურთი. ისინი ჭიდაობენ, კბენენ ერთმანეთს, ბურტყუნებენ, იღრინებიან ლეკვებივით, რომელთაც ჭარბი ენერჯია მოსძალადებიათ. მათი შინაგანი განწყობილების საწინააღმდეგო ეს მტრობანას თამაში მოულოდნელად შეწყდება. ერთმანეთს ჩახუტებულნი, თმაბურძენულნი უცებ, რაღაც ჯერ შეუცნობელი ძალის ტყვეობაში აღმოჩნდებიან, ციცილო-სოფიკოს ბურთი გადაავიწყდება და ხელებს გაუშვებს. გულისყურს კი საკუთარი სულის სიღრმიდან მომდინარე უჩვეულო დაღლილობას მიუკვდებს. ქალურობის ეს უცნობი ტალღა ერთბაშად შეაფხოთებს. თუმცა ეს შემფოთება ჯერ შეუცნობელია, მაგრამ მას უკვე ეუფლება აქტიუ-

რი მოუხვეწრბა თავიი გარეგნობის მიმართ — ინსტრუქტურად ისწორებს თემბს, ტბასაცემულს.

ეს ეპიზოდი გამეგრტინია მთელი ფილოსია, რომლის ღირსება სწორედ იმაში გამოჩნდა, რომ ზუსტად და მიზიდდეულად წარმოაჩინა ახალ-გაზრდაში მოწიფულობის ნიშნების გამოვლენა. სოფიო ჭიაურელმა შესწოლო ასევე გულწრფელად და უშუალოდ ვჩვენებინა თავიი გმირის სულიერი სიწმინდე, ინსტრუქტური გრძობა, რაც შემდგომში გადაიზრდება ადამიანებთან უკომპრომიზო დამოკიდებულებაში. ციციანის თანდათან უჩნდება სურვილი გაერკვეს თავიი გრძობებში, ჩასწვდეს მათ სიღრმეს.

უკვე ამ პირველ როლში სოფიო ჭიაურელმა შესწოლო გადმოეცა თავიი შესანიშნავი თვისება — შინაგანი მითრთლავრება, განცდების გულწრფელი გადმოცემის უნარი. შემდეგ კი მსახიობის ამ თანდაყოლილ ნიჭს დამატა კიდევ ბევრი სხვა ღირსებაყ...

სოფიოს პირველი სერიოზული ნამუშევარი თეატრში იყო ხარას როლი. ე. პერიალისის პიედაში „ბაფთიანი გოგონა“. მარჯანიშვილის თეატრის ეს სპექტაკლი ძირითადად ახალგაზრდა დებიუტანტებმა შექმნეს (რეჟისორი ა. ქუთათელაძე და მთავარი როლების შემსრულებლები: ს. ჭიაურელი და გ. ციციკიშვილი).

ბერძენი დრამატურგის პიესაში ნამდვილ პოეზიას რამდენადმე ჩრდილს აყენებდა მელიორამიდან ნასესხები ინტონაცია, სანტიმენტალობა. საჭირო იყო ამ პოეზიის გაგება და აგრეთვე, ჭრეული ფრაზებისა და სანტიმენტალობისაგან განწმენდა. ამიტომ ავტორებმა სპექტაკლს პირობითი გასაღები მოუწახსეს, რითაც თავი დადღწიეს ყოფითობას, წვრილობას, დეკლამაციურ განცდებს სპექტაკლი აიგო ხარას სახეზე, რომელიც სულ ბედნიერების მოლოდინშია და მზადა მასთან შესახებრად. მასში ყველაფერი ემორჩილება სიცოცხლის მარადიულ გრძობებს: სიყვარულს, ადამიანურობას, ერთგულებას. პიესის სოციალური მოტივები მეორე პლანზე გადატანილი.

სოფიო გარდობი როლის ასეთ განსაკუთრებულ კონცენტრაციას, არა მხოლოდ იმით, რომ როგორც მაშინ პრესაში აღნიშნავდნენ, „ახალგაზრდა მსახიობმა ამაღლებული სახე შექმნა თავისი სიწმინდისა და უშუალობის წყალობით“, ან „იგი სცენურად ძალზე მომზიბლავი და პლასტიკურია“. ყველაზე მთავარი იყო მსახიობის ამ ღირსებებით მიღწეული შედეგი. სოფიომ გამოამჟღავნა პოეზიის ფაქიზად შეგრძობების უნარი.

ბუნებრივია, მაყურებლებმა და კრიტიკამაც სოფიოს სცენურ დებიუტთან დაკავშირებით გაიხსენეს ვერიო ანჯაფრადის პირველი როლები. იყო ლაპარაკი სახელგოვანი მსახიობის შემკვიდრებით გადამცემულ ნიშნებზეც. თუმცა ყველა სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ახალგაზრდა მსახიობი არ ბაძავს თავიი დედას და იგი ატა-

რებს თავიი საკუთარ, მხოლოდ მიხთვის დაბასასიათებელ სცენურ გამოხასხველობასო“.<sup>1</sup>

საქმე იმაშია, რომ სცენური საშუალებებისა და სტილის ფლობის მხრივ სოფიოს შემოქმედება სცილდება ნათესაური კავშირის ჩარჩოებს და იგი უფრო ფართოდ, მასშტაბურად უნდა განიხილებოდეს. ამასთან დაკავშირებით თავიი დევე უნდა ითქვას, მარჯანიშვილეთა პირველი თაობის შემკვიდრებ, სოფიომ, დედის რძესთან ერთად შეისისლხროდა ამ შესანიშნავი თეატრის ტრადიციები, სინთეტური სამსახიობო ხელოვნების მკაფიო თვითმყოფადი თვისებები.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა და საერთოდ მთელმა ქართულმა თეატრმა დიდი რევოლუციისაგან შემკვიდრობით მიიღო და დღემდე თაობიდან თაობას გადასცემს რიც თავიებურებებს; ესენია ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი, სხვადასხვა ეპიზოდული ელემენტების თამაში შერწყმა, ფანტაზიის გაქანება, დაუკუებელი ტემპერამენტი და სიცოცხლის დაუცხრომელი სიყვარული.

სოფიომ არსებითად ორგავარი შემკვიდრებია მიიღო, იგი დღეს უშუალოდ აგრძელებს კინოსა და თეატრის უმთიერგამიდრებების იმ ტრადიციებს, რომელიც მარჯანიშვილის სამსახიობო სკოლიდან მომდინარეობდა და ჯერ კიდევ 20-იან წლებში მაცოცხლებელ ძარდად შეუერთდა ახალგაზრდა ქართულ კინემატოგრაფს.

სოფიო ჭიაურელი კინოხელოვნებაში მოვიდა უბრალოდ და თითქოს შემწეულად, მაგრამ მოსვლისთანავე ფართოდ გასსნა ჩვენი კინოერანის ჩარჩოები. წარმატებითი დებიუტების შემდეგ, მას სამომავლოდ იწვევდნენ კინოსა და თეატრში მთავარი როლების შესასრულებლად. მის მიერ განსახიერებელი როლების დიაპაზონი ფართოა. აქ ნახავთ ნორან გამოებს, რომელთაც ეს-ეს არის უყალიბებთ ხასითა, და ნახავთ აგრეთვე რთული წინააღმდეგობრივი ბუნების გმირებს, ძლიერი ვნებისა და გმირული პათოსის ნიშნის მატარებელთ.

ერთი შეხედვით იოლად დასაძლევ ყოველ როლს საფუძვლად უდევს სისტემატური, გულმოდინევი შრომა. ს. ჭიაურელის ნიჭის ჩამოყალიბებაში გარკვეული ადგილი განეკუთვნება მის მიძრავ, ქმედით ბუნებას, დიდ შრომისუნარიანობასა და მომთხვენელობას.

თუ თვალს გადაავალებთ სოფიოს მიერ შექმნილ ვერანულ და სცენურ სახეთა კალენდისკლებს, აღმოეჩინეთ გარკვეულ, სერიოზული შემოქმედებითი აზრის ძიების კანონზომიერებას. ადვილად მისახვედრია, რომ ასეთი ფართო დიაპაზონი, ჯანრის ასეთი ცვალებადობა ტრადედიდან ვოდვევიდამდე, არსებითად ხასიათის მრავალფეროვნების ძიებას ემსახურება.

<sup>1</sup> გ. ბუნნიკაშვილი „ბაფთიანი გოგონა“; გაზ. „ზარია ვოსტოკა“, № 126, 1962 წ.

ამიტომ გაცილებით უფრო საინტერესო უნდა იყოს მივარგნით და აღენიშნოთ ეს კანონზომიერება მსახიობის შემოქმედებაში.

1965 წელს სოფიკომ პარალელურად ითამაშა ორი როლი: კინოში — მზექალა („სხევსურული ბალადა“ — რეჟისორი შ. მანაგაიძე) და ჟანა დარკი (ანუის ამავე სახელწოდების პიესაში) ამ როლების განხორციელებისას მან აღმოაჩინა მისთვის ახალი ემოციური სფერო. ამ ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ გმირს სასიათების სიღრმეში აქვს ერთი საერთო ნიშანი — თავანწირვამდე მისული სიყვარულის გრძობა. ჟანა დარკი მსხვერპლად წვირება სამშობლოს სიყვარულს, მზექალა კი — საყვარელ ადამიანს.

მისი ჟანა — დახვეწილი, ნაზი, შინაგანი სხივით ნათელმოსილი არსებაა. იგი დიდებულია და ამავე დროს ქალწულებრივად ამაღლებულიც; შინაგანად აგზნებულია, გარეგნულად კი თავდაპირველი. მსახიობური შესრულების ძალა სწორედ იმაშია, რომ მას ერთი შტრიხით, ოდნავ გასაგონი ინტონაციით, თითქმის შეუმჩნეველი ჟესტით შეუძლია ბევრი რამის თქმა. აქაც მაგონდება ვერიკო ანუაფარიძე. თუმცა აქ უფრო გამოკვეთილია მათი ნიჭის „ტემპრის“ სხვადასხვაობა. თუ ვერიკოსთან ძლიერი „კრემზენდლით“ მწიფდება ტრაგიკული ინტონაცია, სოფიკო იღებს მნიშვნელოვნად უფრო მოკრძალებულ, მორთოლვარე, გაშიშვლებული გრძობის გამომსახტველ ბგერას, რომელიც არანაკლებ გამომსახველია.

ქართველ-ტრაგიკული ქვრადობის საინტერესოსაგან სოფიკო ბევრ რამეში უარს ამბობს ჟანის პალიტრაზე. არა იმიტომ, რომ მას არ ძალუძს ტრაგედიის ამ სიმაღლის აღება, არამედ იმიტომ, რომ იგი მსახიობს ასკეტურად მიიჩნია. მისი მზექალა სიცოცხლით სავსე, უშუალო, მზიარული ქალიშვილია, ამიტომ უფრო ხვდება მაყურებლის გულს მისი თავდადებული სიყვარული და დაუნდობელი სიკვდილი. ბოლო სცენებს მსახიობი ისეთი დრამატული სიღრმით ასრულებს, რომ მაყურებელს გული ეკუმშება.

თავისუფლად ფლობს სოფიკო თავისი აქტიური შესაძლებლობის რეგისტრს, რბილი ლირიზმიდან და ყოფითი იუმორიდან ადვილად გადადის ტრაგიკულ ქვრადობაში. ეს უნარი სრულად გამოვლინდა მის ეკრანულ ნამუშევარში — სიდონია („წუთისოფელი“).

სიდონიას როლი რთულია შესასრულებლად, რადგან მოიცავს გმირის მთელ ცხოვრებას, ყმაწვილქალიბიდან ღრმა მოხუცებულობამდე და იმიტომაც, რომ ჩვენს წინაშე ადამიანის ბედი მთელი თავისი უძებლობითა და სიხარულით. ზუსტი, უტყუარი სახის შექმნა ერთია, მაგრამ ჩასწვდომი გმირის სულის სიღრმეებს — ყველა მსახიობს როდი ძალუძს.

სოფიკომ შექმნა დიდი ემოციური ტევადობის მკვეთრი სახე.

მასში გადაინხარათა რამდენიმე თემატური მოტივი — დედის სიყვარული და თავშეკავებული



სცენა სპექტაკლიდან „ანტიკონე“. კრონტი — ს. ზაქარიაძე, ანტიკონე — ს. ჭიკაბერიძე.



კადრი ფილიმიდან „ხევეტრული ბალადა“.

გრძნობა ქმრის მიმართ. ბედნიერი ქალისა და მეუღლის დაფარული სიხარული მასში ერწყმის მრავალ სოციალურ თვითშეგნებას, რაც კრიტიკულ ვითარებაში სიღონიას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

სიღონია სურათის თხრობის ემოციური ფოკუსია. ავტორის იდეის თანმიმდევრული განსხეულება ფილმში ამ სახით მიიღწევა. მასში ორგანულადაა შერწყმული ლირიკული და ეპიკური საწყისი.

დედის გრძნობა ფილმში მოცემულია როგორც სილამაზისა და სიყვარულის დაუმრეტელი წყარო. არ არის, და არც შეიძლება იყოს, ისეთი ძალა, რაც გზას გადაუღობავს დედას, როდესაც საქმე შვილის გადარჩენას ეხება. დედის ამ თავდაუზოგავი სიყვარულის ძალას სოფიკო ჭიაურელი გვიჩვენებს ენებიანად, მძაფრად და ტემპერამენტით.

...გამხეცებული ბანდა დადევნება აფრასიონს, სურს შეიჭრას სახლში და ანგარიში გაუსწოროს კომკავშირელთა მეთაურს. შვილის დასაცავად დედა აღდგება.

სახლი გარშემორტყმულია, შველა არსიდან ჩანს და თითქოს აფრასიონის სიკვდილიც გარდევალა. დაჭრილი ვეფხვივით დაძრწის ოთახში სიღონია. მის თვალებში — მიუღვ კვანძე მსხვილი პლანით აღბეჭდილია დაბნეულობა, შიში, როგორ მოიქცეს? რა მიმოიქმედოს? როგორ აღდგეს წინ სისხლისღერას მიწყურებული იარაღის ძალას? მთელს მისი არსება გამოხატავს უსიტყვო სასოწარკვეთილებას. მხოლოდ შიშისა-

გან გახევეტრული ტუჩები იმოკრებენ დედის გულს და აზომავალ სიტყვებს: „ნუ გეშინია, შველა...“ ნუ გეშინია! უცებ წუთიერი დაბნეულობის სცენას ცვლის შეგნებული გადაწყვეტილება. გამოხალისებული ნაპოვნია! სიღონია მხრებში გაიშლება, ამასად ასწებს თავს და ფანჯარასთან მიდის.

...შეიარაღებულია ფესქემე ეცემა ქალის ტანსაცმელი — თავშალი, კაბა... „ახლა შემოდით, შემოდით, თუ შეგიძლიათ, აბა სცადეთ, თუ კაცები ხართ!“ უძველესმა ხალხურმა ჩვეულებამ თავისი გაიტანა. დედამ გაიმარჯვა.

ეს ეპიზოდი, რომელსაც მსახიობი მძაფრი ვნებით, ტემპერამენტის აფეთქების ძალით ასრულებს, გვაგონებს ურიელის წვეყლის სცენას (მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლი).

...წვეყლის მონოლოგი ძლიერდება, თანდათან უფრო მისისანე და საშინელი ხდება, სანტოსის მიერ ყოველი ფრანსის წარმოთქმისას ხალხი შიშისაგან შეაყვინებს. ამ მასობრივ ისტერიას შეწყვეტს ივდიითის გულიდან ამოხეთქილი შეძახილი: „სტყუი, რბინი!“ რჯულის ასეთი არანაშული შებღალავით შეძრწუნებული ბრბო დაიშლება. ივდიითი ერთი ნახტომით კიბის თავზე განდგება, შეჩერდება და მკაცრად ათვალთვრებს გაქცეულ ბრბოს. სცენაზე შემოიჭრება რბილი სინათლე, ორკესტრში აქლერდება ივდიითისა და ურიელის სიყვარულის ლეიტმოტივი. ნელა, ძალაძი ნელა შეტრიალდება სოფიკო ჭიაურელი ურიელისკენ, მისი დაძაბული სხეული მოეშვება, კრუნჩხვებისაგან მოქცეული დასველ გაუნათლებლა, შინაგანი სიხვი დაეფინება... კიდევ ერთი წამი... ხელებს გაიშვევს სატრფოსკენ და მთრთოლვარე სხით წარმოთქვამს: „ურიელ, ახლა ჩემი ხარ სამუდამოდ!“ ვერიკო ანავარიძე ამ სიტყვებს ამბობდა პათეტიკურად და სასწემოდ, რითაც ამტკიცებდა თავის უფლებას, ურიელის ერთადერთი პატრონისა, სოფიკო კი — შემპარავად, ალერსით სთავაზობს თავის უსაზღვრო ერთგულებას.

დღი გაბედა იყო ვერიკოს შემდეგ ივდიითის თამაში. მაყურებლის გონების სიღრმეში ჩაბეჭდილია მისი სკულპტურულად გამოკვეთილი პლასტიკა, სიტყვიერი პარტიტურის მუსიკა. რასაკვირველია, ეს ბოჭყვდა სოფიკო ჭიაურელს. ამასთან ერთად, მის შესრულებას არა აქვს ისეთი ტრაგიკული ძაფრადობა, რითაც განთქმულია დედამისი, მაგრამ როდესაც ძალაში შედის ივდიითის ადამიანური დრამა, სოფიკო წარმოსახავს ურიელსი შთამბეჭდავი ძალით, ტემპერამენტით. არ მიყვება უკვე ვაკავალულ ბოლივს.

სოფიკო ჭიაურელს, როგორც მსახიობს, ახასიათებს კიდევ ერთი თავისებურება, რითაც აიხსნება მისი სწრაფი წარმატება ეკრანზე და გამორჩეული პოპულარობა — რასაც არ უნდა ასრულებდეს, სოფიკო ყოველთვის რჩება ჩვენს თანამედროვედ. და ამას განა მართკის განპირობებს, რომ იგი ერთნაირად ირგებს სოფლურ თუ ქალაქურ ტანსაცმელს? მთავარია, რომ მსახიობი



კარლი ფილიპან „წუთისოფელი“.

შესანიშნავად გრძობს საქართველოს სხვადასხვა კუთხის პლასტიკურ და ინტონაციურ თავისებურებებს. ყოველივე ამასთან ერთად იგი მაინც ქალაქელად, თბილისელად რჩება; სოფიკო მაშინაც ჩვენი თანამედროვეა, როცა ანასიერებს წარსული ეპოსის გმირს, ვინაიდან, პირველ რიგში, თანამედროვეა მისი მხატვრული აზროვნების არსი, შემოქმედებითი მეთოდი.

ფილიპან ანაფანაძის ოსტატობას ყოველთვის საფუძვლად ედო სრულყოფილი, ფაქიზი სტილიზაცია... სოფიკო ჭიაურელი კი, უპირველეს ყოვლისა, უტყუარი და რეალურია. ამიტომ მისი მისწრაფება დღევანდლობისაკენ განაპირობებს მსახიობის შემოქმედების ძირითად ინტერესსა და ასპექტს.

სოფიკო ჭიაურელის გმირი მოაზროვნე, თავისი ღირსების დამამკვიდრებელი პიროვნებაა, რომელსაც აშკარად გამოკვეთილი მოქალაქეობრივი მისწრაფებანი, სიკეთისა და სიმატლიისთვის ღია გული გააჩნია. ნ. მჭედლიძის ფილმში „დაბრუნებული დიმილი“ დრამატული კონფლიქტის ლოგიკა აგებულია აზროვნების ლოგიკაზე. სოფიკო განსაკუთრებით კარგად გადმოსცემს ამ ინტონაციას.

რას შეეხება ნ. მჭედლიძის ფილმი? იგი გადმოსცემს სოფლის ახალგაზრდა გეიშის, ვლენეს მთაბეჭდილებებს, როდესაც იგი დიდი ხნის შემდეგ ჩამოდის შობილიურ ქალაქში, მოვლის ძველ მეგობრებს, ეცნობა ახალ ადამიანებს, ეს არის და ეს. მაგრამ მსახიობი თამაშობს ურთულეს და უზუსტეს ფსიქოლოგიურ გეიულებს. დაიხ, სამწუხაროდ, ვინაიდან უფრო მეტს შესაძლებლობას ფილმის დრამატურგია აქ იძლევა.

სოფიკო ჭიაურელს როლი მიჰყავს ფილიპან კონაციით, რაც ვლინდება არა მარტო მონოლოგში, არამედ აგრეთვე, გმირის მსახიობის თავის მხრივ, წარმოაჩენს მის ნააზრევს. ელენე ხან განმარტოვდება ხლმზე, ჩაიკეტება თავის თავში და სწორედ მაშინ გაწყდება კავშირი ძველ მეგობართან, ახლა მსუბუქ ცხოვრებას რომ ეწევა. სამაგიეროდ, იგი გულღიად ხვდება უცნობ ადამიანებს, მათ მიმართ უფრო მეტ სულიერ სიასლოვეს გრძნობს.

სოფიკო ხაზს უსვამს თავისი გმირის თვალთვლდასა და სულიერ სიმდიდრეს, ადამიანებთან ურთიერთობის დამყარების შინაგან მოთხოვნილებას, სურვილს, გადასცეს მათ საკუთარი სიბოლო, შინაგანი უკომპრომისობა. სოფიკოს როლი დღღობრივის ფილმში „ფერისცვალება“ აგრძელებს ამ ძიებას თანამედროვე ქართველი ქალის ხასიათის სიღრმეებში.

ფილმის გმირი მრავალშეილიანი დედაა. მაგრამ, მიუხედავად დიდი დატვირთვისა ოჯახში, აწუხებს პასუხისმგებლობა ყველას მიმართ, ვინც მის გარშემო ტრიალებს.

ფილმს ზიანი მიაყენა იმან, რომ მისი მხატვრული იდეები წინასწარ იყო განსაზღვრული, ასე ვთქვათ, პროგრამირებული. ამან, თავის მხრივ, სასტიკი კანონზომიერად შეზღუდა გმირების მოქმედება და აზროვნება. სოფისის სახე ჩაფიქრებული იყო მთავარი გმირის ანტიპოდად, რომელიც ადამიანებს განუგვა და დაკარგა მათთან ცოცხალი კავშირი. მაგრამ ეს დაპირისპირება ერთგვარად სწორსაზოვანი იყო, და სოფიკოს მოუხდა მისი რამდენადმე შერბილება. ამ მიზნით იგი გმირს წარმოაჩენს ორ პლანში, მისი ქვეყნის გარეგანი ხასიათი — ენერგიული მოქმედება ახლობლების საკითხი დღღობად, ზრუნვა იმაზე, რომ თავისი არაპრაქტიკული მკობრებისთვის როგორმე მოაწყოს სახელსნობები და ბინები.

მაგრამ გმირის ცხოვრების მარტვე ფორმულაში მსახიობს საკუთარი ნიუანსი შეატევს. იგი ამტკიცებს, რომ, შინაგანი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, სიკეთის ჩადენა არ არის ადამიანთა ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრის გასაღები. ამიტომ, როდესაც ვერ ასიაშივნებს მეგობრებს თავისი ჩარევით მათ ცხოვრებასა და საქმიანობაში, იგი კი არ წუწუნებს ადამიანების უმადურობაზე, არამედ ჩაფიქრება ცხოვრების სირთულეზე, მის სახეზე აღიბეჭდება დაბნეულობა, განსჯა. მისი დინამიკური გმირი მოლოდინულობისაკენ გაოგნებულია და შესაძლოა სულიერ ფასეულობათა გადაფასების აუცილებლობის წინაშე კი აღმოჩნდეს. და თუმცა, ფილმში არაფერია ნათქვამი ამაზე, სოფიკოს გმირის მთელი არსება აქვე ქვეტექსტს გამოხატავს, რომ ცოტას ნიშნავს მოიმოქმედო სიკეთე გულის ძახილის მიხედვით, ამასთან ერთად უნდა იცოდეს, რა ესპიროვებით ადამიანებს ბედნიერებისათვის.



სოფიკო ჭიაურელი მწარდი მსახიობია და ისწრაფვის სრულყოფისკენ. ჯერჯერობით გაიშფორული და რეაღიზებულია მისი ნიჭის მხოლოდ მთავარი დამახასიათებელი ნიშნები, ამიტომ ყოველი ახალი სახე აღსავსეა ხოლმე მაყურებლისთვის მოულოდნელი ელფერით. ასეთი მოულოდნელობა იყო, მაგალითად, საბაინოვას როლი ფილმში „ბროწეულის ფერი“. აქ გაიხსნა მსახიობის გამორჩეული პლასტიკური მონაცემები.

მას რომ ხელეწიფება კომედიის სფერო, ეს დაადასტურა მ. ჭიაურელის ფილმმა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ამ პირველ კომედიაში სოფიკო იყო მხოლოდ და მხოლოდ უშუალო და პლასტიკური. მომდევნო წლებში თავისი შეუპოვრობის წყალობით განამტკიცა და სრულყო ეს მონაპოვარი. ის მონაწილეობს ვოდვილებში, კომედიებსა და მიუზიკლებში: „ჩაღის ქელი“ — სცენაზე, ხოლო „ვერის უბნის მელოდიები“, „არ დაი-დარდო“, „პატარა აურზაური“ — ეკრანზე. ამკარა იუმორით აღბეჭდილ ამ ნამუშევრებში თავს იჩენს ფაქიზი შინაგანი გრაცია, რიტმის მახვილი შეგრძნება. მისი თამაშის მანერა მსუბუქია, ზუსტი და თვალსაჩინო. სამწუხაროდ, სოფიკოს არ შეხვედრია ისეთი კომედიური დრამატურგია, რომელშიც იგი შესძლებდა პაროდიულობისა და კომედიური ქვეტექსტის „მეორე ფსკერის“ გახსნას.

„მელოდიებსა“ და „აურზაურში“ სოფიკოს გმირები დიდი ფანტაზიითაა განსახიერებულნი, მაგრამ სოფიკოს ხომ ჯერ ყველაფერი წინა აქვს.

ჯერჯერობით კი, გასართობი ჟანრის ფილმებში მონაწილეობის პარალელურად, თეატრშიც ამზადა რთული როლი — ნეკინა ოსტროვსკის პიესაში „ტალანტები და თავკანისმცემლები“. დილით ცეკვავს და მერის მიუზიკლის გადაღებაზე, საღამოთი კი თამაშობს სპექტაკლში, რომელიც მსახიობისგან მოითხოვს გარდასული ეპოქის სულისა და კოლორიტის ზუსტ დაცვას, ისტორიულ და ფსიქოლოგიურ უტყუარობას, ოსტროვსკის სტილის უნაკლო ცოდნას.

„მოვლენების ცენტრშია ნეკინა-ჭიაურელი, — წერს ე. გუგუშვილი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“, — სოფიკო ჭიაურელი არ ცდილობს ეროლოგიან-სეული სახის თამაშს. მისი ნეკინა სრულიად არ არის „სოლიდური“, იგი უფრო მეტად „ბავშვურია“, უშუალო. მის არსებაში მუდამ ებრძვის ერთმანეთს შინაგანი ძალა და სისუსტე, უკომპრომისობა და მერყეობა, შეუპოვრობა და მოკრძალება, სასოწარკვეთა და იმედის გამონათება. ამაშია ჭეშმარიტი, დიდი სიმართლე. ასე თამაში შეეძლო მხოლოდ ძალზე გამოცდილ მსახიობს“.

„ძალზე გამოცდილ მსახიობს...“ სოფიკო ხომ ახლა შედის სიმწიფის ასაკში. ბოლო ხანს, თითქმის ყოველ წელიწადს მან მოიპოვა სამი პირველი პრემია ქალის როლის საკუთრებას შესრულებისათვის კინოში. ეს, ერთი მხრივ, მოწმობს მსახიობის ნიჭის ზრდასა და გაფურჩქვნას, მეორე მხრივ, კი თანამედროვეების მიერ მისი შემოქმედების სამართლიან აღიარებას.



ქარდი ფილმთან „ვერის უბნის მელოდიები“.

# „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“

კარლო გოგობე

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მატანეში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართველი მეომრების თავადებაც. გმირულად დაღუპული ბევრი ქართველი მეომრის სახელია ცნობილი, და ვინ მოთვლის, ჯერ კიდევ რამდენი უცნობი ჯარისკაცის საფლავია გასაბრწყინებელი მარადიული ცეცხლის ნათელი შუქით. ახალ-ახალი მასალები თანდათან გვამცნობენ დღემდე უცნობ გმირთა სახელებს.

ბევრი აქვს სათქმელი ქართულ კინოსაც. „ჯარისკაცის მამა“, „ღმილის ბიჭები“, „ჯვარცმული კუნძული“, „შეწყვეტილი სიმღერა“ და ორიოდე სხვაც, მიუხედავად მათი წარმატებებისა, ძალზე მცირეა ამ ხასიათის ფილმებისადმი დიდ მოთხოვნილებასთან შედარებით.

მეტეც, ქართული კინემატოგრაფიის მუშაკებს ჯერ კიდევ არც ერთი საბავშვო ფილმი არ შეუქმნიათ სამამულო ომის თემაზე. ამიტომ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოები „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“ ორმხრივია საყურადღებო. ერთი, რომ იგი ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების ოცდაათი წლისთავს, მეორეც, რომ იგი პირველი საბავშვო-პატრიოტული ფილმია სამამულო ომის თემაზე.

როდესაც ამ ფილმზე ვლაპარაკობთ, ერთხელ კიდევ გვინდა ჩვენს მკითხველებს შევახსენოთ მაქსიმ გორკის ცნობილი გამოთქმა: „ბავშვებისათვის უნდა ვწეროთ, როგორც დიდებულბათვის, მაგრამ ბევრად უკეთესად“. ეს, ცხადია, საბავშვო კინოფილმებზეც ვრცელდება.

კინორეჟისორ ნელი ნენოვას დამახასიათებელი თვისება სწორედ ესაა: ბავშვებისათვის მეტი სიყვარულით, მეტი პასუხისმგებლობით, ნათლად და გასაგებად დგამს ფილმებს. თუმცა ისიც გულწრფელად უნდა ვთქვათ, რომ მის მიერ კინორეჟისორ გენო წულაიასთან ერთად დადგმულ ფილმებს: „ერთი-ხელ გაზაფხულზე“, „დრო იწურება განთიადისას“ და სხვა, ისეთი სასოვადღებრივი ქვრადობა არ ჰქონდათ, როგორც მათსაკებ საბავშვო ფილმებს: „ცეროდენა რაინდები“ (ვდიშერ ყიფიანის სცენარის მიხედვით), „მოვდივართ და მოვიმღერთ“ და ნელი ნენოვას დამოუკიდებელ ტელეფილმს „კლოუნი და კვამლი“.

როგორც თემატურად, ისე ჟანრობრივად ერთიმეორისგან რადიკალურად განსხვავებული ეს ფილმები მთელი სისაყვით

ამჟღავნებენ, რომ მათი ავტორები ღრმად იცნობენ ბავშვთა ბუნებას, ნათლად ხედავენ მათ სულიერ სამყაროს; ამავე დროს ისინი მახვილი პოლიტიკური პრობლემის შესატყვისი მხატვრული ფორმით გადმოსცემენ ჩანაფიქრს.

ფილმები „ცეროდენა რაინდები“ და „კლოუნი და კვამლი“ სამამულო ომის მოტივებზეა აგებული. პირველი, ომით მიყენებული ტრილობების ტკივილებს გადმოგვცემს. მეორე — უშუალოდ ომის პერიოდს ეხება. ამ სურათებზე მუშაობამ ნელი ნენოვას საკმაო გამოცდილება შესძინა იმისთვის, რომ ახლო მომავალში უადრესად აქტუალურ, დადგმის თვალსაზრისით მეტად რთულ ფილმზე („ბიჭები იასამნის ქუჩიდან“) მუშაობას შედგომოდა.

საგულისხმოა, რომ ნელი ნენოვას თვითონაც კარგად ახსოვს ომის წლები. ჯერ კიდევ ძლიერია მასში ომის დროს მიღებული პირველი, თუმცა ბავშვური, მაგრამ საკმაოდ მაგაფო შთაბეჭდილებები. ყოველივე ამან უთუოდ განაპირობა ფილმის „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“ აზრობრივი და მხატვრული მომხიბვლელობა. ფილმს საფუძვლად დაედო ნ. ნენოვას კინოსცენარი, რომელიც შეიცავს ღრმა ფსიქოლოგიურ მომენტებს, კომედიურ სიტუაციებსა და თბილი იუმორითაა გამსჭვალული. ეს არ არის ერთ ნაწარმოებში თავმოყრილი სხვადასხვა სტილის ეკლექტიკური აღრევა. პირიქით, ყველაფერი მოქცეულია ორგანოდ მთლიანობაში, განპირობებულია თვით ნაწარმოების ხასიათით, მისი ჟანრობრივი თვისებებით. ფილმი, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია მოზარდი მკურებელბათვის, ამ თვისებების გარეშე მძიმე და მოსაწყენი იქნებოდა.

გარდა ამისა, სცენარის დრამატურგიული სიმძაფრისთვის სიუჟეტში ჩართულია მოგონებები. ეს ხერხი უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მთავარი გმირის ხასიათის დასახატად. ვინ არის იგი, ვინც ფილმის დასასრულს გმირად იქცევა და რომლის დაღუპვაც, სხვა მოქმედ პირობებთან ერთად, ჩვენს დიდ სინანულს იწვევს?

ზაური ცელქი და მოუსვენარი ბიჭი იყო. აკლებული ჰქონდა სკოლა, არ ასვენებდა არც ბუბია დარეჯანს, არც მეზობლებს. ოცნებობდა მფრინავი გამხდარიყო, გახდა კიდეც. ისწრაფვოდა გმირული საქმეებისაკენ და მართლაც, რომ საარაკო



კლასში მათი საოცნებო გოგონა ზის. ამიტომ, თვით ეს ეპიზოდი არ შეიძლება, რაიმე დავას იწვევდეს, მაგრამ გააკვირვებ მხოლოდ ზაურის ბართი, მისი შინაარსი. ადვილად შესაძლებელია, რომ მასურებელთა უმრავლესობამ ეს ვერც შეამჩნიოს, რადგან რეჟისორული ოსტატობის თვალსაზრისით საინტერესოდაა გაკეთებული, მაგრამ ჩვენ მაინც ვალდებულად ჩავთვალეთ თავი, მასზე ყურადღება გავგვემახვილებინა.

ფილმის სცენარის ავტორი და დამდგელი რეჟისორი ნე-ლი ნენოვა ერთგვებით ბულგარელია, იგი თავის მეუღლესთან — კინორეჟისორ გენო ლულიასთან ერთად 1956 წლიდან ემსახურება ქართულ კინემატოგრაფიას. მოსკოვის კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებმა დადგეს შესანიშნავი მხატვრული კინონარკვევი „ლადო გულიაშვილი“. შექმნეს ჩვენი დროის გამოჩენილი მხატვრის კინემატოგრაფიული პორტრეტი და მასინვე მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება. საბჭოთა კინემატოგრაფიის კვირეულზე პარიზში, აგრეთვე ქართული ლინემატურისა და ხელოვნების დეკლავე მოსკოვში 1957 წელს „ლადო გულიაშვილი“ აღიარებული იქნა ერთ-ერთ საუკეთესო ფილმურ ფილმად. გარდა ზემოთ აღნიშნული ფილმებისა, ახალგაზრდა რეჟისორებმა გადაიღეს სახელმწიფო საესტრადო ორკესტრ „რეზის“ საკონცერტო გამოსვლები, დოკუმენტური ფილმის „ო, რეზო, რეზო!“ სახელწოდებით და მუსიკალური ფილმის „რეზო“ სტუმრებს ღებულაბს.

ამრიგად, ფილმი „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“ უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული რეჟისორის ნამუშევარია. ნ. ნენოვამ საბჭოთა შესატყვისი მხატვრული კინემატოგრაფიული ფორმა მოუძებნა ღრმა აზრთან და საინტერესო სცენარს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ფილმის მსახიობთა ზუსტი შერჩევა. მსახიობთა ხასიათების, ამაღლის, შემოქმედებითი მასშტაბის სწორად განსაზღვრა და ფილმში სათანადო განლაგება რეჟისორის ყველაზე რთული ამოცანაა. ამ უნარს მოუკლებელი რეჟისორი ვერასოდეს ვერ იტყვებდა. მის მიერ დადგმული ფილმისა, თუ სპექტაკლის წარმატებაზე. ეს განსაკუთრებით რთულია მაშინ, როცა საქმე გვაქვს ბავშვებთან და შემთხვევით ნაწახ ტიპაჟებთან.

ნენოვას ამ ფილმში უდავოდ დიდი შინაგანი ინტუიციის შემოქმედად გვევლინება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა რეჟისორმა ბავშვებთან. ყოველ სცენასა თუ ეპიზოდში იგრძნობა მათთან ფიზიკური და მოქმედებულება, სათუთი მიდგომა, სიყვარული. ამიტომ, რომ ბავშვები ნამდვილი მსახიობებივით მიეყვებიან რეჟისორის შემოქმედებით მიზანდასახულებას. სრულიად სხვადასხვა წრის, დროის, გარემოსა და ხასიათის ბავშვები რეჟისორის ნაცად ხელში მეტად მიმზიდველ, დაუეჭვარი სახეებად იძურებიან. ასეთები არიან: პატარა ზაური (კახი კეკელიძე), ვანია ჩიჭოვი (ანდრეი ლევინი), ბუხა (გია ვოლკანი) და სხვები.

ფილმში ნათლად ჩანს, რომ ნ. ნენოვა უდავოდ კარგად იცნობს საქართველოს, მის ხალხს, მათ ხასიათს, ზნე-ჩვეულებებს, თავისებურებებს, ბუნებას. ერთი სიტყვით, უყვარს ის ქვეყანა, სადაც უკვე ოცი წელია ცხოვრობს და მოღვაწეობს.

ფილმში უნდა გამოყოფოთ სცენები ბებია დარეჯანთან (რომლის როლსაც დიდი უშუალოებით და ბუნებრივობით ასრულებს ა. მამასახლიშვილი); ზაურის კაპარტის შემდეგ ატყევი-ლი აურზაური და ბებია დარეჯანის მწუხარება, ზაურის „მეცადინეობა“ და ბებია დარეჯანის მშვიდობიანი ზაურარი მასთან, ზაურისა და ბუხას ჩხუბი ბებია დარეჯანის მონაწილეობ-

გმირბა ჩაიღინა. ბავშვების სიცოცხლის გადარჩენას გმირულად შეეწირა.

ყოველივე ეს სცენარსა და ფილმში ნათლად და ამაღლებულადაა წარმოდგენილი, მაგრამ აქვე უნდა შევიხიზნოთ, რომ მოგონებათა ციკლი სცენარში გაჭიანურებულია. როგორც რაოდენობის, ისე მეტრაჟის მიხედვით იგი უფრო მეტ ადგილს იჭერს სცენარში, ვიდრე ამას დრამატურგიის ლოგიკა მოითხოვდა. მოგონებებს ფილმში თითქმის სიუჟეტის ნახევარი აქვს დათმობილი, რაც გამართლებულად არ მიგვაჩნია. ასეთი არაპროპორციულობა ხელს უშლის სცენარის ძირითადი ხაზის დანიშნულ განვითარებას. იკარგება იმის შესაძლებლობა, რომ უფრო მასშტაბურად ვაჩვენოთ ჭაბუკი ზაურის სამბრძოლო ცხოვრება, მისი მეგობრობა ბავშვებთან და ახალგაზრდა მასწავლებელ ლენასთან. მათი შემეცირება კიდევ უფრო გამოკვეთდა ზაურის გმირულ საქციელს, კიდევ უფრო გააღრმავებდა ფინალში გმირის დაღუპვით გამოწვეულ მწუხარების გრძობას.

სცენარში ყველა მოგონება არ არის გამოწვეული ჭაბუკის სამბრძოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ასოციაციური წარმოდგენებით. თუ შავი კატის დანახვა სახლის ნანგრევებთან ნამდვილად გამოწვევდა ბავშვობისას ზაურის მიერ ქოლგით კატის გაფრთვის მოგონებას, ან ბიჭების ფეხბურთის თამაში, მის საფეხბურთო თავგადასავალს, სამაგიეროდ, არაფერი არ იწვევს ბუხასთან მისი ურთიერთობის ეპიზოდების მოგონებას. ამრიგად, კინოთეატრის წინ ბუხასთან შეხვედრა, შემდეგ მასთან გამართული მუშტი-კრივი, ჩვენნი აზრით, თვითმონაწილე ხასიათს ატარებს და სცენარის სიუჟეტის ერთიან სისტემაში ვერ თავსდება.

ასევე არაბუნებრივად მიგვაჩნია ეპიზოდი, როცა ზაური მის მიერ კონსტრუირებული ფრთიანი მოტოციკლეტით ჩრდილოეთ ყინულიანი ოკეანისკენ ახალი საჰაერო ტრასის აღმოჩენიდან აპირებს გაფრენას.

— რომელი გაფრენა დაგამხსოვრდათ ყველაზე უფრო? — კვითხება ლენა ზაურის. მას, რასაკვირველია, მისი პირველი „გაფრენა“ ახსობს, ცხვირისგამტყეველი რომი ბიჭების დაღწეული მოტოციკლეტთან. ეს სცენა თავისი ხასიათით ცხოვრებისეულია. ზაურის თანატოლი ბიჭები, ჩვეულებრივ, ოცნებობენ ხოლმე საგმირო საქმეზე, მით უფრო მაშინ, როცა

ბით, ზაურის გაპარვა „ჩრდილოეთ სოკანისაკენ ახალი საფრენი ტრასის აღმოსაჩენად“ და სხვა.

გარდა იმ ეპიზოდებში გამოყვანილი უადრესად კოლორიტული ხასიათებისა (მათ შვანისშავად ანსახიერებენ: ს. კიანურელი, ბ. წიფურია, ჯ. ლაღანიძე, ს. კვიციანიშვილი და სხვები), თვით ეზო, სკოლა, ქუჩა, მასობრივი სცენები და სხვა ადგილები ქართული ეროვნული თავისებურების ღრმა ცოდნაზე მიგვანიშნებს.

ამავე განწყობილებითა და ტემპერამენტითა შექმნილი სცენები და ეპიზოდები, რომლებიც სამამულო ომს ეძღვნება ისინი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ გარემოში მიმდინარეობს. მაგალითად, ეპიზოდები: ლენასა და ზაურის (რომელთა როლებსაც მიმზიდველად ანსახიერებენ ნატო წულაია და დიმა გუგუცაია) პირველი შეხვედრა, ლენა და ზაური ბავშვებთან ერთად ავტობუსში, წყალზე მიმავალი

ველების ერთი თვალსაჩინო კომპონენტი, რაც უარყოფითად მოქმედებს ფილმის მხატვრულ მხარეზე.

სელი ნენოვა კი თუმცა ძუნწად, მაგრამ მიხივს საკმაოდ კარგად იყენებს მას...

აი, გრძელ, დათოვლილ შარავზე ლტოლვილი ბავშვში ლენა მასწავლებლის თანხლებით, გადარჩენილ ბარგს მოათრევენ ურიკათი. „მესერშიდტები“ გზას ბომბავებ ბუჩქებში მიმალული ბავშვების ცისკენ მიპყრობილი შემინებული თვალები ნათლად გვაგრძობინებენ ამ უმწუთ არსებების მძიმე ხვედრს.

საკაერო ყაჩაღები გაფრინდნენ. სიუჟე ჩამოვარდა. ბავშვები ძლივს მილასლასებენ. ლენა მასწავლებელი, თვითონაც თითქმის ბავშვი, ურიკაში შებმულა და ბავშვებს შევლის ერთ-ერთმა გოგონამ საყვარელ მასწავლებელს მინდვრის ყვავილებისაგან შეკრული კონა მიართვა. ზამთრის ყვავილ-



კადრი ფილმიდან.

ლენა და ზაური ძელმიწურთან, მათი გამოთხოვება თვითმფრინავთან და სხვა. ასევე ღრმად ეროვნულია ზაურის ბავშვობის ამსახველი სცენები და ეპიზოდები.

რეჟისორის ოსტატობას უნდა მიეწეროს აგრეთვე სწრაფი, დინამიური მონტაჟი, ეპიზოდებიდან ეპიზოდებზე სხარტი გადასვლა, რაც აღრმავებს ფილმის გამომსახველობით მხარეს, ზრდის მისი შემოქმედების ძალას.

როცა მხატვრულ კინემატოგრაფულ სერხებზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ ფილმის კიდევ ერთი დადებითი მხარე. მხედველობაში გვაქვს კინემატოგრაფიული დეტალების შესანიშნავი გამოყენება, ამა თუ იმ მომენტის აზრობრივ-ემოციური შემოქმედების გასაძლიერებლად, რომელიმე მოვლენაზე აქცენტის გასაკეთებლად, ხაზის გასასმელად. ხმოვანი ფილმში მხატვრულ კინემატოგრაფიულ დეტალს, სამწუხაროდ, იშვიათად მიმართავენ. ეს არ არის სწორი. დეტალის უარყოფით კინემატოგრაფს თანდათან ვკარგავთ მისი შეტყ-

თა პატარა კონამ სასიხარულო განწყობილება შექმნა, ძალა შემატა მასწავლებელს, ბავშვებს — ხალისი. მათ ახალი ძალით განაგრძეს გზა. მეტად დიდად ამ მხატვრული დეტალის სიმბოლიური მნიშვნელობა. ვერავითარი უხეში ძალა ვერ მოკლავს სულიერ მშვენიერებას, სიყვარულს, სიკეთეს, მეგობრობას. ასე იკითხება ეს დეტალი. მაგრამ მისი ფუნქცია ამით როდი ამოიწურება. იგი გასაღებია იმ დიდი ოპტიმიზმისა, რომელიც, მიუხედავად სურათის ტრაგიკული ხასიათისა, ფილმს ექსპოზიციური ნაწილიდან ფინალურ კადრებამდე მიყვება.

მხატვრული კინემატოგრაფიული დეტალები უხვად არის გამოყენებული ფილმის ფინალურ სცენებშიც, ზაურისა და ბავშვების გამოთხოვების მომენტში. გოგონას აცრემლებული თვალები, პატარა ჩიჭოვის მიერ ზაურისთვის სათამაშო ძაღლის გადაცემა, ზაურისა და ლენას ნაღვლიანი სახეები თვით-



ფირიანთან და სხვა კინემატოგრაფიული დეტალების ოსტატური გამოკვეთების მშვენიერი მაგალითებია.

დიდი მღელვარების გარეშე ვერ გაისუნებ სატრანსპორტ სალონში გასაჩივრების შემთხვევა, გულის შემძვრელ შეხაზვას, როცა იგი ზაურის აღმოებულ თვითმფრინავს დაინახავს: „არა!.. ეს შევიდანი არ არის!“ ხმის საშუალებით გადაწყვეტილი ეს მხატვრული დეტალი ფილმის იდეური ჩანაფიქრისა და მისი მხატვრული გადაწყვეტის კულმინაციაა.

სხვა კინემატოგრაფიულ დეტალებზეც შეგველოშო შეყვარებულიყავით, მაგრამ მოტიანლი მაგალითებიც სრულიად საკმარისია საერთოდ დეტალის მნიშვნელობის წარმოსაჩვენად.

აქვე აღსანიშნავია ფილმის მეორე რეჟისორის თავმდაბალი და კეთილშობილური შემოქმედებითი თუ ორგანიზაციული მუშაობა. ამ უკანასკნელის შემოქმედებით უნარს, მის ორგანიზაციულ ნიჭს, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. იგი დადამდელ რეჟისორს უდავლილებს მუშაობას, ქმნის ნიადაგს ფილმის ავტორთა ჩანაფიქრის განსახორციელებლად. ყოველივე ზემოთ თქმული საფუძვით გამართლებულია სარეჟისორი ფილმის რეჟისორის ირინე ბილანიშვილის, ქართული კინემატოგრაფიის მეორე რეჟისორთა საუკეთესო წარმომადგენლის მიმართ.

ერთი მხრივ, მშვიდობიანი პერიოდის ხალისიანი დღეები, კომედიური სიტუაციები, ადამიანები, ქუჩები, ცხოვრება და სხვა ობიექტები, მეორე მხრივ კი სამამული ომის მრისხანე დღეები, პირქუში გარემო, თოვლით დაფარული ველ-ზინდრები, მთით ფიქრებასა და დიდ რწუნებას ჩაიძირული ადამიანები, მათი მღუმატე სახეები, ორმელთა ღირნივაც კი აუზხარებისა და სვედის შუქი კრთის, თავისი კონტრასტული ხასიათისა და განწყობილების გამო დიდ შემოქმედებითი სინფერს უქმნიდა კინოოპერატორს, მიუხედავად ამისა, კინოოპერატორი იური კიკაბიძე ერთი, მკაცრად ჩამოყალიბებული სტილით იღებს ფილმს, ამიტომ სურათის მთელი სახეით მხარე მისი იდეური ჩანაფიქრის ზუსტი და ზედმიწევნით სწორი მხატვრული ანარეკლია.

გავისხენით თუნდაც ფილმის ექსპოზიციური ეპიზოდები, დანგრეული სახლები, თვალუწვადენელ ველზე განლაგებული საბჭოთა გამანადგურებლების აეროდრომი, მოიერიშეთა ნაწილი, ზაურისა და მისი მეგობრების შეხვედრის ეპიზოდები, ბებია დარეჯანის ეზო, მეზობლები, ქუჩის სცენები, პორტრეტული გადაღებები და სხვა, როგორც პავლიონების, ისე ნატურული გადაღებები. ყოველივე ეს მხატვრის ნატიფი ხელოვნებითაა ასახული.

სახეზადაა გადაღებული მარაგზის დაბომბვის დროს ბუჩქებს შეფარებული ბავშვების შიშით აღვსილი თვალები, ლენასა და ზაურის სახეები პირველი შეხვედრისა და წაჩხრების დროს, მოგანილი მრისხანებით ანთებული, ასებიითა და კი ამ შეხვედრით გახარებული ლენას სახე, როცა ერთხელ იგი ვაჟს: „რა არის აქ სასაცილო? არა, არის აქ სასაცილო?“ კადრში, ეკრანის მთელი განზომილებით მოჩანს ზაურის სახე, ლენასთან შეხვედრით გახარებული, ავგზნებული თვალებით. იგი სდუმს და ამ დუმილით უფრო მეტს ამბობს ქალიშვილთან შეხვედრით გამოწვეულ სინაურულზე, ვიდრე სიტყვით იტყვად. ან ლენას ცრემლიანი თვალები, ზაურის ნადვლიანი სახე და თვალები, განზორების მძიმე

წუთებს რომ გადმოგვიცემს. შუქ-ჩრდილის ოსტატური გამაყენებით აგვიწერს ოპერატორი ამ ასალგაზრდების სულმეზღვიანობას, მათ მღელვარებას. ნათლად გადმოგვიცემს მათ შინაგან განცდებს დიდი ოსტატობითაა გადაღებული საპაურო ბრძოლები...

მთავარ ოპერატორთან ერთად ფილმზე ნაყოფიერად უმუშავნიანი ოპერატორ პ. რაზმაძესა და კომბინირებულ გადაღებათა ოპერატორს ა. პეტუხოვს.

ფილმში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სურათის დამდგმელი მხატვრის კახი სუცივილის მხატვრობას. ყალმის ამ შესანიშნავი ოსტატის მიერ გაფორმებულ არა ერთ ფილმს მიუღია მაღალი შეფასება („მადანას ლურჯა“, „ჩვენი ეზო“, „სხვისი შეილება“, „მთა ყწყითლი“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, გივი გიგაურთან ერთად „პალიასტომი“ და სხვ.). ცხოვრების ღრმა ცოდნა, მისი მხატვრული გააზრება და ორიგინალური ფორმები გადმოცემა, მხატვრის მიერ ნათლად ჩანს სარეჟისორი ფილმშიც. რეალისტური სტილით შესრულებული მისი ტიპაჟებისა და გადასაღები ობიექტების ესკიზები გააპაირობებს ფილმის მაღალმხატვრობას.

აქვე უნდა აღინიშნოს კოსტუმების კომბინირებულ გადაღებათა მხატვრები: ზ. კორნეევისა და ვ. ვასილიევის, მხატვარ-დეკორატორ გ. სალაძის, აგრეთვე მხატვარ-გრიმორ და ჭელიძის მუშაობა. მათი შემოქმედება დიდად ეხმარება დამდგმელ რეჟისორს, დაიდგმულ მხატვარსა და მთავარ ოპერატორს მიიღოს სისასით წარმოვიდგინონ მათ მიერ მხატვრულად გააზრებული გარემო და სახეითა გაღებები.

შთამბეჭდავია კ. პევენიერის მუსიკა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ი. მოსაშვილის ტექსტზე დაწერილი სიმღერა, რომელიც ზაურის აღმოებულ თვითმფრინავს მიყვება და მათთან ერთად ხალაღს შორს, პირიორტს იქით, ნისლიან ერთად იკარგება. ის სიმღერა ნადვლიანია, მაგრამ თავისი ხასიათით ოპტიმისტურ ქლერადობას აძლევს ფინალს.

ქართული ხმოვანი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებლთაგანი, ხმის ოპერატორი დავით ლომიძე, როგორც ყოველთვის, ამ ფილმშიც მოწოდების სიმძალეზე დგას. მის მიერ ჩაწერილი მხა თუ მუსიკა როგორც ჩაწერის ტექნიკის, ისე გადმოცემის მხატვრობით, მოწონებას იმსახურებს.

აღსანიშნავია მემონტაჟების — გ. მეტუშვილისა და მ. მარგველაშვილის წვლილი, საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა.

მაღლობის ღირსნი არიან სამხედრო კონსულტანტები, საბჭოთა კავშირის გმირები გენერალ-ლეიტენანტი გ. ჯანჯღა და პოდპოლკოვნიკი ა. ხუხრინი, აგრეთვე ფილმის რედაქტორი ი. გოციბიძე. მათმა სასარგებლო რჩევებმა ხელი შეუწყვეს ფილმის ფაქტობრივი ელემენტების სისწორეს, სამამული თვითი სინამდვილესთან მის სისაღვეს, აგრეთვე ზურათის დრამატურგიულ სრულყოფასა და ენობრივ დახვეწილობას.

ასეთი ფილმები ჩვენს მომავალ თაობას ზრდიან პატრიოტიზმის სულისკვეთებით, უნერგავენ მას სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა და თავდადების კეთილშობილურ გრძნობებს.



აპაჩი ხმრასას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. გულსაკლავია, რომ ამ დიდებულ მსახიობზე მოგონებას ვწერ, რომ იგი უკვე წარსულს ეკუთვნის. მას ხომ დღემდე შეეძლო წარმატებით ემოღვაწა ქართულ თეატრში თუნდაც როგორც პედაგოგს, რათა მთავალი თაობისათვის გადაეცა თავისი მდიდარი და შესანიშნავი სცენური გამოცდილება.

აკაკის ჯერ კიდევ ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიიდან ვიცნობდი. იგი სასწავლებელს ამთავრებდა, მე რომ მეორე-მესამე კლასის მოსწავლე ვიყავი.

აკაკი დიდი სიყვარულით სარგებლობდა ამხანაგებსა და პედაგოგ-აღმწერდელთა შორის როგორც თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანი, ხშირად მონაწილეობდა მიწაფეთა ტრადიციულ საღამოებში. მღეროდა შესანიშნავი ხვედრდევანის ხმით, კითხულობდა ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე. სასწავლებლის დასრულების შემდეგ რუსეთში გაემგზავრა, სწავლობდა სამედიცინო ფაკულტეტზე შემდეგ მუშათა დრამატულ წრეებში დაიწყო მოღვაწეობა, როგორც სცენისმოყვარემ, დიდხანს მუშაობდა სახალხო სახლში, რომელსაც იმჟამად შალვა დადიანი ხელმძღვანელობდა.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართულ თეატრშიც ახალი ხანა დაიწყო. მას სათავეში ჩაუდგა სახელგანთქმული რეჟისორი და ჩვენი თეატრის რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც პირველ რიგში თავის ირვლე შემოიკრიბა ახალგაზრდა რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები. ამ რჩეულთა რიცხვში მოხვდა აკაკი ხორავაც და საპატიო ადგილი დაიკავა დასამი მდიდარი აქტიორული მონაცემებით. აკაკი ხორავა ერთ-ერთი ბრწყინვალე შემოქმედია ჩვენი თეატრისა. მან დირსეულად დაიმსახურა ფართო საზოგადოებრიობის აღიარება. სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც. მას, როგორც აღიარებულ შემოქმედს, კარგად იცნობდნენ მთელ სამბოთა კავშირში, პოპულარული იყო ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

დოდო ანთაძე

აკაკი ხორავა სცენაზე რომ მივიდა, მაინცდამაინც არ ჰქონდა გავლილი დიდი თეატრალური სკოლა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აკ. ფალავას სტუდიაში მცირე ხნით მცვალებლობას, მაგრამ მდიდარი მუშებრივი სცენური მონაცემებით აკაკიმ იმთავითვე მიიპყრო თავისი დიდი მასწავლებლის კოტე მარჯანიშვილის ყურადღება. საკმარისი იყო მოხვედრილიყავით ხორავას შემოქმედების გავლენის სფეროში, რომ ელდარ დაივიწყებდით. არაჩეულებრივად ხიბლავდა მსმენელს მისი ხვედრდევანი ხმა, რომელიც გულის სიღრმეიდან მოდიოდა და გადმოსცემდა გრძნობათა სრულ გამას. აკაკი ვირტუოზულად ფლობდა სხეულს, ხმას და სწორად იყენებდა შემოქმედებითი მიზნების მისაღწევად. მისი რაინდული გოლიათური ფიგურა, კეთილმოზილური ქუჩტები, მოძრაობა, მიმიკა ხელს უწყობდა მდიდარი აქტიორული კულტურის გამოვლინებას.

შემოქმედებითი სიმართლე, რომლითაც მსახიობი ხიბლავდა და აჯადოებდა მაყურებელს, ყოველთვის სადა, მაგრამ ამავე დროს ზეაწეული იყო. ამიტომაც მის მიერ შექმნილი სახეები მუდამ რჩებოდა მაყურებლის მეხსიერებაში. საკმარისი იყო ხორავას გამოჩენა სცენაზე, რომ იმთავითვე მყარდებოდა კონტაქტი მსახიობსა და მაყურებელს შორის.


აკაკი ხორავამ სწორად აითვისა ქართული თეატრის მდიდარი ტრადიცია და განავითარა იგი.

რა მასშტაბის როლიც არ უნდა ეთმავნა მას, პატარა ეპიზოდური თუ დიდი, მონუმენტური, შექსპირისეული სახე, ყველგან ავლენდა მაღალ აქტიორულ კულტურას, დიდ ოსტატობას, რითაც ხიბლავდა და იმორჩილებდა მსმენელს. აკაკი ხორავას სცენური ნიჭი მრავალწახნაგოვანი იყო, მაგრამ უმთავრესად ტრაგიკულ როლებს თამაშობდა. თუმცა დიდი ოსტატობით ასრულებდა გმირულ თუ დრამატულ როლებსაც. აკაკი ხორავა შესანიშნავად იყენებდა პაუზას, რაც ძალზე რთული მომენტია მსახიობის ხელოვნებაში. იგი პაუზით დიდებულად გადმოსცემდა გმირის ხსიათის ამა თუ იმ მხარეს. სახის გამომეტყველებით, თვალებით წარმოაჩენდა გმირის შინაგან განცდებს და სულიერ ძვრებს. მას ოსტატურად ეხერხებოდა გადასვლა პერიოდიკულიდან ლირიკულ თუ რომანტიკულ განწყობილებაზე.

მდიდარი და მრავალფეროვანი იყო აკაკი ხორავას სცენურ სახეთა გალერეა. მის

მიერ შექმნილი სახეები გამსჭვალულია ეპოქის პერიოდიული იდეებით. ამიტომაც ან-  
 ხორციელდება დიდი სიყვარულითა და შინაგანი გამართულობით ისეთ გმირს, რო-  
 კორიაცა ბერსენიევი (ლავრენიევის „რღვევა“), ამ როლში აკ. ხორავა ღრმა გაცვებით  
 გადმოსცემდა წარსულით დამძიმებული ადამიანის სულიერ ბრძოლას, რაც მის წრე-  
 ში მოიტანა არსებულმა სოციალურმა ტრადიციებმა. გმირი ეძებს ამ მდგომარეობიდან  
 გამოსავალს და ღრმა ფსიქოლოგიური სველებით არწმუნებს მაყურებელს თავის სი-  
 მართლეს. აკაკი ხორავას შემოქმედებით ზრდაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ალექ-

**აკაკი ხორავა —  
 შემოქმედი და  
 საზოგადო მოღვაწე**



სანდრე ახმეტელს, რომლის ხელმძღვანელობითა და რეჟისორობით მან შესარულა  
 მთელი რიგი მნიშვნელოვანი როლები. ასეთია, მაგალითად, ანზორი. ეს მთის შვილი  
 დროთა ვითარებაში გახდა ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი  
 ხელმძღვანელი. ანდა გავიხსენოთ მისი პლატონ კრეჩეტი. არის რაღაც პოეტური მის  
 მიერ შექმნილ პლატონში — ფარული გრძნობა ტრფობისა, ნაზი სიყვარული დე-  
 დისადმი, სულიერი სისადავე და ღრმა გულწრფელობა; ან გავიხსენოთ მეგრძობი რე-  
 ვოლუციონერის ელიშუქის სახე დადიანის „ნაპერწყლიდან“, ან სერბი რევოლუციო-  
 ნერი ოლეკო დუნდიჩი. დიდი და საპატიო ადგილი უკავია ხორავას შემოქმედებაში  
 სახალხო გმირის არსენას სახეს. ის თამაშობდა გამბედავ, კეთილშობილ გლეხს, რო-  
 მელიც წინ აღუდგა ბატონყმობასა და თვითმპყრობელობას. საინტერესოდ გახსნა აკა-  
 კიმ გიორგი სააკაძის სახე კინოში. მან დაგვიხატა ეროვნული გმირი, რომელიც ებრ-  
 ძის ქედმაღალ, თვითნება ფეოდალებს, სპარს დამპყრობელთ, იცავს და ისწრაფვის

საქართველოს გაერთიანებისათვის. ან დიდი ხელმწიფე — ივანე მრისხანე. მისი ივანე მოწინავე, შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელსაც საწინააღმდეგო თვისებები ახასიათებს. ხორავა ფართოდ იყენებდა თავის აქტიურულ მონაცემებს, ერთ განწყობიდან მეორეში მოულოდნელი გადასვლისა და რიტმის ცვლის ოსტატობას. არას ვიციყვი მის მიერ შესანიშნავად შესრულებულ სირანო დე-ბერვერაკის საინტერესო სახეზე. იგი თამაშობდა მეთენებე პოეტსა და ფრანგ პატრიოტს, გაბაგინებულ მებრძოლს. არ შეიძლება არ გავისხენით ალბანეთის ერთგული გმირის — სკანდერბეგის სახე კიროში, კარლ მთორი „სულგრძელი ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც აშკარა ომი გამოუცხადა მთელ საზოგადოებრიობას“, როგორც ახასიათებდა მას ფ. ენგელსი.

განსაკუთრებული ადგილი უკავია აკაკი ხორავას შემოქმედებაში ოტელოს. ამ როლით მან მოიპოვა საერთაშორისო აღიარება და დადგა ოტელოს როლის არასიქეთისო შემსრულებელ ერთულთა გვერდით. ხორავა ამ სახეს ანასამიერებდა არა იმი, როგორც საერთოდ მიღებულია, — ნდობის დაკარგვა, ან ბრმა ეჭვიანობა. არა, ხორავა თამაშობდა მოწინავე პუნანურ გმირს, რომელიც ცხოვრების გზაზე მოხვდება პატიმრობის ციხეში და ანტიპუნანურ წრეში. ოტელო, ხორავას გააზრებით, არის მალაილი მონაგანი კულტურის მატარებელი. დეჟურმა მისთვის მარტო ცილი, შეყვარებული და შეგობარი კი არაა, არამედ ზნობრივი იდეალისა და სულიერი სისპეტაკის განახლებაც. გაიცილს რა მამიძე სულიერ ტანჯვებს, ოტელო კვლავ იბრუნებს რწმენას ადამიანისადმი, მისი მალაილი დანიშნულებისადმი და კვდება, რადგან ვერ იმყოფებოდა იმ შეგნებით, რომ მან როგორც „უგურმა ინდიელმა, შირს გადასტყორცნა მარგალიტი უძვირფასესი მთელ მის თმზე“. ხორავა დიდი ოსტატობით გადმოგვიცმდა ოტელოს მიერ სიყვარულის მალალ შეგნებას, მის უშოში ტანჯვასა და სულიერ აღორძინებას. მისი უკანასკნელი ნამუშევარი — ოიდიპოს მეფე შესანიშნავი მიღწევაა ბრწყინვალე ოსტატისა და მოაზროვნე მსახიობისა. ის ეწეოდა აგრეთვე რეჟისორულ მოღვაწეობას, დადგა სუმბათაშვილის „მალატი“, გ. მდიენის „მოსკოვის ცა“ და სხვა.

Handwritten notes in Georgian script, likely a review or commentary on the text. The text is dense and difficult to read due to the cursive handwriting. It appears to be a personal note or a short review.

შემოქმედებით მუშაობასთან ერთად აკაკი ხორავა დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. რამდენჯერმე იყო არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი იყო აგრეთვე მუხრანზე მებრძოლი მშვიდობისათვის ამიტომაც აირჩიეს მშვიდობის დაცვის საერთაშორისო საბჭოს წევრად. იყო ჩვენი რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე. აკ. ხორავა — მრავალჯერის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი — დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედალებით. მას ერთ-ერთ პირველთაგანს მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. მის სახელთან მრავალი წამოწყებაა დაკავშირებული: ის იყო რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მთელი ენერჯითა და სიყვარულით ემსახურებოდა კიდევ, სხვადასხვა დროს ამ თეატრის დირექტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის დაარსება, რომლის დირექტორი იყო მრავალი წლის მანძილზე. თუ რა ფაქტობა ეპყრობოდა იგი ასალაზრდებს, რა იმედს ამაყარებდა მომავალ თაობაზე, ცხადად მეტყველებენ ის სტროქონები, რომლებიც მან 1947 წლის 24 ოქტომბერს წაუწერა წიგნზე მაშინ დამწყებ, ახალ უუვე ცნობილ მსახიობს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტ გიორგი გვეჯჭვიორს:

„...ჩემო გოგო! დიდი იმედს მაქვს შენი. დარწმუნებული ვარ, რომ შენ უთუოდ გახდები დიდი, სასახლო მოღვაწე — მსახიობი ქართული თეატრის. კერძოდ და საბჭოთა ხელოვნების საერთოდ. მე მჯერა შენი. იბრძოლე იმისათვის, რომ მომავალმა შენმა თაობამ არ გაიმეოროს ის შეცდომები და ნაკლი მუშაობაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაიც გააჩნდა და გააჩნია ჩემი თაობის სცენის მოღვაწე. შენი მოღვაწეობის საზეიმი დღეებში მიმოიგონებდე, როგორც შენს მოსიყვარულ ახსანავს და მეგობარს“.

აკ. ხორავას დამსახურებაა აგრეთვე საქართველოს თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბება, რომლის პირველი თავმჯდომარეც თვითონ იყო. მშობლიური ხალხის წინაშე ა. ხორავა ჭეშმარიტად შეიძლება ვაღიაროთ ჩვენი ერთგული თეატრის მშვენიერად და სიამაყედ.

აკაკი ხორავამ იმდენი რამე გააკეთა მშობლიური კულტურისათვის, რომ უკუდავება დამისხა და ქართველი ხალხი, ქართული თეატრის ისტორია მას არასოდეს დაივიწყებენ.



## შპიროქავალაბიდი

### პორტრეტი

# ბერაჲ გაგაუჲილი

კიტი მარაბელი

ბურამ გაგაუჲილი ერთი იმ ოსტატთაგანია, ვის სახელთანაც დაკავშირებულია ახალი ქართული ჭედურობის შექმნა და შემდგომი განვითარება. გაგაუჲილისეული ნაწარმოებები საგანგებო ყურადღებას იმსახურებენ იმ მხრივ, რომ მათში თავისებურადაა გახსრებული და გადაწყვეტილი ხალხურ ხელოვნებასთან ჭედურობის ურთიერთობა.

ჭედური ხელოვნების აღორძინება საქართველოში რესპუბლიკის მსატერული ცხოვრების საერთო აღმავლობას მოჰყვა. დეკორატიული ხელოვნების დიდმა წარმატებებმა, ხალხის ყოფაცხოვრებაში ხელოვნების ნაწარმოებთა ღრმა შეჭრამ მყარი საფუძველი შეუქმნა ხელოვნების ამ დარგის წარმატებასაც. ჭედურობის პოპულარობა მნიშვნელოვნად განაპირობა მისმა ღრმად ეროვნულმა ხასიათმა და იმ გარემოებამ, რომ ეროვნული ტრადიციები მათში კარგად შეფუძნდა თანამედროვე ხელოვნების მოთხოვნებს. ქართული დეკორატიული ხელოვნების საყოფილთაო აღიარებაში, ჩვენში თუ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, თვალსაჩინო წვლილი აქვს ჭედურობასაც.

ქართული ჭედური ხელოვნების ახალი აყვავება, მოკლე ხნის მანძილზე დეკორატიული ხელოვნების სრულყოფილებიან დარგად მისი ქცევა, პირველ ყოვლისა, ღრმა ეროვნულმა საფუძვლებმა განაპირობა. თანამედროვე ქართული ჭედურობა ორგანულადაა დაკავშირებული უძველეს ოქრომქანდაკელობასთან, ჭედურ ხელოვნებასთან, პლასტიკასთან, რომელშიც მთელის ძალით გამოვლინდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი სული. ლითონის მსატერული დამუშავების უძველესი და უმდიდრესი ტრადიციები საქართველოში მუდმივ განახლებასა და სრულყოფას განიცდიდნენ.

ახალი ქართული ჭედურობის აყვავება გაპირობებული იყო აგრეთვე ხალხური ხელოვნების მდიდარი საგანძურით, რომელსაც ახლაც სათუთად ინახავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ხალხური ხელოვნება ერთ-ერთი იმ წყაროთაგანია, რომელიც კვებავს ტემპარიტად ეროვნულ ხელოვნებას მისი განვითარების გზაზე, სიცოცხლისუნარიანობასა და ცხოველმყოფელობას მატებს მას.

ახალი ქართული ჭედურობა, ერთი შეხედვით, თითქოს უეცრად დაიბადა, სწრაფად განვითარდა და უმაღლე დამსახურა საყოფილთაო აღიარება, ჩვენი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. იგი ისე ორგანულად შეერწყა დღევანდელობას, თითქოს ამ ხელოვნების განვითარებაში არ არსებულა არავითარი შეფერხება და გრძელდება საერთო გზის აღმავლობა. მაგრამ ეს არ იყო ძველის უბრალო განმეორება, უკვე არსებული

მოტივების გადამოწმება ახალ ყაიდაზე. ძველ-მა ხელოვნებამ განახლებული ცხოვრება დაიწყო ახალ პირობებში, ახალ ნიადაგზე, ახალი მხატვრული ამოცანების ხორცშესხმით.

ქართული ჭედური ხელოვნების აღორძინებას არ ჰქონია შემთხვევითი ხასიათი. ამას თავისი საფუძვლები გააჩნდა. აღორძინება დაიწყო სწორედ მაშინ, როდესაც განსაკუთრებით გაიზარდა ქართული ხელოვნების შემოქმედებითი ძალეები, როდესაც ქართული მეცნიერების მიღწევებმა ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი გახადა საქართველოს წარსული ხელოვნების უმდიდრესი საგანძური. საზოგადოება იმთავითვე დიდი ინტერესით მოვიდა ჭედური ხელოვნების ახალ ნაწარმოებებს, რითაც შეიქმნა კარგი ნიადაგი ამ დარგის შემდგომი სრულყოფისათვის. როგორც ჩანს, ამ წარმატებაში იყო ჭედური ხელოვნებისადმი ეროვნული მიდრეკილება გარკვეული ელემენტით.

ჭედური ხელოვნების აყვავების ეს ახალი ტალღა შეერწყა ბოლო პერიოდის ქართული საბჭოთა ხელოვნების საერთო აღმავლობას. ხალხის გაზრდილმა ესთეტიკურმა მოთხოვნებმა, ინტერესმა გაძლიერებამ ხალხური ხელოვნების საწყისებით გამდიდრებული ეროვნული ხელოვნების სხვადასხვა დარგისადმი — ხელი შეუწყო ქართული დეკორატიული ხელოვნების სწრაფ განვითარებას. გამოყენებითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგმა — კერამიკამ, ქსოვილებმა, ხეზე კვეთამ მეტად თავისებური და ორიგინალური სახე მიიღო. ამ დარგის ნიმუშების უდიდესი წარმატების მიზეზი ძირითადად სწორედ იმამაა, რომ ნათელი ეროვნული სახე მათში შერწყმულია თანამედროვეობის ღრმა შეგრძნებასთან.

ქართული დეკორატიული ხელოვნების ამ საერთო წარმატების ფონზე განსაკუთრებული სიყვადით გამოიკვეთა ჭედური ხელოვნების წარმატებანი, ახალი მიღწევები ამ ძველთაძველი ხელოვნებისა, რომელმაც თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე არაერთხელ განიცადა ბრწყინვალე აყვავებისა და დროებითი დაქვეითების პერიოდები.

ქართველ მხატვართა ახალმა თაობამ ჭედურობას გაბედულად დაუქვეყნა კუთვნილი ადგილი ხელოვნების სხვა დარგებს შორის. თვით ვრთ მოწმები იმისა, თუ გამოფენიდან გამოფენამდე რიცხობრივად როგორ იზრდებოდა, ხარისხობრივად მალღებდებოდა ლითონის მხატვრული დამუშავების ნიმუშები.

განახლებული ქართული ჭედური ხელოვნება თავისი არსებობის არტუთ დიდი ხნის მანძილზე გადაიტყა ქართული საბჭოთა ხელოვნების სრულყოფიან დარგად, რომელსაც საკუთარი ორიგინალური სახე, სრულიად განსაკუთრებული თავისებურებანი გააჩნია. მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენდა ახალ-

გაზრდა ქართველ მხატვართა დაინტერესება ახალი პლასტიკური მასალით, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალებით, რაც, როგორც აღინიშნა, გაპირობებული იყო ეროვნული ტრადიციების ათვისებითაც.

ქართული საბჭოთა ჭედური ხელოვნება თუმცა დაკავშირებულია ძველთან, მაგრამ დამატურულად განსხვავდება შუასაუკუნეების ჭედურობისაგან, როგორც თავისი ხასიათით, ასევე, ცხადია, მხატვრული ამოცანებით. თვალსაჩინოდ განსხვავდება ნაწარმოებთა ფონიდა ტექნიკური მხარეებიც.

ჭედურობის ქართული ოსტატები ძალზე ფრთხილად ეკიდებიან ძველი ტექნიკური ხერხების გამოყენებას. ამ ხერხების უსასრულო არსენალიდან ისინი ფრთხილად აჩრებენ ისეთს, რომელიც შეიძლება გამოადგეთ ამ თუ იმ მხატვრული ამოცანის გადასაწყვეტად. გარკვეული მხატვრული მიზნის მისაღწევად. ხშირად ლითონის დამუშავების ტექნიკური მხარე არსებითად განსხვავდება ტრადიციებით განმტკიცებული ოსტატობისაგან. ამგვარი მიდგომა ისტორიული მასალისადმი სასეხებით გამართლებულია ახალი დარგის ჩამოყალიბების პერიოდში.

დროის არტუთ დიდი მონაკვეთი გვაშორებს ახალი ჭედური ნაწარმოებების შექმნის პირველ ცდებს, მაგრამ უკვე თვალნათლივია ამ ხელოვნების ძირითადი ნიშნები, ისახება მისი სწრაფი განვითარებისა და აყვავების გარკვეული ეტაპები და ზღვრები, აღნიშნული თვალსაჩინო მიღწევებით.

ქართული ჭედური ხელოვნების ამ მიღწევებში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს გურამ გაბაშვილს, რომლის ქმნილებებმა საერთო აღიარება ჰპოვეს და სახელი გაუთქმეს მას, როგორც ღრმა ეროვნულ ოსტატს.

გურამ გაბაშვილის შემოქმედების ჩამოყალიბებისათვის უოულად ჰქონდა მნიშვნელობა იმას, რომ იგი განათლებით ისტორიკოსია. ალბათ ამიტომაც, მას განსაკუთრებით ოზიდებს ძველი ქართული ჭედური ხელოვნება. შუასაუკუნეების ქართული ჭედურობის უმდიდრესმა საგანძურმა მძლავრი ზემოქმედება მოახდინა მასზე. ძველ ოსტატთა ბრწყინვალე ჭედურ ნაწარმოებებს შეუმორჩა სახელები: ასათ მოქმედი, კ ბირილ საფურელი, ივანე მონისძე, ბექა და ბემუენ ოპიზარები, ოსტატი მამნე და სხვები, უკვდავყოფილი თავიანთ ქმნილებებში.

გურამ გაბაშვილი გულდასმით სწავლობს ძველ ქართველ ოსტატთა ტექნიკურ ხერხებს, ცდილობს ჩაწვდეს შუასაუკუნეების შემოქმედთა ხელოვნების საიდუმლოებას. იმავე დროს გატაცებულია ქართული ხალხური ხელოვნებით, რომელიც ხიბლავს მას უშუალოებით, სიხალისითა და განუყოფრებული ხასიათით.

გ. გაბაშვილი ხალხური შემოქმედების ჭეშ-

ბირტი ენთუზიასტია, მისმა მუშაობამ თბილისის სალტერო შემოქმედების სახლში დიდად შეუწყო ხელი ოსტატთა გამოვლენასა და მათ შემოქმედებით წინსვლას.

ამ გატაცებებმა, დიდმა წინაწარმამ მუშაობამ თვისი ნაყოფი გამოიღო: გურამ გაბაშვილის პირველივე ჭედურ ნაწარმებს უკვე სრულიად მკაფიოდ გამოხატულა თავისებურება ახასიათებს.

თანამედროვე ქართული ჭედურობისათვის საერთოდ ნიშანდობლივია ის, რომ ყოველ ოსტატს საერთო, ორიგინალური სახე და ხელწერა აქვს. ყოველი მათგანი საკუთარი გზით მოიხდა ჭედურ ხელოვნებაში. გურამ გაბაშვილის პირველივე ნამუშევრები სხვათაგან განსხვავებული მანერით, თავისებური შემოქმედებით მიდგომით გამოირჩევა.

მინიატურულ ვერცხლის ნაკეთობებში გამოვლენდა პირველად გ. გაბაშვილის ჭედური შემოქმედების ძირითადი ნიშნები. თავისამკაულები, შედალიონები, სამაჭურები, ბეჭდები... ამ ჭედური ნივთების ორნამენტული დეკორი ბევრი რაიმით ემაზურება ქართული ხალხური ხელოვნების მოტივებს. ხშირადაა გამოყენებული ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებები, სხვადასხვა ორნამენტები, რომლებიც ძველ ძეგლებზე მოთავსებულ გამოსახულებებს მოგვაგონებენ.

სამკაული, ეჩემიოდა ეს სამაჭური, ბეჭედი თუ გულსაკიდი, მხატვრის მიერ უმეტეს შემთხვევაში გააზრებოდა, როგორც ერთიანი კომპოზიცია, სადაც ყველაფერი — ფორმა, ფიგურული თუ გეომეტრიული ორნამენტი, ფერადონება — პარმონიულ მთლიანობას წარმოადგენს.

გ. გაბაშვილისეულ ჭედურობაში ერთ-ერთი საერთადღობო ჩვეულება ვერცხლის სამკაულები და მათ გარკვეული ეტაპური მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ნაწარმებთა ძირითად ნაწილს მაინც მინი ჭედური პანთები შეადგენს.

გ. გაბაშვილის პირველი ჭედური პანო გამოფენაზე 1926 წელს გამოჩნდა. ეს იყო „ხევსური გოგონა“ (სპილენძი), დაბალი რელიეფით შესრულებული მარტოვე ვერტიკალური კოიათონიცია — ხევსური გოგონას მკაფიოდ გამოკვეთილი სილუეტი პუნსორებით დამუშავებულ ფონზე. გამოსახულება გიზიდავთ უშუალოდობით, გულწრფელობით. გზიბაეფთ გოგონას ორნავ შექმრთალი პოზა, მოგრძალებული გამოსხედავა, იგრძნობა თურა გატაცებით გადმოსცემს ოსტატი ყოველ დეტალს. იგი ხალხური ხელოვნების საწყისებთანა დაკავშირებული უხელოვან ძაფებით. გოგონას ფიგურა ორნავ სტილიზებულია, რამდენადმე დეფორმირებულია ფორმები, მაგრამ ეს დეფორმაცია აქ აღიქმება, როგორც სახესებით ორგანული, ბუნებრივი ხერხი და არ ახდენს ისეთ უსიამოვნო შთაბეჭდილებას, როგორც ზოგიერთი მხატვრის ნამუშევარი, სადაც სხეულის რეალური კონსტრუქცია, გამართული ნახატი მსხვერპლად ეწვი-

რება მოდურ გატაცებას „პრიმიტივიზმით“. გ. გაბაშვილთან ამგვარი სტილიზება სრულიად უნებრვიად ეღერს და სახესებით ლოკალიად გამომდინარეობს რელიეფის საერთო ხასიათიდან, რომელშიც ქართული ხალხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი დეკორატიულობა და ფორმების თავისებური გააზრება იგრძნობა.

„ხევსურ გოგონაში“ გამოყენებული ტექნიკური ხერხები შემდგომში ტიპური გახდება გურამ გაბაშვილის ჭედური ხელოვნებისათვის: ფონის ელემოდინე დამუშავება პუნსონების საშუალებით, ფიგურის ამოყვანა ზურგის მხრიდან, ხევსურული კაბის დეტალების დავრცობებით გამოსახვა, ხაზგამსული სირტყობრიობა.

ტექნიკური ხერხების ოსტატურმა გამოყენებამ, ნათელ დეკორატიულ მიდგომასა და ქართული ხალხური ტრადიციების შეგრძნებისათვის ერთად, განაპირობა გურამ გაბაშვილის პირველი ნამუშევრის წარმატება და ერთგვარად დასახკიდეც გზა, რომლითაც წავიდა ამ ოსტატის შემოქმედებითი განვითარება.

გ. გაბაშვილის ჭედური რელიეფები აღნიშნული ძირითადი კომპონენტების საკუთესო შერწყმის წყალობითაა შთამბეჭდავი.

ამავე წელსაა შესრულებული „ხევსური ქალის“ წულზევითი ფიგურა. მთავი ურთადლება გადატანილია გამოსახულების დეკორატიულ მხარეზე გულდასმით არის გადმოცემული თმის ვარცხნილობის, თავსამკაულის უწერილესი დეტალები, ხევსურული კაბის სახასიათო ორნამენტი. პუნსონირებული ფონი ამ რელიეფშიც თავისებურ სახასიათს ანიჭებს ნამუშევარს.

1964 წლის სამუშაოდგომო გამოფენაზე გამოჩნდა კიდევ ერთი „ხევსური გოგონა“ — დეკორატიულად გააზრებული კომპოზიცია. ფორმების მთელი შედაპირი ოსტატურადაა გამოყენებული: პუნსონირებულ ბაღეში ჩართულია მტრედების გრაფიკული გამოსახულებები, რაც საერთო დეკორატიულ შთაბეჭდილებას აძლიერებს. სხეულს ცალკეული ნაკვთების ხაზგასმისათვის აქ კარგად არის გამოყენებული ფორფიტის დაფერვის ხერხი.

ამ რელიეფშიც საგრძნობია ის კუთხოვანება, რომელიც მეორდება ხევსური გოგონების ყველა გამოსახულებაში და თითქმის მხატვრის მანერად იქცევა, მის მიერ თავისებურად გადამუშავებულ ფორმებს გადმოსცემს.

ამავე გამოფენაზე იყო წარმოდგენილი ორიგინალურად გადაწყვეტილი ჭედური კომპოზიცია „ურმული“ (თითბერი. ამჟამად აღმოსავლეთის სახლთა კულტურის მუზეუმშია, მისკოვში). მთელ ფორფიტას აესებს ფრთხალურად გაშლილი, ხარის ორი ფიგურა, ქვემოთ ჩარჩოთი გადაჭრილი; ცენტრში — ურდის კოფოზე შემომჭდარი მეურჭმა თვის ზეინის ფონზე საინტერესოდაა გამოსახული ხარების ფიგურა

რები. სტილიზებული ნახატი ხალხური ხელოვნების უუაღო გაგვლენას ცხადყოფს. მარტვი, ლაკინური საშუალებებით გადმოცემულია მთვარის დამის სიმყუდროვე, ხარების ზანტი სვლა, ურმის მძიმე ჭრილი. განწყობილების შექმნას ემსახურება ფერის ოსტატური გამოყენება. ამ რელიეფურ კომპოზიციაში ნათლად გამოსჭვივის ქართული ხალხური ხელოვნების ეპიკური ხასიათი.

1966 წელს რუსთაველის საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჭედური პანო „მეთუნი“ (სპილენძი). დიდი პლასტიკური მოცულობებით კომპოზიციის აგება უწყვეტია ამ ოსტატისათვის. ძირითადი შთაბეჭდილება იქმნება მეთუნის ფიგურისა და ტურჭლის დიდი გლევი ზედაპირებით. ფონი აქაც პუნსონირებულია.

გ. გაბაშვილის მიდრეკილება ხალხური თემატიკისადმი მკვლევარმა მის მიერ თემების შეირჩევაშიც. დამახასიათებელია ჭედური ფილა „თებრონე მიდის წყალზედა“ (თითბერი), შთაგონებული ქართული ხალხური სიმღერით. კომპოზიციაში, რომელიც ქალიშვილია და შველის გამოსახულებათა შესამებას ემყარება, უკვე შეყვანილია პეიზაჟის ელემენტები. განყენებულ, ბრტყელ, ორნამენტირებულ ფონს აქ ცვლის რეალური სივრცის მიზანიშენებელი დეტალები — მთის ქედის აღმნიშვნელი ტყილი ხაზები ფირფიტის ზედა ნაწილში. ამ შვიდ, ლაკონიურ კომპოზიციაში ერთი ტყილი ხაზით აღნიშნული გარემო ხელს უწყობს კომპოზიციის გამთლიანებას. ქალის ფიგურის კუთხოვანი კონტური მკაფიოდ იკითხება დაქუცმაცებულ ფონზე. რელიეფის საერთო ხასიათში გადამწყვეტია ნახატის საზოგადო რიტმი. ფიგურაში, ისევე როგორც ხევისური გოგონას გამოსახულებაში, ის ხაზგამხელი კუთხოვანებაა, რომელიც მათ განსაკუთრებულ მომხიბლავობას ანიჭებს და გაბაშვილისეულ ჭედურ ფირფიტებს დამახასიათებელ იერს აძლევს.

ქართული ჭედურობის აღმავლობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენას (1966 წელი), რომლისთვისაც ენთუზიაზმით მუშაობდნენ ჭედურობის ქართველი ოსტატებიც. ისინი გაატაცა რუსთაველისეულმა თემმა, რომელიც მუდამ წარმოადგენდა ქართველ მხატვართა შემოქმედებით ინტერესს. მომხიბლავი იყო ახალი მხატვრული ამოცანა — გენიალური პოეტისა და მოაზროვნის დიდებული სახის შექმნისა ლითონის პლასტიკაში, რომელმაც ესოდენ მაღალ განვითარებას მიაღწია სწორედ რუსთაველის ეპოქაში.

შოთა რუსთაველის სახე თავისებურად განასახიერეს ქართული ჭედურობის ოსტატებმა. ორიგინალური და ნაირსახოვანია თითოეული



მთავანის მიერ გამოყენებული მხატვრული და ტექნიკური ხერხები. რუსთაველი გააცოცხლა მისი თხზულების ყდის მოჭედილობაში, მონუმენტურ პანოებში, მინიატურულ რელიეფებში. თითოეული მხატვარი ისწრაფვოდა ლითონში საკუთარი ხედვით გადაეტანა დიდებული გონისის სახე.

ჭედურ ფილებზე ახლებურად ამტკვევდა რუსთაველის პორტრეტი. საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევარში გ. გაბაშვილმა პოეტის სახის გასხნის საკუთარი გზა აიჩინა. იგი შეეცადა მიეცა დიდი მოაზროვნის თავისებური, ორიგინალური პორტრეტული ინტერ-



კ ვახუშტი.  
დავით აღმაშენებელი  
ნაღირთა.  
თეშის ქალი.



პრეტაცია. გულისყურით შესწავლა რუსთაველის ეპოქის ხელოვნების ძეგლები, საერო პირთა გამოსახულებები, ქტიტორული პორტრეტები. ამრიგად, შეიქმნა შოთა რუსთაველის ახალი ორიგინალური ჭედური პორტრეტი.

რუსთაველი ქტიტორის ტრადიციულ პოზი-  
შა გამოსახული, ასევე ტრადიციული ქესტით, მარჯვენაში დახვეული გრანგილი უკავია. გამ-  
ხდარი, ასკეტური სახე ფიქრით და აზრითაა  
აღსავსე. რელიეფური ფილა გ. გაბაშვილისთ-  
ვის დამახასიათებელი დეკორატიული მანერი-  
თაა განხორციელებული. ფონის პუნსონირებულ  
სიმეტრიულ წყობაში ასომთავრული წარწერაა  
ჩართული. გულდასმით შესრულებული ქსოვი-

ლის სახეები საერთო ორნამენტულ კომპოზი-  
ციაში შედის. რუსთაველის ეს პორტრეტი გა-  
მოირჩევა თავისებური სიბრტყობრივ-ორნამენ-  
ტული გადაწყვეტით, რომელიც მას ძველ ქარ-  
თულ ფრესკულ მხატვრობასთან აახლოებს.

1967 წლის დიდ საიუბილეო გამოფენაზე  
წარმოდგენილი იყო გურამ გაბაშვილის რამ-  
დენიმე ჭედური კომპოზიცია: „სვანი მონადი-  
რე“ (თიბერი), „თუში ქალი“ (სპილენძი),  
„გუთნისდედა“ (თიბერი), „გუთნისდედის  
შესანდობარი“ (თიბერი). ამ ნამუშევრებში  
ნათლად ჩანს ოსტატის ამოცანა — შექმნას  
რთული ჭედური კომპოზიციები, რომელთა აკ-  
ბაშიც ბევრი რამ ისევ ხალხური ხელოვნებით

იქნება ნაკარნახევი. კომპოზიციის ერთგვარი ხალიჩისებური გამლა, ადამიანის და ცხოველთა ფიგურების თავისებური სტილიზაცია, რელიეფის დამუშავების ხასიათი — ყველაფერი ეს მხატვრის სწორედ ამგვარ თანაფიქრზე მიუთითებს. ამრიგად, ხალხური თემატიკა მტიცილ იკიდებს ფეხს მის შემოქმედებაში.

მხატვრული ამოცანიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ტექნიკური ხერხების მთელი სისტემა, რომელიც ჩანაფიქრის სრულად გახსნის შესაძლებლობას აძლევს მხატვარს. თავისებური კომპოზიციური ხერხებიც ნათელ მიზანს ემსახურება. თემატიკურად გაერთიანებული პანოების ამ ჯგუფში განსაკუთრებით გამოიკვეთა გურამ გაბაშვილის ორიგინალური მხატვრული მანერა.

ამ მხრივ დამახასიათებელია „გუთნისდღის შესანდობარი“ — ასე ვიქვით, „პრიმიტიულად“ აგებული სიმეტრიული კომპოზიცია. წინა პლანზე ერთგვარი კუთხოვანი მოძრაობით გამოსახული ორი მამაკაცი, რომელთა მანიშნებელი ფეხები (აღებული ძველი ქართული რელიეფური გამოსახულებების რეპერტუარიდან) მიუთითებს რელიეფის ცენტრში მოთავსებულ საზარის გუთნის გამოსახულებას ქვაზე უკანა პლანზე ხარი და სტილიზებული მცენარეა. ამ პატარა ჭედურ ფილაში იგრძნობა ღრმა ეროვნული ფესვები, ხალხური ხელოვნების სურნელუბა და თემის დიდი სიყვარული.

ხალხური ხელოვნების გავლენა გურამ გაბაშვილის ბევრ რელიეფში ჩანს. არქაული ხელოვნების ელემენტების გამოყენება თავისებურ ელფურს აძლევს ლითონის კომპოზიციებს. ამ მხრივ დამახასიათებელია „გუთნისდღა“. სიღრმის, პერსპექტივის უქონლობა, ფონის დეკორატიული დაქუქვაკუქვა, ადამიანის ფიგურის ფორმების დეფორმაცია და პროპორციის დარღვევა, ხელის მტკნავების ექსპრესული გაზვიანება, ხარების არქაიზებული, სტილიზებული ნახატია არა მარტო ამ კომპოზიციის, არამედ გურამ გაბაშვილის კომპოზიციათა უმრავლესობისთვის არის დამახასიათებელი.

თანდათან ძლიერდება მხატვრის მიდრეკილება მრავალფიგურიანი, რთული რელიეფებისადმი. ასეთებია მისი „ლილოვ“, „მრავალკამიერ“, რომლებშიც მის წინაშე უკვე ახალი კომპოზიციური ამოცანები ისახება — სივრცის გამოსახვა და ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებებში სტილისტური მთლიანობის მიღწევა.

ბოლო პერიოდში შესრულებულ ჭედურ ფირფიტებს საერთო სტილისტური ნიშნები გააჩნიათ: კომპოზიციის რიტმულობა და თავისებური სიმეტრია, საზოგადო ნახატის სპეციფიკური ხასიათი, ფონის დეკორატიული დამუშავება, ფიგურათა არქაიზებული სტილიზაცია, ცხოველთა ფიგურების აღმოსავლური იერი, მცენარეული მოტივების პირობითი ხასიათი, ფოლკ-

ლორული მოტივების გამოყენება, სხეულის ცალკეულ ნაწილთა ექსპრესიული გაზვიანება და კომპოზიციის სპეციფიკური არქიტექტონიკა.

გ. გაბაშვილის ჭედურ შემოქმედებაში გამოიკვეთა გარკვეული გზა — ერთფიგურიანი მარტივი კომპოზიციებიდან, სადა ფონით, რომელიც მხოლოდ პუნსონებითაა დამუშავებული — რთული მრავალფიგურიანი კომპოზიციებისაკენ. სადაც ადამიანების გარდა ცხოველთა გამოსახულებები და სხვა ატრიბუტებია ჩართული. ამ ატრიბუტთა (ღიქები, ფიალები, ყანჭები, ურეში, გუთანი, საფლავის ქვა და სხვ.) შორის უმრავლესობა ეთნოგრაფიული სიზუსტითაა გადმოცემული. გ. გაბაშვილის უკანასკნელი ნამუშევრები სწორედ ასეთი, რთული მრავალფიგურიანი კომპოზიციებია, სადაც ფონი თითქმის აღარ ჩანს და ფიგურების ზედაპირი მთლიანად შეესებება ფიგურებითა და სხვადასხვა დეტალებით.

ყველა ეს ნიშანი დამახასიათებელია კომპოზიციისათვის „ლილოვ“. ლითონის ჩამუქებულ ფირფიტაზე ოქროსფრად და გამოხატებული რელიეფი. ცენტრი ხაზგასმულია ვერტიკალურად განაწილებული ხარის თავების რტებით. პუნსონით დამუშავებულ ფონზე სვანთა ორი სიმეტრიული ჯგუფი აწონასწორებს ამ სიბრტყობრივ, ორამენტულად გადაწყვეტილ კომპოზიციას. ფირფიტის ზედა ნაწილში მზის დისკო და სვანური „ლეში“ ხალხური ხელოვნების მდიდარი რეპერტუარიდანაა აღებული. დაბალი რელიეფის თავისებური ხასიათი, ფიგურათა კუთხოვანი სილუეტები, ძველი ქართული ხელოვნებით შთაინფორმებული სახეები ამ რელიეფურ კომპოზიციას განსაკუთრებულ იერს ანიჭებენ.

ამეც ხასიათისაა „მრავალკამიერი“. კომპოზიციის აზრობრივი ცენტრია ქტიტორის პოზაში გამოსახული ფიგურა, რომლის ირგვლივ, ხალიჩისებურად გადაწყვეტილ ფონზე, განლაგებულია ვერძებისა და თევზების გამოსახულებები. აქაც ჩანს გურამ გაბაშვილისათვის დამახასიათებელი სიმწიდე, სტატიკურობა და შინაგანი ძალა.

ბოლო ნამუშევრებში მხატვარი ავითარებს საკუთარ გამომსახველობით ხერხებს და მათი ერთგული რჩება. ამას მოწმობს ჭედური რელიეფები — „ოჯახი“, „ნადირობა“, „დღილება შემოდგომას“, „რევოლუციის ნაღრავი“. კომპოზიციები კვლავ ორამენტულ-დეკორატიულ პრინციპს ეყარება. მონუმენტური, სტილიზებული ფიგურები განსაკუთრებით დახასლოდნენ ძველი ქართული ოსტატების მიერ შექმნილ სახეებს; პერსპექტივის კანონები მიზანდასახულად უგუვდებულა და ამით კიდევ უფრო მეაფიო ხდება ამ ნამუშევრების კავშირი ხალხური ხელოვნების ნიმუშებთან, ძველ ქართულ რელიეფებთან. არქაიზაციას აძლიერებს ტარ-

ბდ გამოყენებული ეთნოგრაფიული ელემენტები — დამახასიათებელი ჩაცმულობა, სამიწათმჭოდო და სამომარი იარაღები, მუსიკა და მთავრის სიმბოლური ნახევები, სიცოცხლის ხის მოტევი. მევეთრად გამოვლენილი სიბრტყობრიობა, ნახატის წამყვანი როლი კომპოზიციაში, ეპიკურობა თავისებურ ხასიათს ანიჭებს ამ რელიეფებს.

სწორედ ქართული ხელოვნებისადმი განსაკუთრებული მისწრაფებით უნდა ახსნას გ. გაბაშვილის ცდები — შექმნას დეკორატიული ლითონის ჭურჭელი. მის მიერ ვერცხლისა და სპილენძისაგან შექმნილია ჯამები და თევზები ჭურჭლის ერთ ჯგუფს წარმოადგენს სპილენძის სამკუთხა ან ოთხკუთხა თევზები, თავისებურად მომრგვალებული კალთებით. ჭურჭლის ზედაპირი, როგორც წესი, თევისთაა დამუშავებული. იქმნება მუქი სპილენძის ორიგინალური. ცხოველბატული ფაქტურა. ცენტრალური ნაწილი ფიგურულ გამოსახულებას ეძიობა, თვისი ჭურჭლის კალთები კი მათ ჩარჩოს წარმოადგენენ. ასეთია, მაგალითად, „თევზი ირმის გამოსახულებით“ (1962 წ.), რომელშიც უძველესი არქეოლოგიური მოტივებია გამოყენებული და რამდენიმე სპილენძის თევზი ჯიხვების სტილიზებული გრაფიკული გამოსახულებით.

ფერცხლის ჯამებში ისტორიული ჭურჭლის ელემენტებს ვხვდებით. მაგალითად, ორი ვერცხლის ჯამის კალთები (რუსთაველის საიუბილეო გამოფენიდან) კოვზისებური ორნამენტით არის დაფარული, ცენტრში ფსკერზე კი რელიეფური „ბაკური“ თავია გამოსახული. ამ შემთხვევაში საჭიროა დიდი ზომიერება ჭურჭლის დეკორით გადატვირთვის ასაკილებლად და მთლიანი მხატვრული სახის უფრო ღრმა გააზრება.

გურამ გაბაშვილის ჭედურ შემოქმედებაში მკაფიოდ გამოიყოფა სამი ჯგუფი: სამკაულები, ლითონის დეკორატიული ჭურჭელი და რელიეფური პანოები. ეს ჯგუფები სტილისტური და მხატვრული მთლიანობით ხასიათდება, რასაც განაპირობებს ოსტატის მიერ მასალის თავისებური შერჩევა, დეკორატიული მოტივების შერჩევა ხალხური ხელოვნების საკანძორიდან, გარკვეული განზოგადება, მასალისა და მხატვრული ხერხების შესაბამისობა. სწორედ მასალისადმი დამოკიდებულებაში იგრძნობა ღრმა კავშირი ხალხურ ხელოვნებასთან.

გ. გაბაშვილი რელიეფებისათვის ტიპურად ქართულ სიუჟეტებს არჩევს: მხარზე შედგმული დოქით წყაროზე მიმავალი გოგონა, ურმის კოფოზე წამომჯდარი მეურბე, მორცხვად თვალგდამხრილი ხევსური ქალიშვილი, სვანი მონადირის კოლორიტული ფიგურა, ტრადიციული ქართული შესანდობარი, ძველი სვანური სიმღერა... ამ სიუჟეტურ მოტივებს უშუალოდ ქართულ სამყაროში გადავყავართ. სტილიზებული მეტყვე-

ლი კონტური, იუველირული სიზუსტე, რიტმის მკაფიობა, ორიგინალურად გააზრებული დეკორატიულობა — ყველაფერი ეს გ. გაბაშვილის ლითონის რელიეფებს განსაკუთრებულ თავისებურებას ანიჭებს.

გ. გაბაშვილის ნამუშევრები სხვა ოსტატთა ჭედურ რელიეფებზე უფრო მეტად გვაგონებენ ჭედურობის უძველეს ქართულ ნიმუშებს. ეს ალბათ, იმის გამო, რომ იგი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება ნაწარმოებთა შესრულების წმინდა ტექნიკურ მხარეს, ცდილობს ლითონის რელიეფთა ჭედური მხარის წინ წამოწვიას. ამას იგი ახერხებს ძველ ოსტატთა შემოქმედების შესწავლისა და საკუთარი ტექნიკური მომზადების მუდმივი სრულყოფით. ამიტომ არის, რომ გ. გაბაშვილისეული ფირფიტები თითქოს უფრო „ჭედურად“ გამოიყურებიან. „ხევსური კოვზების“ თავსამკაულებისა და გულისპირის ორნამენტების დამუშავების მხატვარი მკაფიოდ ეკორატიულ ეფექტს აღწევს. კომპოზიციაში ეს სამკაულები ცხოველბატულ აქცენტს ქმნის და ეროვნულ კოლორიტს აძლევს გამოსახულებას.

ის, რომ გ. გაბაშვილს რელიეფთა მიუხედავად გარკვეული რკალი გააჩნია, მოწმობს ინტერეს თემებისადმი, რომელიც უფრო ახლოა მის შემოქმედებით ინდივიდუალობასთან, საშუალებას აძლევს სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი.

დღეისათვის, როდესაც ქართული ჭედური ხელოვნება საყოველთაოდ აღიარებულ დარგად იქცა, მისი ერთ-ერთი წამყვანი ოსტატის გურამ გაბაშვილის შემოქმედება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ამ ოსტატის ხელოვნებაში მთელი სიცხადით ვლინდება ეროვნულ ჭედურობის ის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც სრულად ორიგინალურ სახეს იღებს მის ნაწარმოებებში.



ხშირი როდია თეატრებში იმგვარი დადგმები, ერთთავად რომ მიჯნავენ მაყურებელს რეალობიდან და, ძველი ბერძნების არ იყოს, თანამონაწილის სიმსურველით განგაცდვინებენ სცენის ილუზორულ ყოფს. გრანძობაჭარბათივის მცირედიც საკმარისია, მაგრამ სად ვპოვოთ ის შემოქმედებითი იმპულსები, მხატვრულ სახეთა ჩამონქნელი დაუსრუტელი ემოციების ის ჭეშმარიტი სათავე, თვით დაგველუ გრანძობასაც რომ ბალღურ სინდელესა და შთამბეჭდაობას უბრუნებენ. დრამატურგთა და რეჟისორთა ამ უკვდავების წყაროს ბევრმა მაძიებელმა შე-ლია ჯანი და ენერჯია, მაგრამ აქაც მრავალნი აღმოჩნდნენ წოდებულ და მცირედნი რჩეულ.

ამგვარ ხელმოცარულთა და ამაოდ დამაშვრალთა რიგს როდი მიეკუთვნება ახალგაზრდა რეჟისორი რობერტ სტურუა; მის წინამდებარე დადგმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძნელად საგულგებელია ისეთი სკეპტიციოსი, თუნდაც ნიპილისტი, ოდნავ მაინც რომ არ გაათბოს და გული არ აუთროლოს რუსთაველის სახელობის თეატრში ამას წინათ მის მიერ განხორციელებული „ღალატის“ ახალმა დადგმამ. ეს ნაწარმოები მრავალგზის დაუდგამთ ქართული თეატრის სცენებზე სხვადასხვაგვარი წარმატებით და ამიტომ ბუნებრივი იყო ცხოველი ინტერესი, თუ რანაირ სახეს მიიღებდა იგი ისეთი რეჟისორის ხელში, პრინციპულად რომ უგულვებელყოფს გატკეპნილი გზებით სიარულს და ცდილობს ვიწრო ეთნიური, ან კონკრეტული ეპოქის ფარგლებში მოქცეული მოვლენები გააფართოსოს, განავრცოს და ეროვნულ ტიპაჟს ზოგადსაკაცობრიო ელფერი მიანიჭოს.

არც ერთი ქართველი რეჟისორი, წარსულშიც და აშკამადაც, ისე გაბედულად არ ეპყრობოდა სცენური ქმნილების ტექსტს, როგორც რობერტ სტურუა. ერთი შეხედვით, მისთვის სცენური განხორციელების პროცესია უმთავრესი და არა ლიტერატურული მასალა. სწორედ აქ, რეჟისორული ტექნიკის სფეროში, წარმოვიჩინდებოდა იგი როგორც ორიგინალური მოაზროვნე და მდიდარი ფანტაზიით დაუნჯებელი, რომელიც არ ირიალებს თანამედროვე მსოფლიო მიმდინარეობათა გაკლენებს, მაგრამ, უილაქნი ნაივით, უმისამართოდ როდი დაეხებტება მათ ზედაპირზე, როდი ხდება მათი ვასალი, არამედ კეთილგონიერულად განამწყუებს და განაწყობს მათ საკუთარი კონცეფციისა თუ ესთეტიკური თვალთახედვის სამსახურში. ახალგაზრდა რეჟისორისათვის ყველაზე უმთავრესი იმ შინაგანი რიტმის მიგნებაა, რომელიც ერთდროულად საკუთარიცაა, ინდივიდუალური და ტექსტუალური შინაარსიდან გამომდინარეც. ამგვარი პულისი სიღრმისეული აღღოთია მიგნე-

ბული „ღალატის“ ახალ დადგმაში, რითაც რეგულირებულია ნებისმიერი სცენა, მეტყველებისა და მიზანსცენაა ტემპები.

რეჟისორული სახელობის თვალსაზრისით ცალკე უნდა აღენიშნოთ ვესტიკულაციისა და მიზანსცენების მიმართება დეკორატიულ სიმბოლოებთან და ფერთა სიმბოლიკასთან. ეს საფეხით ახალი, უხმო მეტყველება, ასეთი სახით პირველად გამოყენებული ქართულ სცენაზე, თვალნათლივ წარმოაჩენს გმირთა გულისნადებს და ფარულ ფიქრებს სიტყვიერი გამოხატულების კიდევან. ამის დანახვას მაყურებლის მასვილი, მაგრამ ამასთანავე გაფაქიზებული მზერა სტირდება მხოლოდ. ესტიკულაცია საერთოდაც წინ უსწრებს სიტყვა-

# „ღალატი“

შოთა რუსთაველის სახელობის

სახელმწიფო აკადემიური

თეატრის სცენაზე

მერაბ კოსტავა

თა წარმოებას. იგია პირველი და ამასთან ბუნებრივი რეაქცია ნებისმიერ შეგრძნებასა თუ განცდაზე, მაგრამ ამასთან ბნელით მოცული და იღუმალი. მისი გაცნობიერებისა და გააზრების მეოხებით აღამიან ძალუსა დაკუთარ მეტყველება რამდენადმე მაგიური ზემოქმედების უნარი მიანიჭოს. ეს ჭეშმარიტება ღრმად შეუმცენება რეჟისორს და ამ მაღანამიზებული საშუალებით მას მოქმედების მდორე ტემპის ერთგვარი კომპენსაცია მოუხდენია დრამის ეპიურობით რომ არის განპირობებული.


რეჟისორმა გამოაღინა იშვიათი უნარი შეჩერდეს უმთავრესზე, დაინახოს ძირველი და გამოცდილი იუველირივით განარჩიოს ძვირფასი ქვები ყალბისაგან. პიესის სახეებსა და სიტუაციებს სტა-

ტიორად როდი წარმოადგენს იგი, არამედ, გარკვეული დინამიზაციისა და გარდასახვის მეხეობით, ისინი ნიადაგ გაგრძელებასა და განახლებულ ცხოვრებას პოულობენ მის შემოქმედებით ფანტაზიაში.

ა. სუმბათაშვილ-იუეინის „ლალატი“ ავკარგია-ნი პიესაა, ერთდროულად მძაფრი და სუსტი ეპიზოდების შემცველი. იგი ღრმად ეროვნულია, წარსულში ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ტიპებითა და სიტუაციებით, მაგრამ არა რაიმე ყოჩაღებული ისტორიული ეპიზოდის ამსახველი. ამასთან საქართველოს სამეფოს არა დიდების ეპოქას გადავვიშლის იგი, არამედ დღემშინის ხანგრძლივი შემოტევებით ილაჯგაწყვეტილი ქვეყნის


ბის ეროვნულ ხასიათს და მჭიდროდ აკავშირებს მას ისტორიულ სინამდვილესთან. ეს ის სულისკვეთებაა, ქართველი ერის ყოფაცხოვრების ნაწილს რომ შეადგენდა. ამის ნათესაყოფად საკმარისია გამოვივლილოთ ყველაზე მორალური აქტი, რომელიც უშუალოდ სცენაზე როდი ხდება, არამედ უწინარეს სცენური მოქმედებისა, და რის შესახებაც მხოლოდ შემდგომ, თთარ-ბეგისა და ზეინაბის ვრცელ დიალოგში ვვებლაზე მორალური იგია მიღმური ცეცხლით რომ გამსჭვალავს მთელს ნაწარმოებს და გმირებს ქველი საქმეებისათვის განაწყოვს. ესაა გლასა ანანის მიერ გაღებული მსხვერპლი, საკუთარი ჩვილი ვაჟი რომ გასწირა ბრძოლაში დაღუპული მეფისწულის,

თთარ-ბეგი—ე. მანგალაძე.




ყოფაცხოვრებას. სწორედ ასეთ პერიოდში წარმოაჩინა „ქართლის ცხოვრებამ“ ბრწყინვალე გმირები ნებისმიერ სოციალურ ფენაში. თუ ჯუანშერი, დავითისა და თამარის ისტორიკოსები უმთავრესად ჩვენი დიდი მეფეების აპოლოგეტები იყვნენ, უკვე ჟამთააღმწერელი და ბერი ეგნატაშვილი მეფეებთან ერთად თავად-აზნაურთა და თვით ყმა-გლეხთა ცალკეული წარმომადგენლებს მორალურ ქმედებებსაც აღწერენ დიდის მოწიწებით. ამგვარი სინამდვილე მთელის სიცოცხლით სუმბათაშვილ-იუეინის „ლალატიმაც“ აირეკლა და მცირედენი დაკვირვებაც კი ცხადყოფს, რომ ნაწარმოების ნებისმიერ გმირს ჩვენს მატიაწეში თავისი პროტოტიპი მიეძენებოდა. მაგრამ არის ერთი რამ, რაც კიდევ უფრო ამაფრებს ამ ქმნილე-


ტახტის ერთადერთი მეგვიდრის გადასარჩენად (ოდესღაც ტლუ გლეხის ბიჭმა სოსანამ, საკუთარი სიცოცხლის აშკარად საფრთხეში ჩაგდებათ სიცოცხლე შეუნარჩუნა იკონიის სულთანის მიერ ხართში ჩაგდებულ ტახტის მეგვიდრეს, ლამაგიორგის ძეს, დავით ულუს). ეს მსხვერპლი შარავანდედად ადგას თავს მთელი ტრაგედიის მსგელოებას. ამ გასაოცარ ქმედებაში წარმორჩდება მთელის ძალმოსილებით ის საკრალური იმპულსი, საქართველოს ისტორიის განუყოფელ ნაწილს რომ წარმოადგენდა. ამ იმპულსით არის გაჯერებული სუმბათაშვილ-იუეინის „ლალატიც“, სადაც ურთიერთთან უმჭიდროვებს კავშირშია მეფე და ერის კეთილდღეობა. იმედის ნაპერწკალს პიესაში მხოლოდ ის იღდა



ანანია — გ. ვაიაქოვიძე



ბესო — კ. საკანდელიძე



საბა — გ. სალარაძე

თუ ადვილვით, რომ მეფისწული გიორგი ცოცხალი და რომ ბრძოლას აზრი აქვს, რადგან სახელწოდებით უწინამძღოლოდ არ დარჩება. გმირთა მითაღიერებას კმედეგების უმთავრესი სტიმულიც სწორედ ეს იმედია, იგია ტრავმების ძარღვი და მარილი. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, იმავე მეფისწული გიორგისთან, გმირთა ეგოდენი ზრუნვის ობიექტთან დაკავშირებით ჩნდებიან ნაწარმოებში გაუმართავი და რეალურად გაუმართლებელი ადგილებიც. რომ აღარაფერი ეთქვათ ამ სახის რამდენადმე უნიათობასა და უხერხემლობაზე, მეძვე ქალთან მისი სასიყვარულო ინტრიგის ბანალობაზე და სამარცხვინო მოლორებაზე, ის ხომ მაინც გაუმართლებელია, რომ ტახტის მემკვიდრეს, რომელიც ღვთით ცოცხალი გადარჩა, რისთვისაც ეგოდენი მსხვერპლი გაიღეს და ვისზედაც მთელი ერის მომავალი დამოკიდებული, თოფისწამლის საწყობის ასაფეთქებლად გზავნიან. სწორედ ასეთი სუსტი ადგილების გასამართავად, თუგინდ სახეთათვის რამდენადმე თანადროული ელფერის მისანიჭებლად რობერტ სტურუა ტექსტულურ ცვლილებებსაც კი არ ერიდება, გადაადგილებას, ჩამატებებსა და კუპირებს; თუმცა დრამატურგის ფუნქციაში ამგვარი ჩარევით როდი თვითნებობს ნაწარმოების დედა-აზრის მიმართ, არამედ ცდილობს უფრო მახვილი და სცენურად მიმზიდველი გახადოს იგი, გაამძაფროს ტრავიკული საწყისი და გააღრმავოს მისი იდეური სფერო. მაგალითად, მგლისა და ძაღლის იგავის და, საერთოდ, დაკითხვის სცენის ჩამატებით რეჟისორმა უფრო ვაკუუმი და მიმზიდველი გახადა ტახტის მემკვიდრის სახე. ერეკლეს პასუხში „სპარსელებიც ღვთის შეილებად გადაიქცევიან, ოდეს ძალადობას თავს დაწებებენ და შინ დაბრუნდებიან, მაშინ მათაც შეიყვარებო“, ქრისტიანობის უფრო ფართო და თანამედროვე გაგება იგრძნობა, ვიდრე ეს თავად პიესაში მოცემული, რადგან სამართლიანობის შემთხვევაში იგი გულისხმობს არა მარტო საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის, არამედ ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობისა და ერის შეილთა სიყვარულსაც. საესებით გამართლებულია აგრეთვე გადატანა ყარა-იუსუფის დალატის ამბისა ბოლო მოქმედებიდან პირველში და ოთარ-ბეგის მის თანამზარცველად გამოყვანა. ყარა-იუსუფის ნაცვლად იგივე ოთარ-ბეგია კათალიკოსის მკვლელები და აჯანყებულ მოქალაქეთა დამსჯელიც. რეჟისორი განგებ ამძაფრებს მისი დაცემის მომენტს, რათა მეტის ეფექტით წარმოაჩინოს მისივე მობრუნებისა და მოქცევის სცენა. საბა-ბერისა და სოლომონ მეფის დიალოგში, რომელიც აგრეთვე ჩამატებულია, ორი სამყაროს შეპირისპირება უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი, რადგან მხოლოდ პიროვნებებია, რომ ადინამიურებენ ნებისმიერ მოძრაობას; და იმაზე მეტად რამ უნდა გავგრძნობინოს კონფლიქტის სიმწვავე, თუ არა

ასეთი დაპირისპირებული ინდივიდუალობების უშუალო შეხვედრამ.

მაგრამ დრამატურგის ფუნქციაში რეჟისორის ამგვარი ჩარევა მუდამ როდი იძლევა სასურველ

გნების შემდგომ გიორგი ვაქაძე უნდა მტერს და სისხლით მოიპანს უნებელი ღვაწი ლატის ლატს. წარმოდგენაში კი ეს განსაზღვრული ამოღებულია და საქართველოს მეფე კედება სო-ლეიმიანის ამაღლების ხელით, როგორც გონება-ჩლუნგი და უსუსური არსება, რითაც ჩრდილი ადგება მის სახეს.

მაგრამ რობერტ სტურუა მართოდენ დრამატურგის ფუნქციებში შეჭრით როდი დამაყოფილა, არამედ თავისი მუერებობა მხატვარ-დრამატორისა და მუსიკალური გამფორმებლის სფეროებზეც განეცხო, რათა დრამატული ხელოვნების უერთგულეს მიმუნვართა, სახიობის დეკორის, ფერთა და საგანთა სიმბოლიკისა და მუსიკის ერთიანი კონკრეტული მიზნისაგან წარმართვით მაღალი სინთეტური ხელოვნების დემონსტრირება მოხდინა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ერთობლივი მუშაობა მხატვართან.

დეკორაცია სპექტაკლისა (მხატვარი გ. მესხი-შვილი) სიმბოლურია, რ მდენადმე პირობითი და თითქმის უცვლელი. არსად პეისაჟი, ან კონკრეტულობის ნიშანწყალი, ყოველივე რეჟისორულ ჩანაფიქრსა და მიზანსცენებს უსადგება. სცენის სივრცეში განლაგებული თითოეული დანადგარი ემსახურება მხოლოდ ნაწარმოების დრამატულ განვითარებას და უმთავრესად რაიმე მარადიულ ფასეულობას გამოხატავს. ასეთია, მაგალითად, ნურგი ავანსცენაზე და სცენის სიღრმეში აღმართული კიბე. სცენის შუაგულიდან სიღრმისაკენ აღმავალი კიბის ხარისხებს ილევროს უზარმაზარი ხეტი გვირგვინებს წმინდა გიორგის გამოსახულებით. დრკონისმუსურული პირველხედრისა და პირველმოწამის ეს მაგიური ხატება მთელი სპექტაკლის მანძილზე დაკუერება სცენას, როგორც იქ გათამაშებული ტრავედის მოწმე. ეს ვაქაძეური გამოსახულება ემბლემაა საქართველოს სისხლიანი მატთანისა, ქართველი კაცის სიმამაცისა და შემართების სიმბოლო. ამიტომაც სწორედ აქ, ამ გამოსახულებასთან, კიბის ბოლო ხარისხზე პოვებენ გრადაციის უმდლეს წერტილს კულმინაციური ტალღები პიესისა, რომლებიც ნიადაგ ავანსცენაზე აღმართულ ნურგთან იღებენ დასაბამს. ეს ნურგი ფართო გაგებით ცხოვრების ხის, ანუ მარადისობის სიმბოლოს გამოხატავს. იგი იმ ცხოველყოფილი ხის ასოციაციას ჰბადებს, სასწაულგებრივად რომ აღმოცენდა ოდესღაც მხეველ სიღრნიას საფლავზე.

ავანსცენაზე აღმართული ნურგი სხვა არაფერია, თუ არა იმ დაუმრეტელი სასიცოცხლო ძალების სიმბოლო, რომელსაც ნიადაგ გამოჰყავდა სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მრავალჯონის მდგარი საქართველო გასაჭირიდან, გარეშემოქარული მუსლიმური ოკავენ რომ უპირებდა შთანქმას. აკი ორჯონის მოუქნია კიდევ წალდი განრისხებულმა მეფე სილოეიმანა ნურგს, რათა დედაბუდიანად აღმოფხვრა საქართველო, მაგრამ ვერ



ზინაბი — ზ. კვერნეზილაძე.

შედეგს. აქ ერთ სავალმო ხელმოცარვასაც აქვს ადგილი, სახელდობრ, გიორგი მეფის სიკვდილის ეპიზოდის უმართებულო გადასხვაფერებას. ლიტერატურული წყაროთი საკუთარი შეცდომის შე-


ხელკყო იგი. პირველად საბა-ბერის შეძახილმა, მორალის ბეჭთა დამცველმა რუმენის დაღადისმა გაუშეშა პაერში ხელი, მეორედ დუშმანის მძლველმა მახვილმა ჩაუფუშა განზრახვა.

ახლა იმის გარკვევასაც შეეცადოთ, თუ რაში დასჭირდა რევისორს ერთგვარი თაღის შექმნა პიესისათვის, რად მოათავსა მან სპექტაკლის დასაწყისშიც და ფინალშიც, მხვეალი სიდონიას მსგავსად სუდარაგადაფარებული დედოფალი თამარი ნერგის ქვეშ? ვფიქრობთ, იმიტომ, რომ მატრიანეში წვდომის ალღომ მას აქაც არ უმტყუნა, სიდონია ხომ მარადქალური საწყისის სიმბოლოა, დედობრივი სითბოს, დური ერთგულებისა და ქალწულებრივი სიწმინდის მაერთებელი, იზიდასავით, თუგინდ ძეზე მგლოვიარე ღვთისმშობელივით შავოსანი.

საქართველოს ოდიოვანვე დაკნაოდა თავს ქალწულის ზოდიაქოს შუქი კოლხი მედვას სიბრძნეში, ღვთისმშობლის წილზედომილობაში, ნინოს მიერ იბერიის მოქცევაში, ქეთევანის საკვირველ მარტილობასა თუ თამარის ღვთიკურთხეული გვირგვინის ელვარებაში არეკლილი. ასე, რომ სიმბოლო და ისტორია აქაც აპირობებენ ურთიერთს. სიმბოლო კი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის იდუმალი შემოქმედებითი ძალებიდან აღმოცენებული, მისსავე შინაგან ბუნებაზე მოღალდე სურათ-ხატი, სტატიზებული იმაგინაცია,

რაც ხელოვნების ქმნილებაში მართებულად წარმოჩენისას მძაფრად ზემოქმედებს ხალხის მიძინებულ, მთვლემარე ხატწარმოქმნელ უნარზე.

ნაწარმოების დედაზრის გასახსნელად ეფექტურად გამოიყენეს რეჟისორმა და მხატვარმა ფერთა დრამატურგიაც, რაც თავიდანვე საცნაური ხდება. ორკესტრის სათავსოდან დინჯად ამოფართება სცენაზე ფადიშას წარმოგზავნილი, წითლად მოლივლივე მოსასხამით შემოსილი მეფე სოლემანი და მედიდურად გადაუვლის ნერგის ქვეშ დასვენებულ, სუდარაგადაფარებულ თამარ დედოფალს. მოსასხამი გველივით გადააცოცდება სხეულს, სუდარას გადააცლის და შავოსანი თამარი ანაზად სოლემანის მეუღლედ, მეწამული სამოსელით მორთულ ზეინაბად გადაიქცევა. საოცრად დინამიურია ეს უხმო ეპიზოდი. მიზანსცენებითა და ფერთა მეტყველებით გადაწყვეტილი ეს მეტამორფოზა ჩვენს წარმოდგენაში ერთთავად აშლის საქართველოს ძნელებდითი წარსულის შემზარავ სურათებს, თუ როგორ სთელავდნენ ჯალალ-ედინები, თემურ-ლენგები და შაჰ-აბასები ქართველი ქალის ღირსებას, როგორ ცდილობდნენ მარად — ქალური იმპულსის ამოძიკვას ქართველი ხალხის ბუნებიდან. ზეინაბის სახე „ქართლის ცხოვრების“ წიაღიდან აღმოსკდარი გოდება მგლოვიარე დედებისა, თუ მუსლიმანური პარამხანებისთვის განწირული უმწვენიერესი



სოლემანი — კ. კვასიძე.  
სცენა სპექტაკლიდან, რუჟია — ლ. გუდაძე, ერეკლე — დ. კვიციანი.


ქალწულებისა. იბერიისა და ჩერქეზეთის სიტურ-ფე-დმატებულმა ქალღმმა გააკეთებულშობილეს მცირეაზიელ მუსლიმანთა სისხლი, — აღნიშნავდა იმანთელ კანტი თავის შრომაში „დაკვირვებანი ამაღლებულისა და მშვენიერისათვის“. ვაგლას, რომ ძვირად უჯდებოდა საქართველოს ცივილიზება სამხრეთელი ბარბაროსებისა, ასი წლის წინათაც რომ არ ერიდებოდნენ ადამიანებით ვაჭრობას.

ფერთა სიმბოლიკა მთელი სპექტაკლის მანძილზე ასრულებს მნიშვნელოვან დრამატურგიულ ფუნქციას, იქნება ეს გმირთა სამოსელისა თუ კიბის საფეხურზე დაგებული მოსახამის ფერი. თუკი სპექტაკლის დასაწყისში, ზეინაბსა და ოთარ-ბეგს სოლეიმანის მსახურებივით სისხლისფერი სამოსელი პოსავთ, უკვე დასასრულს, მორალურ ქმედებათა პროცესში მზისფერი სამოსით წარმოჩნდებიან ისინი, რაც მათი განახლებული სულიერი მდგომარეობის გამოხატველია. საერთოდ, გამომსახველი სასულებები წარმოდგენაში გმირთა შინაგანი ევოლუციის წარმოჩენასთან ერთად ორი კონტრასტული საწყისის, ქართული და სპარსული კოლორიტის დაპირისპირებასაც ემსახურებიან. ამგვარადაა გამიზნული სპექტაკლის მუსიკალური გაფორმებაც, რისთვისაც დიდის გემოვნებითაა შერჩეული ქართული საგალობლები და სპარსული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები.

ბი. სავალიოლები „ღმერთი უფალი“, „ალილუია“ და „შენ ხარ ვენახის“ გურულ-იმერული ვარიანტი მიღმური მადლით აუნჯებენ პიესის ყველაზე საკვანძო მომენტებს.

როგორც ვხედავთ, მაღალ პროფესიულ დონეზეა შესრულებული წარმოდგენილი დრამის, ამ რთული სინთეზური ჟანრის ყველა კომპონენტი, თუმცა უმთავრესს ჯერ არ შევხებივართ, სახელდობრ, მსახიობთა თამაშს. ცხადია, სპექტაკლის ნებისმიერ სფეროში იგრძნობა რეჟისორის საკუთარი ხელწერა, მაგრამ მისი დაუსადეველი ტალანტი ცალკეულ აქტივობთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებში პოულობს უფრო ამოსავალ წერტილს, რადგან გმირთა ერთადერთი მამოძრავებელი ღერძი ტრაგედიისა, მაყურებელთა სიმპათიისა თუ ანტიპათიის ობიექტი და მ. ღალი იდეალების სათავე, დაბალ ინსტინქტებსა და ზეკაცებრივ მწვერვალზე სურის მოასპარეზე. იოლი როდია მსახიობების შერჩევა უმთავრესად გაორებული ან მრავალშრე ფსიქოლოგიური ნატურების განსახორციელებლად (ამჯერად მხოლოდ სპექტაკლის უმთავრეს სახეებს შევხებით). ავიღოთ თუნდაც თამარყოფილი ზეინაბი, ზეინაბი სოლეიმანის მორჩილი, მონისა და დესპოტის ნიღბით, და უნიღბო ზეინაბი, დედოფალი თამარი, გულში ჩამარხული შემაზრუნეი საიდუმლოთი და კოლხი ქალების მითქმასავით მწუხარე, უღმობე-

სენა სპექტაკლიდან. ოთარ-ბეგი — ე. მანჯგალაძე, გვიანე — თ. დოლოძე.



სინამდვილეში სიტყვა „აიბარკა“ გამოხატავს ხელიხელჩაკიდებულ მდგომარეობას, დაბმას, მობმას, ხელების გადაბმას, რაც სასეხებით შეესაბამება თვით ამ ცეკვის ხასიათს. პართოვ, ამ ფერხულში მონაწილე მამაკაცები და ქალები ხელიხელჩაკიდებულნი მოძრაობენ წრიულად.

შთავარი კი ისაა, რომ ფერხულები მთავის მხრების მოძრაობა საერთოდ არ არის დამახასიათებელი. ამდენად, საცეკვა მეგრული „ოსხაუვა“ გამოცხადდება „მხრების ცეკვად“. ეს დამახასიათებელია მხოლოდ აჭარული ცეკვა „მხარულისთვის“ და ნაწილობრივ „ყახაბეგრისთვის“.

ლ. გვარამაძე იმასაც ამტკიცებს, რომ აფხაზურ ცეკვა „შარათინს“ და მგრულ ცეკვა „არიანს“ ტექნოლოგიას ბევრი რამ საერთო აქვთ (გვ. 131). მათ შორის საერთოა მხოლოდ ის, რომ ორივე ცეკვა სატრფიალოდ ხასიათისა და სრულდება ქალ-ვაიის მიერ. ტექნოლოგიის (ილუსტები და მოძრაობა-მდგომარეობები) მიხედვით კი ისინი სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ცეკვა „არიანს“ უხლოვდება ცეკვა „ქართულს“, „შარათინს“ კი ბრუნებთან ერთად, ხტომების მაგვარი მოძრაობები ახასიათებს.

წინათ ვრცელადაა განხილული ძველი ხალხური სანახაობა-თასაშობანი: ყვებობა, ბერიკაობა, ლაზრობა, მურყავაობა და სხვა. ყვებობის საწყისებზე ლ. გვარამაძე აღნიშნავს: — „როგორც უ. ამირანაშვილი არკვევს, სიტყვა „ყვებობა“ საქართველოში წარმოიშვა მონღოლთა ბატონობის დროს („ყაინი“) ე. ი. არა უადრეს XIII საუკუნისა“. (გვ. 52). შემდეგ იგი წერს: „საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, რომ ეს სანახაობა პირველად ვაგორმად XVII საუკუნეში, როცა გიორგი სააკაძემ და თეიმურაზ მეფემ დაამარტეს სპარსეთის ჯარები და გაათავისუფლეს საქართველო შაჰაბაზის ტირანიისაგან. მეორე ვერსიით „ყვებობა“ სამხედრო ვარჯიშისა და მეცადინეობის იმიტაკიაა მუსლიმანთა მხედართმთავრის მურვან-ყრს დროს, რომელიც საქართველოში შემოიტანა VIII საუკუნეში“ (გვ. 56). ამ ფონზე განიხილავს მკვლევარი ყვებობაში შემაჯალ ცეკვებს და აღნიშნავს: — „ყვებობას თან ახლდა ცეკვები უმთავრესად კომიკური ხასიათისა. გველისხმობი, რომ ეს იყო „კინტორუსი“ ან „ბაღდადურის“ ტიპის ცეკვები“. (გვ. 57). „როგორც ჩანს ყვებობის დროს ასრულებდნენ „კინტორუს“ (გვ. 149).

დაიხ, ყვებობის დროს შესრულებული ცეკვები კომიკურ ხასიათს ატარებდნენ, მაგრამ შეუძლებელია, რომ ეს ცეკვები ყოფილიყვნენ „კინტორუსი“ ან „ბაღდადურის“ ტიპის, თუნდაც იმიტომ, რომ VIII, XIII ან XVII საუკუნეებში საერთოდ არ არსებობდა კინტო, როგორც ტიპი. ეს ცეკვები ყვებობაში შეიდა მხოლოდ XIX საუკუნეში, როცა ჩამოყალიბდა კინტოს ტიპი.

ასვე გასარკვევი და დასასუსტებელია ლ. გვარამაძის მიერ აღწერილი ფერხული „ადრეკილა“, რომელიც უძველესი სავაზრი სანახაობის მურყავაობის ერთ-ერთი ნაწილია. იგი დღემდე შესრულება სვანეთში. თვით მურყავაობა კი დეკამიერებული იყო ბუნების განაყოფიერებისა და შილოიერების კულტთან.

... მურყავაობის დღეს ა. თინანის სიტყვით რვა სხვადასხვა ჩვეულება იცინან, რომელთაგან პირველია „ადრეკილა“, მეორე „შელია ტელეფიაი“, მესამე „კეირიაი“, მეოთხე — ფერხული „ჭიშხამი“, დანარჩენი ოთხი სხვადასხვა სიმღერაა — კვითხულობთ ი. ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორიაში“ (წ. I გვ. 58). ამათგან

ფერხულ „ადრეკილას“ ტექსტში ლაპარაკია ადრეკილას წასვლაზე, რაც წარმოადგენს რწმენის მიხედვით მოუსალამანობასთან იყო დაკავშირებული. ამავე რწმენით ადრეკილას მოსვლა იწვევდა ბუნების გაციცქლება, მოსავლიანობას (ხეთური ტელეფონუსის შესავალად).

ლ. გვარამაძის გამოკვლევაში კი გვითხულობთ: „ადრეკილა“ ერთკუკული ხასიათის ფერხულია, რომლის შესრულების დროსაც ყველა მონაწილე ტანისამოს იხდის“. (გვ. 58).

მართალია, ი. ჯავახიშვილი თავის ნაშრომში გარკვეულ ყურადღებას უთმობს სქესობრივი სიყვარულსა და შვილონობის მფარველ დეობებს „კვირისა“ და მურყავაობას მის ნაშთად მიიჩნევს, მაგრამ დიდი მეცნიერი არსად არ აღნიშნავს, რომ ფერხულ „ადრეკილაში“ ყველა მონაწილე ტანისამოს იხდდა.

ი. ჯავახიშვილი აქვე იშველიებს არსენ თინანის გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ტანზე წელს ქვემოთ ხდიდნენ მხოლოდ ერთ მოწინავე მამაკაცს, ისიც „შელია ტელეფიას“ შესრულების დროს. შესაძლოა, სწორედ ამ ცნობის დასუძვლებზე გამოიქვა ი. ჯავახიშვილმა შემდეგი მოსაზრება: „რამდენადაც ბუნებრივი ხელთვნურა სიმბოლურ მიმბაძელობაზე უფრო პირველყოფილია, იმდენადაც „შელია ტელეფია“ საქმისათვის, ყვებობას და ადრეკილაზე უძველეს და პირველად ჩვეულებად უნდა იქნეს მიჩნეული“ თუ ი. ჯავახიშვილის აღნიშნულ მოსაზრებას მივყავართ ლ. გვარამაძის აზრს ფერხულ „ადრეკილაში“ მონაწილეთა გამოშვების შესახებ, მაშინ აღმოჩნდება, რომ „ადრეკილა“ თავისი პირველქმნილი ბუნებრივობით „შელია ტელეფიაზე“ უფრო უძველესი ჩვეულებაა.

ასვე დასასუსტებელია „საქმისათ“ განმარტება. ხალხური ზემირიტყვიერების მიხედვით საქმისია მურყავაობის დღესასწაულის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის სახელია.

ი. ჯავახიშვილს იმავე ნაშრომში („ქართველი ერის ისტორია“ ტ. I) მოჰყავს ე. გალბანიის მიერ აღწერილი მურყავაობის დღესასწაულის მთელი მსვლელობა, საიდანაც მოვიყვანთ ერთ-ერთი ეპიზოდის აღწერილობას: „შაბათს მუკაქვაძემის ყმაწვილები ერთად თავს იყრიან და მონაკალი დღესასწაულისათვის მოწესრიგე პირებს ირწვევენ თავიანთ წრიოთგან. ესენი კიდევ ორ მეტარს ირწვევენ ხოლმე, რომელთაგან ერთს „ყაინი“ ეწოდება, მეორეს კიდევ „საქმისია“. ყაინს ორი „დედოფალი“ ანუ ქალი, ნამდვილად ქალურად ჩაცმული ორი მამაკაცი ძილავა. საქმისიას კი ეძვსი მსვლელები, რომელთაც „მთასარ“-ს ანუ მთასლეს ეძახიან“ (გვ. 60). შემდეგ კი გვითხულობთ: — „ამგვარად, საფიქრებელი ხდება, რომ თუ წინათ ერთი ჯგუფის ან მოპირდაპირე მხარის მეთაურს ყაინის, ან ყენის ჯგუფურ კეისარი ან მეფე უნდა რწმეოდა, მეორე ჯგუფის ანუ მხარის მეთაურს უკვე საქმისია ეწოდებოდა“.

ლ. გვარამაძე არათუ იზიარებს ამ მოსაზრებას, არამედ საკმისის მურყვანობის და ყვენიის იწინამდაც კი მიიჩნევს: — „საქმისას“ ეწოდება აგრეთვე „მურყვანობა“. „საქმისა“ თავისი ზრუნული სახეებით ენათესავება ქართულ ყვენიობას“ (გვ. 60), „უდავლა აგრეთვე სვანური „საქმისას“ და „ყვენიობის“ იგივეობა — ტერმინოლოგია, გაფორმება და სხვა“ (გვ. 61).

თუ „საქმისა“ ყვენიობა და მურყვანობის საგარის სახალხო სანახაობაა, მაშინ მას ავტორი რატომ უწოდებს ფერხულს? იგი წერს: „ყვენიუხე შეაფიო სვანური ფერხული გამზილი სიუჟეტით, რომელიც მიიღწეილია ნაყოფიერების უტრასადმი, არის შემოვანური „საქმისა““ (გვ. 60). ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ლ. გვარამაძე იშველიებს პროფ. შ. ამირანაშვილის შეხედულებას, ოღონდ მასში საკუთარი კორექტივი შეაქვს. იგი აღნიშნავს: — „როგორც შ. ამირანაშვილი ამბობს, დღემდე შეუმჩნეველი რჩებოდა ის გარემოება, რომ ყველა ფიგურის პირა გადმოგვეცნა მკვეთარი გამოსატულ მოძრაობას, ზოგი მათგანი მოცეკვავეებს გვანანს. მართლაც, თუ დავეყვირდებით მათი ხელ-ფეხის მდგომარეობას, განსაკუთრებით ორი ხელიხელნაოღებული მამაკაცის ფიგურას, სახეებით ცხადი განხედა, რომ აქ საქმე გვაქვს ჯგუფურ ცეკვა ფერხულთან... როგორც ჩანს, ეს ფიგურები გამობატკვენ ფერხულ „საქმისას“ მთავარ მონაწილეებს“ (გვ. 99).

სინამდვილეში კი შ. ამირანაშვილი თავის ნაშრომში „ქართული ხელოვნების ისტორია“ (თბ. 1961 წ. გვ. 50-51) წერს: „...როგორც ჩანს ეს ფიგურები გამოსახავენ „საქმისას“ ფერხულის მთავარ მოქმედ პიერებს“.

აქედან ნათლად ჩანს, რომ შ. ამირანაშვილი ლაპარაკობს არა ფერხულ „საქმისას“ მონაწილეებზე, არამედ „საქმისას“ ფერხულის მოქმედ პიერებზე, რაც მოწმობს, რომ „საქმისა“ სახალხო სანახაობაა და არა ფერხული.

ლ. გვარამაძე არასწორად განმარტავს ცეკვა „ყოლსამასაც“, რომლის შესახებ წერს: „ლაზემნი გავრცელებული იყო ვითა ცეკვა „ყოლსარმა“ ანუ ქართულად „ყოლსამა“ — ცალკე სამა, რაც ნიშნავს სოლი სამაისა — სოლი ცეკვას“ (გვ. 114). სინამდვილეში კი ამ ცეკვას ჰქვია „ყოლსარმა“ ან „ყოლსამა“. „ყოლ“ ნიშნავს მკლავებს, „ყოლსარმა“ კი მკლავების მიხვევას, „ყოლსამა“ — მკლავების ცეკვას. ამიტომაც, რომ ცეკვა „ყოლსამას“ ქართულად ეწოდება „მზარული“.

და ბოლოს გაკვირვებას იწვევს საყოველთაოდ ცნობილი ცეკვა „ქართულის“ ავტორისეული ინტერპრეტაცია. ლ. გვარამაძის შეხედულებით: „ქართულის“ შესრულების ფორმა ოთხნაწილიანაა — დასაწყისი ერთად, თითოეული მოცეკვავის სოლი, ერთობლივი დასკვნითი კოდა“ (გვ. 142).

სინამდვილეში კი ცეკვა „ქართული“ ხუთნაწილიანია. ცნობილი ქორეოგრაფის დ. ჯავრიშვი-

ლის განმარტებით პირველ ნაწილში ვატი შემოსწერის წერს და ქალთა შორის ეძებს მას, ვისაც იგი გტრფის, მეორე ნაწილში — ვატი საცეკვაოდ გამოიბატოვებს ქალს, ისინი ერთად შემოუვლიან საცდელ წრეს. მესამე ნაწილში კვლავ ვატი ასრულებს სოლოს, მეოთხეში კი ქალი. მესხეთე ნაწილში — ქალ-ვათა დუეტია.

მსგავსი შეცდომების მოყვანა კიდევ შეიძლება. საგანგებოდ აღსანიშნავია წერილს გამართავი სტილი, რის გამოც ხშირად აზრის სრულიად გაუგებარია. ამის მაგალითებიც უხვადაა. მოვიყვანო რამოდენიმე მათგანს (თუმცა ზემოთ მოყვანილი ციტატებიც ამაზე მკაფიოდ მეტყველებენ). აი, როგორ აღწერს მკვლევარი ცეკვა „ქართულს“ — „უკუსვლა სრულდება შემდგენარად: ფეხების მდგომარეობა შეექვსე პოზიციის მიხედვით ნახევარტერფზე, ტაქტის შემდეგ თვალზე და მარჯვენა ტერფი ოღნავ მოწყდება იატაკს, თვალზე „ერთი“ მიედგმება მარცხენას, თვალზე „ორი“ — მარცხენა ტერფი ოღნავ მოწყდება იატაკს და მიედგმება მარჯვენას ოღნავ უკან (ტერფის ნახევარზე)“ (გვ. 143).

„ვების მოძრაობა „ტასმა“ ტაქტის შემდეგ თვალზე და და და და და და — მეოთქმესტედ ნაწილზე — სწრაფი სრიალა ერთდროულად მოძრაობა — მარჯვენა ფეხი წინ, მარცხენა უკან, მარცხენა წინ, მარჯვენა უკან, თვალზე „ერთი“ — მარჯვენა ფეხი სწრაფად გამოდის წინ წვერზე ან ქუსლზე, თვალზე და და და და და — ორივე ტერფის სრიალა, ერთდროული შენაცვლებით მოძრაობა, თვალზე „ორი“ — მარცხენა ფეხი სწრაფად გამოდის წინ წვერზე ან ქუსლზე“ (გვ. 143, 145).

„მოძრაობა, რომელზეც აგებულია „არირა“, სულ მუდამ მეორდება. ეს არის წინსვლა — მსუბუქი ნახტომით მარცხენა ფეხზე. მარჯვენა ოღნავ აიწევა და იქვე იდგმება იატაკზე, ამავე დროს, მარცხენა ფეხი აიწევის უკან და იქვე მიედგმება მარჯვენა ფეხის უკან იმისათვის, რომ გაკეთდეს მსუბუქი ნახტომი მარჯვენა ფეხზე. და შემდეგ მოძრაობა გაგრძელდეს ამ ფეხით“ (გვ. 129, 130).

„პატარალი ტერფას აკეთებდა გვერდზე და ხან წინ მიდიოდა და ხან უკან“ (გვ. 129) და ა. შ. ვფიქრობთ, ასეთი განცხადებებიდან თვით ავტორსაც კი გაუკვირდება აზრის ამოკითხვა.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვა ყველასთვის ერთნაირად სავალდებულოა. ამ მხრივ ეს წიგნი საფუძვლიანად გადაშუმავებას მოითხოვს. სავალალოა, რომ ეს მიუტყვეველი ხარვეზი ასასიათებს მშობლიურ ენაზე დაწერილ არა ერთსა და ორ მეცნიერულ შრომას. ამის მიზეზი ისიცაა, რომ დღემდე არა გვაქვს დადგენილი ამა თუ იმ დარგის მეცნიერული ტერმინოლოგია, რაც იწვევს სალიტერატურო ენის ხელოვნურ გართულებასა და გაბუნდოვანებას.



# ნიგნი

## სათეატრო კრიტიკის

### შესახებ

ნ. ურუშაძე — ქართული სათეატრო კრიტიკა (წიგნი I). გამომცემლობა „ნალომენაბა“, 1973 წ., რედაქტორი ა. დვალისვილი.

ვახლო კიკნაძე

შპსანსანულ წლებში ქართველმა თეატრმცოდნეებმა არა ერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნეს, სადაც ყურადღების ცენტრში დგას ქართული თეატრალური ხელოვნების მნიშვნელოვანი პრობლემები. მრავალფეროვანია საკვლევი თემატიკა, ამაღლდა მკვლევართა პროფესიული დონეც. თეატრმცოდნეები სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ თეატრის ისტორიის საკითხებს.

ამასთანავე, ერთობ დამაფიქრებელია ის ფაქტიც, რომ ჩვენი თეატრმცოდნეები ინტენსიურად აღარ მუშაობენ თეატრალური კრიტიკის დარგში. ჯერ კიდევ ბევრი თემა და პრობლემა გადასაწყვეტი. ის ფაქტი, რომ დღემდე არა გვაქვს საფუძვლიანი მონოგრაფიული გამოკვლევები ქართული საბჭოთა სცენის ოსტატებზე — ჩვენი თეატრმცოდნეობის დიდი ნაკლია.

ასლა, როცა ასე ბევრია გასაკეთებელი, განსაკუთრებით დასაფასებელი იმ თეატრმცოდნეთა მუშაობა, რომლებიც ქმნიან ნარკვევებს, მონოგრაფიებს, სისტემატიკურად აქვეყნებენ შრომებს თეატრალური ხელოვნების საკითხებზე. აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება, მუდამ შემართებული ძიება ახალი თემებისა და პრობლემებისა, — თავისთავად თეატრმცოდნეების პროფესიული დონის ამაღლებასაც ნიშნავს. ცნობილი ფაქტია, ვინც მხოლოდ სახალისოდ, ისე, საკუთარი ჭიის გასასარებლად წერს, ის თეატრმცოდნე არ არის (დიპლომი კი თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს!).

თეატრმცოდნის ხვედრი მძიმეა. დიდი ილიას აზრით, ყველა სხვა დარგის მკვლევარისაგან განსხვავებით, აქ ბევრი კაცია ხელშესახები და სიმაართის სასწორზე ასაწონი! პიესის ავტორი, რეჟისორი, არტისტები ქალი თუ კაცი, ერთი სიტყვით, მთელი ჯგუფი. ეს არის სპეციფიკური სირთულე სხვა მრავალ სირთულეთა შორის, რომელიც თეატრმცოდნის პროფესიას თან ახლავს.

მიუხედავად ამგვარი სიძნელისა, ნათელა ურუშაძე მანძი დიდი ნაყოფიერებით შრომობს ქართულ თეატრში. მრავალი წლის მანძილზე მან გამოაქვეყნა რამდენიმე შრომა, მონოგრაფიული ნარკვევი, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს წიგნი დიდ ქართველ მსახიობზე ვ. ანჯაფარიძეზე.

ნ. ურუშაძემ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა ქართულ სათეატრო კრიტიკას. ეს არის ფართო პლანში გაზრებული მეცნიერული გამოკვლევის პირველი ნაწილი. ამასთანავე, იგი პირველი სპეციალური ნაშრომია ქართული სათეატრო კრიტიკის შესახებ, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს ინტერესს აღნიშნული თემისადმი.

წიგნი, რომელიც გამოქვეყნდა 1973 წელს, კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის. ეს არის მრავალწლიანი შრომა, რომელსაც გვერდს ვერ აუგლის ვერც ერთი მკვლევარი, აღნიშნული თემით რომ დაინტერესდება.



წიგნი შედგება ხუთი თავისაგან და მოიცავს 1801 წლიდან 1860 წლამდე პერიოდს. ეს უაღრესად რთული და მნიშვნელოვანი პერიოდია ქართული კულტურის ისტორიაში. წიგნების ამ მნიშვნელობას განსაზღვრავს ესოდენ დიდი მოვლენა თეატრის ცხოვრებაში—პროფესიული თეატრის აღდგენა და თეატრალური კრიტიკული აზროვნების განვითარება.

პირველი თავი ისტორიულ ასპექტში განიხილავს სათეატრო კრიტიკის რაობას. კვლევის მარქსისტული მეთოდის მიმარჯვებით ახსნილია სხვადასხვა ეპოქაში წარმოქმნილი კრიტიკული აზროვნების ხასიათი. გონივრულად არის შერჩეული ფაქტობრივი მასალა, ნათლად და მკაფიოდ ვლინდება მკვლევარის აზრი. მისი დოკუმენტების სფერო ფართოა და კარგად ამუღავნებს სათეატრო კრიტიკის რაობის შესახებ მსოფლიოში არსებულ შეხედულებათა ღრმა ცოდნას.

სამეცნიერო აპარატურა ყველგან შესრულების მაღალ დონეზეა. ნ. ურუშაძე შრიმის ამ ნაწილში (და საერთოდაც) სარგებლობს არა მხოლოდ ქართული წყაროებით, არამედ საფუძვლიანად იცნობს გამოჩენილ რუს და ევროპულ მწერალთა თუ მოაზროვნეთა შეხედულებებსაც.

მეორე თავი ეძღვნება ქართული სათეატრო კრიტიკის სათავეების გარკვევას. წიგნის ავტორი შეყვანდა ფართო სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ფონზე მოქმდა სათეატრო კრიტიკის საწყისები, მიეკვლია იმ ძირითადი ზახისათვის, რომელიც შემდგომი თავის გაგრძელებას და განვითარებას ჰპოვებდა. ამ მხრივ ძალიან საყურადღებოა სპეციალური დავაჯივრებანი ი. ბატონიშვილის „კალმასობაზე“. ნ. ურუშაძე მეცნიერული სიფრთხილით, მაგრამ ნათლად და ზუსტად იმ-მოიკოფს იმ მიმენტებს, რომლებიც საინტერესოა და იშვიათად საკუთარი მოსაზრებების ნათესაყოფად. ამ თავში ყურადღებას იქცევს ს. დოდაშვილის, თ. ბაგრატიონის თეატრალური შეხედულებანი.

მესამე თავი ეხება გ. ერისთავის თეატრის მოცემული პერიოდის თეატრალური ცხოვრების შესახებ არა ერთი ვრცელი გამოკვლევა არსებობს, რომელთაც ნ. ურუშაძე კარგად იცნობს. იგი გვერდს არ უკლავს ამ შრომებს და ჯეროვან ადგილსაც მიუჩენს წიგნში. მაგრამ ნ. ურუშაძის წიგნის ეს ნაწილი მიზნად ისახავს უფრო კონკრეტულ და ზუსტ ამოცანას. იგი ერთგვარი წინაპირობა იმის გასარკვევად, თუ რა თეატრალურ ზახაზე განვითარდა თეატრალური კრიტიკა. უთუოდ სწორედ არის შეფასებული გ. ერისთავის თეატრის წარმოქმნის მიზეზები. ავტორი სათანადო შეფასებას აძლევს გ. ერისთავის როგორც რეალისტის დავაწლას და ამავს ქართული მწერლობის წინაშე. ამასთანავე ეს არის საერთოდ ქართული დრამატურების დამსახურების აღიარებაც, რადგან სწორედ გ. ერისთავმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ რეალისტურ დრამატულ მწერლობას.

მეოთხე თავი უშუალოდ სათეატრო კრიტიკას ეხება. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის სათეატრო პრესის საფუძვლიანი შესწავლა მკვლევარს საშუალებას აძლევს სწორად გააანალიზოს იმეგანინდელი თეატრალური ცხოვრების ხასიათი. მეტიად რთულია პრესის საშუალებით ძიება ეპოქის თეატრალურ-კრიტიკული პრინციპებისა. მაგრამ ნ. ურუშაძე ამ სირთულეს წარმატებით სძლევს.

ქართველ კრიტიკოსთა შეხედულებების გამომცემი იქნა ავტორის მიზანი, დანიანოს იმეგანინდელი საზოგადოებრივი აზროვნების ბუნება, რათა ამ გზით თავისი ადგილი მოუძებნოს თეატრალურ კრიტიკასაც.

მესუთე თავი ეძღვნება პირველ თეატრალურ კრიტიკოსს მ. თუმანიშვილს. ნ. ურუშაძის ღრმად და საფუძვლიანად შეუსწავლია მდიდარი საარქივო მასალა. იცნობს პირველად წყაროებს და საერთოდ ყველაფერს, რაც ჩვენს ლიტერატურაში არსებობს ამ ესოდენ საინტერესო კრიტიკოსის შესახებ. ეს იგნებობა შრომაში, მაგრამ ავტორის მიზანი აქაც უფრო კონკრეტულია. ნ. ურუშაძის ნარკვევში მ. თუმანიშვილი ჩანს როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი, ერუდირებული, გონებაბაჩვილი, თეატრის კარგი მცოდნე კრიტიკოსი.

ნ. ურუშაძის წიგნის მნიშვნელოვანი დირცხვა ისიცაა, რომ იგი თეატრალურ მოვლენებს განიხილავს მოწინავე, რუსულ და სხვა საღხოა კულტურულ ურთიერთობაში. ეს შრომა ანიჭებს ხედვის მასშტაბს.

ამასთანავე, წიგნი არ არის დაზღვეული ნაკლოვანებებისაგან. ისე მაგალითად, მიგვანჩია, რომ მეტისმეტად ვრცელია შესავალი. ზოგადი მიმოხილვები არსებითად არაფერს მატებენ შრომას. თავისთავად საინტერესოა ის ადგილები, რომელიც ძველი თბილისის საღონებს, ხელისანთა ყოფაცხოვრებას ეხება, რაც შესაფერისი ილუსტრაციებითაც არის დამოწმებული, მაგრამ იგი ხომ უშუალო კვლევის ობიექტის მიღმაა? ზოგიერთ სურათს კი სრულიად არაფერი აქვს საერთო თემასთან.

ნ. ურუშაძე არაერთხელ იმოწმებს ი. ჭავჭავაძის თეატრალურ შეხედულებებს, მაგრამ რატომღაც გამოტოვებულია სწორედ ის ადგილი, სადაც ილია უშუალოდ თეატრალური კრიტიკის სპეციფიკას ეხება. საფიქრებელია, რომ მკვლევარი ილიას თეატრალურ ნააზრებს უფრო ვრცლად განიხილავს მეორე წიგნში, მაგრამ რადგან თეატრალური კრიტიკის რაობის გარკვევას აქ სპეციალური თავი მიუძღვნა— ილიას შეხედულებათა დამოწმებაც სწორედ აქ უფრო უპირანი იყო.

როგორც ეს, ისე ზოგიერთი სხვა ნაკლი, არ ამცირებს ნ. ურუშაძის წიგნის ღირსებებს, ვინაიდან იგი პირველი და მეტიად მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევაა ქართული სათეატრო კრიტიკის შესახებ.

მისხური ხალხური მუსიკის შესწავლამ გამოავლინა ქართული ხალხური მუსიკალური და პოეტური შემოქმედების დღემდე უცნობი ფორმები, რომლებმაც საქართველოს სხვა კუთხეებში ევოლუციის შედეგად დაკარგეს პირვანდელი სახე. მესხეთში კი თურქ-სელჯუკთა ბატონობამ და სამასწლიანმა იზოლაციამ შეწყვიტა ეროვნული კულტურის განვითარების პროცესი, რამაც გამოიწვია მისი კონსერვაცია. ამიტომაც მესხეთს შემორჩა ხალხური შემოქმედების უძველესი და, ამდენად, უნიკალური ფორმები, რომელთა შესწავლა სიახლის შუქს მოჰფენს მრავალ საყურადღებო საკითხს.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ მესხური სუფრულების ტექსტებს. მათ საფუძვლად უდევს მტიკვე ტრიადული სისტემა, რაც გავრცელებული ყოფილა საქართველოში ხალხური შემოქმედების განვითარების ადრინდელ ეტაპზე.

მესხეთის სიმღერათა ტექსტები არაერთხელ გამოცემულა. მაგრამ მათი უმრავლესობა ჩაწერილია ფრაგმენტულად, არასრული სახით, დამახინჯებულად, მიუხედავად იმისა, რომ ჩამწერთა შორის არიან ლეკა რაჩიკაშვილი, ივანე გვარამაძე („ვინმე მესხი“), კონსტანტინე გვარამაძე და სხვები. მათი მასალები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე, „ძველ საქართველოში“, პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“ და სხვა. ეს მკვლევარები იბეჭდონენ ეროვნული საუნჯის გადასარჩენად. მათ მრავალი ლექსი თუ სიმღერათა ტექსტი შემოგვინახეს, რითაც დიდი სამსახური გაუწიეს ეროვნულ კულტურას.

არასრულყოფილი ჩანაწერების მთავარი მიზეზი კი მესხური სიმღერების მივიწყებიდან მომდინარეობს. როგორც ჩანს, მკვლევარები ტექსტებს სიმღერის პროცესში კი არ იწერდნენ, არამედ მომღერალთა კარნახით, მუსიკისაგან დამოუკიდებლად. ლექსის ზეპირი გადმოცემისას მიქმელები ივიწყებდნენ ხოლმე სიმღერასთან მისადაგებულ ცალკეულ სიტყვებს, მარცვლებს თუ გლოსოლოგიებს. ეს კი აზიანებდა სიმღერათა ტექსტების ფორმას, არღვევდა ლექსთაწყობას, მარცვლების რაოდენობას, მეტრის ციკლურ მონაცვლეობასა და ტაქტთა რიტმს.

სიმღერის პროცესში ჩაწერილმა ტექსტებმა, მათმა ვარიანტებმა საშუალება მომცა დამედგინა მრავალი სასიმღერო ლექსის უფრო სრულყოფილი და ჩამოყალიბებული სახე, რამაც შუქი მოჰფინა მათ ფორმასა და შინაარსს.

უპირველესად აღსანიშნავია, სუფრულთა ტექსტების სამსტროფიანი წყობა, მელოდიის სამ ხანად (სამჯერ გამეორებით) შესრულება. მაშინ როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის სუფრულებში სტროფების რაოდენობა არ არის განსაზღვრული. მესხეთში კი ჩემს მიერ ჩაწერილი ყველა სუფრული, საქორწილო და ზოგჯერ სხვა ჟანრის სიმღერებიც, მხოლოდ სამ სასიმღერო სტროფს მოიცავს იმ სუფრულებიდანაც კი, რომლებშიც მოცემულია სტროფების უფრო მეტი რაოდენობა („მტრედმა თავის სიმართლითა“ და „წინ სუფრა ვარდით სავსე გვაქ“), მომღერლები რომელიმე სამ სტროფს ირჩევენ ხოლმე. ფორმის თვალსაზრისით ყოველი სუფრულის სამივე სტროფის ტექსტი თითქმის ერთნაირია. თითოეული სტროფი შეიცავს ერთიან ცხრამდე ტაქსს. სამაგალითოდ მოვიყვან რამდენიმე გამოუქვეყნებელი სუფრულის ტექსტს სრული სახით.

# მესხური სუფრულთა პოეზური ტექსტები

ვალერიან მალრაძე

ბიჭო, ნუ ჩახვალ ოშორას,  
ოშორას,  
ოშორა ეკლიანია.  
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ  
ოშორას,  
ოშორა ეკლიანია.  
ოშორის ქული ბრუდია,  
ოშორას,  
ფერხული ძრიელია.

\* \* \*

პატარძლეულსა ციხესა,  
პატარძლეულსა ციხესა,  
გამოუთხრიან ძირსაო, შა.  
პარალე, ბიჭო, პარალე,  
გამოუთხრიან ძირსაო, შა.

გამოიყვანენ ქალსა ლამაზსა,  
გამოიყვანენ ქალსა ლამაზსა,  
ცრემლით ბანვიან პირსაო, შა.  
პარალე, ვაჟო, პარალე,  
ცრემლით ბანვიან პირსაო, შა.

ლეკური ქული დახურეს,  
ლეკური ქული დახურეს,  
შუუკაზვიან ცხენსაო, შა.  
პარალე, ვაჟო, პარალე,  
შუუკაზვიან ცხენსაო, შა.

ანალიზის შედეგად დადგინდა ამ სუფრულების მუსიკალური ფორმა. ყოველი სტროფი, ან როგორც მესხები უწოდებენ „ხანა“, კუპლეტურია. იგი შედგება ერთი, ორი ან სამი წინადადებისაგან და სამჯერ მეორდება უცვლელად ან ვარიანტულად.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირად მესხების მიერ ნამღერი ტექსტი ზუსტად არ ემთხვევა იმ ხალხურ ლექსს, რომელიც საფუძვლად დაედო სუფრულს. ლექსის საწყისი ფორმის გამოსავლინებლად სასიმღერო ტექსტს ჩამოვამოურ გლოსოლოგიები (პარალალო, პარალმენ, სორმანდულენდა, ჩიკვართულენდა, აგდი და გოგდი და სხვა), მარცვლები (შა, პოი, პო და ა. შ.) და სიტყვათა გამეორებები, რის შედეგადაც მივიღე დღემდე შეუსწავლელი მეტად საინტერესო პოეტური ფორმა. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყოველი სუფრულის ლექსი წარმოადგენს ერთ საბატკეპიან სტროფს. ამის მაგალითია ზემოთ მოყვანილი ორი ლექსი, რომელთა საწყისი სახე ასეთია:

მაგალითი პირველი:

ბიჭო, ნუ ჩახვალ ოშორას, ოშორა ეკლიანია,  
ჩახვალ და ვეღარ ამოხვალ, ოშორა ეკლიანია,  
ოშორას ქული ბრუდია, ფერხული ძრიელია.

მაგალითი მეორე:

პატარძლეულსა ციხესა გამოუთხრიან ძირსაო,  
გამოიყვანენ (ქალსა) ლამაზსა, ცრემლით ბანვიან პირსაო  
ლეკური ქული დახურეს, შუუკაზვიან ცხენსაო.

ამგვარი ფორმა ძალზე გავრცელებულია მესხურ ფოლკლორში, რაც საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ მათი ერთტი-

პობრიობა. განსხვავებულია მხოლოდ მარცვალთა რაოდენობა. ზოგი ლექსი წარმოადგენს 16-მარცვლიან ტაქსს, ზოგი 10-მარცვლიანს, ზოგი 8-მარცვლიანს.

აი, რამდენიმე მაგალითი:

ვინ დალევს მარნეულ ღვინოს, ვინ არაკარკამ კულსა,  
მე დალევ მარნეულ ღვინოს, მე ვარაკარკამ კულსა,  
ვერ დალევ მარნეულ ღვინოს, ვერ ვარაკარკამ კულსა-და.

\* \* \*

ხეცურნი ჩამოგვესუნენ, თიბვა და შვა იყო,  
დედა შვილ პურს არ უტებდა, ისრეთი ცული დრო იყო,  
დასდნენ, დალაგდნენ ხეცურნი, ივანოზისა თვე იყო.

\* \* \*

რათ არ იმღერი, დარბაზო, დარბაზო, გვირგვინოსნო,  
რას მოწვენილხარ ბუხარო, გულთახორბილი ნუ ხარო,  
თუ მასპინძელი არ ღლინობს, სტუმარსაც მოეწყინება.

\* \* \*

მეფე ჩამოჯდა ხანდოსა, (ხანდოსა),  
კაი მასპინძლის კარზედა, (ხანდოსა),  
ხან მაწონს ჰამდა, ხან დოსა. (ხანდოსა).

საკორწილო ლექსები:

\* \* \*

ნეფე, კილოცავ გვირგვინსა, ღმერთმა გაგაბდნიეროს.  
ვაჟი-შვილი ღმერთმა მოკცეს, თავის მადლშო გაგიწარდოს,  
მეცვარე ღმერთმა გაჩუქოთ, წლისთავს ვაჟი მოგანთალოთ.

\* \* \*

ნეფეო, შენსა გვირგვინსა, ღვთისაგან ჭვარი სწვრია,  
უელი მიგაგავს სურასა, გამჩენსა ჭვარი გწერისა,  
შენსა და შენი მეუღლე ერთმანეთს შეგაბეროსა.

\* \* \*

მიმინო გვყავდა, გვყავდა, გვიყვარდა,  
ჩვენი გვევონა, სხვისი გამოვდა,  
სხვისი გვევონა, ჩვენი გამოვდა.

მაცრულები:

მოვდივართ, მოვკიხარია, მოვყავას წითელი პებელა...  
ნეტავი ნუფის დედ-მამას რომ შეიმატეს კეკელა,  
ვაი პატარძლის დედ-მამას, სალშო დღურათ ხეხელა.

\* \* \*

მრავალამერი, მრავალსა წელსა,  
ინებოს ღმერთმა თქვენი სიცოცხლე,  
ვანა ჩვენგნითა, ღვთის შეწევნითა.

ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი სუფრულის ტექსტი შინაარსობრივად გაუმართავია, მაგრამ მათში მაინც დაცულია სამტაქეპიანი სტროფის ფორმა:

დღეს ამისთვის ვწუხვარ, ვკლავ, რომ რათა უამნიც აიწიოს,  
დაქდეს ქრისტე გამკითხველად, ზარნი ზეცას აიწიოს,  
გვედღებო, ღვთისმშობლო, მაღლი შენი შეგვეწიოს.

ჯანო დარბაისელი 2.

1 ოშორა სოფელია ასპინძლისათ.

2 ჯანო ან ჭარო დარბაისელი — მიმართავა ხალხისადმი სიტყვებით (და არა სიმღერით), ე. ი. მრეველო, ხალხო დარბაისელო.

ვარიანტი

მე იმისთვის ვიკემ მწარეს, ზარი ზეცას აიწია, დახამანი მკვდარი იდგა, უოველ ყურეს მოიწია. ქრისტელ დაქდა განმეობხველად, შეილი მამას ვერ წინა.

კანო დარბაისელი!

სუფრული

სიმღერას ვიტყვი ერთსაო, შევიხვეწებო ღმერთსაო, ღმერთო, ყველანი გვიცოცხლე, ვინც რომ გვისხედან გვერდსაო, აღწელო-ლადწელო თქვენ ჩობიხარო სხვაწელოა.

ამრიგად, მესხურ სუფრულეს საფუძვლად უდევს ერთი სამეტაპეიანი სტროფი, რომელიც სიმღერის პროცესში სამეტროფიანი ტექსტის სახეს იღებს. ამ სახეცვლილების გამო-სამქვადენებლად განვიხილოთ სუფრული „სახლო, სალხინოდ ნაშენო“;

სახლო, სალხინოდ ნაშენო, დარბაზო, გვირგვინოსანო, სახლო, ღმერთმან ავაშენოს, როგორც შოის მარანო, ავაგუნოს ზეცამღინა, დანატროდნენ ყველანიო.

არსებობს ამ ლექსის სამი სასიმღერო ვარიანტი.. სამივე ვარიანტში ტექსტი სამი სტროფისაგან შედგება. მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტროფში შემავალ ტაპება რაოდენობით, რაც სასიმღერო მელოდიის იმპროვიზაციულობით შეიძლება აიხსნას. ჩვენს ხელთაა ამ სუფრულის ექვს, ხუთ და ოთხტაპეიანი სტროფები. ასლა კი დაუყოვირდეთ, თუ როგორ მოხდა სამეტაპეიანი სტროფის გარდაქმნა სამსტროფიანად და რა პრინციპით მატკლობს სტროფში ტაპეთა რაოდენობა.

ლექსის პირველი თექვსმეტმარცვლიანი ტაპეი ორ ტოლ ნაწილად იყოფა, რის შედეგად წარმოიქმნება ორი რვამარცვლიანი ტაპეი: „სახლო, სალხინოდ ნაშენო“ (I ტაპეი პირობითად აღვნიშნით ასო a-თი) და „დარბაზო, გვირგვინოსანო“ (II ტაპეი აღვნიშნით ასო b-თი), სიმღერის პირველ ვარიანტში პირველი ტაპეი მეორდება სამჯერ, მას მოსდევს მეორე ტაპეი, შემდეგ გლოსოლაიები და, ბოლოს, ისევ მეორე ტაპეი. ამრიგად, ლექსის პირველი ტაპეიდან წარმოიქმნა სიმღერის ექვსტაპეიანი ტექსტი:

სახლო, სალხინოდ ნაშენო, (და)  
სახლო, სალხინოდ ნაშენო,  
სახლო, სალხინოდ ნაშენო,  
დარბაზო, გვირგვინოსანო, (და)  
მარალო, ახაი მარალო,  
დარბაზო, გვირგვინოსანო.

ამვე პრინციპით სრულდება ლექსის მეორე და მესამე ტაპეისაგან წარმოქმნილი სიმღერის შემდეგი ორი სტროფიც.

ამრიგად, სუფრულის პირველი ვარიანტი წარმოადგენს სამსტროფიან სიმღერას, რომლის თითოეული სტროფი ექვსი ტაპეისაგან შედგება.

ამვე სიმღერის მეორე ვარიანტში ყოველი სტროფი ხუთტაპეიანია: სამჯერ მეორდება პირველი ტაპეი (a), ორჯერ — მეორე ტაპეი (b). მესამე ვარიანტის სტროფები კი ოთხტაპეიანია. მისი თანმიმდევრობა ასეთია: პირველი ტაპეი (a), მეორე ტაპეი (b), გლოსოლაიები და ისევ მეორე ტაპეი (b).

მესხური სუფრულების უმრავლესობას ეს სამი ვარიანტი უდევს საფუძვლად. ამასთან არსებობს ისეთი სუფრულეებიც, რომელთა სტროფები ცხრა ტაპეისაგან შედგება. ასეთია სუფრული „მტრედმა თავის სიპარლოთა“; რომელიც თავისი მუსიკალური და პოეტური ფორმით, „სუფრულების მანერითაც განსხვავდება ზემოთ განხილული სუფრულისაგან. ლექსის პირვანდელი სახე ასეთია:

მტრედმა თავის სიპარლოთა, იერუსალიმ კოშკი დადგა,  
ზედ ედღენია ააგო, ქვეშ მირიონს გუბე დადგა,  
იქ რომ ლოცვა წირვა იდგა, მისი მადლი შეგეწიოთ.

ამრიგად, სუფრული ფორმის თვალსაზრისით ეს სუფრული ორი წინადატეისაგან შედგება. პირველი წინადადება შეიძვერ მეორდება, შემდეგ სრულდება სიმღერის მეორე წინადადება. სწორედ ასეთი მუსიკალური ფორმა უდევს საფუძვლად ამ სუფრულის სამივე ცხრატაპეიანი სტროფს.

სუფრულის პირველი წინადადება პირველად უსიტყველ სრულდება მარცვლებზე — პა, ჰაა, აიიი, იი, პა, ჰაი. იგი თავისებურად შესავლის როლს ასრულებს. მხოლოდ შემდეგ იმღერება ლექსი, რომლის ყოველი ტაპეი კვლავ ორ თანატოლ ნაწილად არის გაყოფილი და შემდეგი თანმიმდევრობით იმღერება:

პა, ჰაა, აიიი, იი, პა, ჰაი,  
პა, მტრედმა თავის სიპარლოთაა, პა, ჰაი,  
პა, იერუსალიმ კოშკი დადგააა, პა, ჰაი,  
პა, ზედ ედღენია ააგო, პა, ჰაი,  
პა, ქვეშ მირიონს გუბე დადგა, პა, ჰაი,  
პა, იქ რომ ლოცვა, წირვა იდგა, პა, ჰაი,  
პა, მისი მადლი შეგეწიოთ, პა, ჰაი,  
პო, იქ რომ ლოცვა წირვა იდგა, პა, ჰაი,  
მისი მადლი შეგეწიოთ და პაა, ჰააა, ჰააააიი.

ამავე პრინციპით სრულდება სუფრულის შემდეგი ორი ცხრატაპეიანი სტროფიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სუფრულის თითოეულ სტროფში შესულია ლექსის სამივე ტაპეი, მაშინ როდესაც წინამორბედი სუფრულების ყოველი სტროფი ლექსის ერთი ტაპეის საფუძველზეა აგებული.

ცხედებით ისეთ შემთხვევებსაც, როცა ლექსი არა სამ, არამედ ოთხტაპეიანი სტროფს წარმოადგენს. ასეთია, მაგალითად, „ოთხი წყარო დის“:

ოთხი წყარო დის, ოთხე მხრივ მოდის,  
მითი მორწყვის ყოველი მხარე,  
ერთი არის მზე, მეორე — მოვარე,  
მესამე შაქარს შემოუარე.

მესხები ამ ლექსს სიმღერის დროს ისევ სამსტროფიან სასიმღერო ტექსტად გარდაქმნიან და შემდეგნაირად ასრულებენ:

ოთხი წყარო დის,  
ოთხი წყარო დის,  
ოთხი წყარო დის,  
ოთხე მხრივ მოდის.

მითი მორწყვის,  
მითი მორწყვის,  
მითი მორწყვის,  
ყოველი მხარე.

ერთი არს მზე,  
მეორე — მივარე,  
მესამე შაქარს  
შემოუარე.

მესხებმა ეს შეუასაბამოა ასე ასხსნეს: „მიზნო გვყავდა“  
მღეროდნენ სამ ჯგუფად, პირველ ხანას წამოიწყებდა ერთმანეთს  
ჯგუფი და იტყვოდა:

მიზნო გვყავდა,  
მიზნო გვყავდა,  
მიზნო გვყავდა,  
გვაყავდა, გვაყავდა.

პატარძლის მაცურები უბასუხებდნენ:

ჩვენი გვეჯონა,  
ჩვენი გვეჯონა,  
ჩვენი გვეჯონა,  
სხვისი გამოღვა.

ასლა ნეფის მაცურები შემოსძახებდნენ:

სხვისი გვეჯონა,  
სხვისი გვეჯონა,  
სხვისი გვეჯონა,  
ჩვენი გამოღვა.

როგორც ვხედავთ, პირველი ორი სტროფი აგებულია იმ პრინციპის მიხედვით, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მესამე სტროფი კი ეს პრინციპი აღარაა დაცული. მასში არც ერთი ტაქტი არ შეორდება. ასე რომ არ ყოფილიყო, სიმღერას ოთხსტროფიანი გამოვიდოდა და ამით დაირღვეოდა სამსტროფიანი სიმღერათა ტრადიცია, რომელსაც მესხები ტყიციდ იცავენ. აქედან ჩანს, რომ მესხები უცვლელად სტოვებენ მუსიკალურ ფორმას, რომელსაც უმორჩილებენ ტექსტს.

გვხვდება სასიმღერო სტროფების წარმოქმნის სხვა შემთხვევებიც, როცა სიმღერის პირველი ტაქტი (ა) მეთრდება არა სამჯერ, არამედ ორჯერ, ან პირველი და მეორე ტაქტი (ა, ხ) სრულდება ორ-ორჯერ და სხვა. როგორც ჩანს, ამას განაპირობებს მელოდია, სიმღერის მუსიკალური ფორმა, რომელიც ყოველთვის სამსტროფიანია. ამრიგად, მესხები მტკიცედ იცავენ სიმღერათა სამწარწიან ფორმას, რაც ზოგჯერ ტექსტულური სტრუქტურის ცვლილებებს იწვევს. მაშინაც კი, როცა მომღერალს ტექსტი ავიწყდება ან ერევა, იგი სხვა ლექსს მოიმჯვლებს, მაგრამ ისე, რომ სიმღერამ სამსტროფიანობა შეინარჩუნოს.

მაინც რამ განაპირობა მუსიკალური ფორმის ასეთი სიმყარე? ირკვევა, რომ სუფრულების სამი „ხანით“ შესრულება ქაჯანშირებული ყოფილა სუფრულების შესრულების წესთან. ასე განმარტეს ეს თვისებურება სხვადასხვა სოფელში მცხოვრებებს უხეხებდა მესხებმა. მათი გადმოცემით სუფრულ სიმღერებს მხოლოდ ქორწილებში მღეროდნენ. ქეიფის დროს სუფრა იშლებოდა სამ ფესმუზე.<sup>3</sup> ვინც კარგი სიმღერა იყო, წამოიწყებდა სუფრულის ერთ სტროფს, მას ერთ ფესმუზთან მჯდარი გუნდი ასრულებდა. მეორე სტროფს აგრძელებდა მეორე ფესმუზთან გაერთიანებული გუნდი, მესამე სტროფს ამთავრებდა მესამე გუნდი, მესამე ფესმუზიდან. ამ გზით იმართებოდა მეორე მესმრულების შორის. თუ ქორწილი იხალთხმრავალი იყო, ხალხი მაინც სამ ჯგუფად იყოფოდა და სუფრულების სტროფებს აღნიშნული თანმიმდევრობით მღეროდა სუფრულს იწყებდნენ ხოლმე 70-80 წლის მოხუცები, რომლებიც ერთად ისხდნენ, მეორე სტროფს ასრულებდნენ შუახნისანი (45-65), მესამე სტროფს კი ახალგაზრდები.

ამ წესმა ნათელი მოჭინა მესხეთ-ჯაჯახეთში საკმაოდ გავრცელებული საქორწილო სიმღერის „მიზნო გვყავდა“ შინაარსს, რომელსაც საფუძვლად უდებს შემდეგი ლექსი:

მიზნო გვყავდა, გვაყავდა, გვაყავდა,  
ჩვენი გვეჯონა, სხვისი გამოღვა,  
სხვისი გვეჯონა, ჩვენი გამოღვა.

შინაარსობრივად ამ ლექსში თითქოსდა შეუსაბამობაა, რადგან ბოლო ორ ტაქტში ორი ურთიერთსაწინააღმდეგე აზრია გატარებული:

ჩვენი გვეჯონა, სხვისი გამოღვა,  
სხვისი გვეჯონა, ჩვენი გამოღვა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა სოფელ ჭანდარის (კახეთი, გურჯაანის რაიონი) მკვიდრთა: 85 წლის ზაქარია და 65 წლის გიორგი ჯოხაძეების ცნობა, რომ ლეგამც რამდენიმე შესანიშნავი კახური სუფრული ჩაგვაწვრინეს. მათი გადმოცემით: „ძველად სუფრულ სიმღერებში სამი მუსლი იყო. ასლა ჩვენ ეუმატებოდა და ვამრუნებოდა სუფრე, ადრე კი ერთ მუსლს იტყვოდა ერთი ჯგუფი, მეორე მუსლს — მეორე ჯგუფი, ხოლო მესამეს — ისევ პირველი ჯგუფი“.


აქედან ირკვევა, რომ ძველად არამარტო მესხებში, არამედ კახეთშიც სუფრულები სამ მუსლად (ხანად) სრულდებოდა, რაც მესხებმა დღემდე შეინარჩუნეს. განსხვავებული იყო მათი შესრულების წესი. ჯოხაძეების ცნობის მიხედვით კახეთში გავრცელებული იყო ორპირული გუნდების შეჯიბრი, ე. ი. სუფრულს რიგრიგობით მღეროდა ორი გუნდი. ასეთი ორპირული გუნდები დღესაც გავრცელებულია თითქმის მთელ საქართველოში. მესხეთ-ჯაჯახეთში კი მტკიცედ იყო დამკვიდრებული სამპირული გუნდი, რაც მესხური სიმღერების არქაულობაზე მეტყველებს. ამაზე მიგვაჩვენებს შესრულების პატრიარქალური წესიც — სიმღერას იწყებენ მოხუცები, აგრძელებენ შუახნისანი და ამთავრებენ ახალგაზრდები.

ამგვარად, მესხური ზეპირსიტყვიერებაში დამკვიდრებული ტრადიული სისხმა და მის საფუძველზე აღმოცენებული სამპირული გუნდი ქართული ხალხური მუსიკის უძველეს სახეობად აღმოჩნდა.

შენიშნება ვივარაუდოთ, რომ სამპირული გუნდები დამახასიათებელი იყო უძველესი საქართველოს მუსიკალური კულტურისთვის. სადღისოდ იგი მხოლოდ მესხების შემორჩა წარსულში რთული ისტორიული მდგომარეობისა და ხანგრძლივი პოლიტიკური იზოლაციის გამო.

<sup>3</sup> მინიშნო ნავულისმეფია პატარალო.

<sup>4</sup> ჩაივრეო სოფელ ძეულში 1962 წელს 71 წლის ეგნატე ზედგინისიან.



უნიკალური არქიტექტურა ხელოვნების სინთეზის გარეშე.

### ხელოვნების სინთეზი

თანამედროვე არქიტექტურულ-დიზაინერულ შემოქმედებაში ხელოვნების სინთეზი ეროვნულ თავისებურებათა გამოვლენის ერთ-ერთი საშუალებაა. ამიტომ, არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ურთიერთშერწყმა უნდა ხდებოდეს ერთ სტილისტურ საფუძველზე.

ამგარი მიდგომა ჩანს მცირე არქიტექტურული ფორმებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ინტერიერების გადწყვეტის დროს.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების სინთეზსა და გეგმარების კომპლექსურ-შემოქმედებით მეთოდს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც წესი, ხელოვნების სინთეზში წამყვანი როლი აქვს არქიტექტურას, სწორედ იგი ქმნის გარემოს, რომელშიც ჩართულია ხელოვნების სხვა დარგების ნაწარმოებები. არქიტექტურასთან სინთეზში, ცხადია, არ შეიძლება შევიდეს ნებისმიერი ფერწერა, ქანდაკება, სხვა სახის ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოები.

არქიტექტურულ-დიზაინერული შემოქმედების ძირითადი და საბოლოო მიზანი მაინც არა თვით ნაგებობა და ნაკეთობაა, არამედ ურთიერთობათა ის სისტემა, ორგანიზებულია ფორმა, სამსახური, რომელიც ზორციელებდა ამ ნაგებობისა და ნაკეთობის საშუალებით. სწორედ ორგანიზებულიობის ფორმა ზრდის, ესთეტიკურად აყალიბებს ადამიანს, და თუ იგი მოწყობილია არ არის, ვერაფერი დეკორატიული გაფორმება-შელამა-შება საქმეს ვერ უშველის.

დღეს კი დეკორატიული გაფორმების როლს პიპერტროფიულად ვსრდით. თვით ტერმინი „მხატვრული გაფორმება“ ან „გაფორმება“ შეუთავსებელია ნაგებობასთან. გამოდის, თითქოს

ფორმა-წარმოქმნის პროცესი ორ ნაწილად იყოფა: ჯერ იქმნება საერთო ფორმა და შემდეგ მას მხატვრულად აფორმებენ. ფორმა (არქიტექტურული თუ დიზაინერული) ერთიანად უნდა იყოს გააზრებული ერთი შემოქმედის, ან ერთი შემოქმედებითი კოლექტივის მიერ.

აქედან გამომდინარე, ხელოვნური, ანუ „სინთეტიკური“, როგორც მას უწოდებენ, გარემოს შექმნაში არქიტექტურის, დიზაინერის (მხატვარი-კონსტრუქტორი) და მხატვარ-გამოფორმელის როლი გარკვევას ითხოვს. დეკორატიული ან მხატვრული გაფორმება და ხელოვნების სინთეზი დღევანდელ პრაქტიკაში რატომღაც გაიცივებულა.

ხელოვნების სინთეზი ზოგიერთს წარმოუდგენია, როგორც არქიტექტურის კოსმეტიკა. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში მას ტატუირებაჟ (აღოლფ ლოსის მიერ ხმარებული ტერმინი) შეიძლება ეწოდოს.

არქიტექტურა, მისი ფორმები იმდენად გამოხატავს ხელოვნურ და მდიდარია, რომ არქიტექტურის შეუძლია შექმნას სახე და გამოხატოს ის, რასაც გრძნობს, სხვა მომიჯნავე ხელოვნების გარეშეც სწორად მომიჯნავე ხელოვნება ჩნდება მაშინ, როცა არქიტექტორმა ვერ შეძლო არქიტექტურულ ფორმებში გამოხატა თავისი ჩანაფიქრი.

ხალხურ ხუროთმოძღვრებაში მშვენიერი მაგალითია იაპონური სახლი, რომელმაც ველოუციის პროცესში დაადასტურა, რომ საცხოვრებელი შეიძლება წარმოადგენდეს ხელოვნების ქმნილებას გარედან „ხელოვნების“ შეტანის გარეშეც.

თანამედროვე არქიტექტურის პიონერების შემოქმედებაში არცთუ ისე სწორად ვხვდებით გა-



## არქიტექტურულ-ლიზინერულ შექმნელები

გია დავითაშვილი, დემურ ელოშვილი

ფორმებლობას (ლუ კორბუზიე, მის ვან დერ როე, ვ. გროპიუსი). არც საბჭოთა არქიტექტურის მამამთავრები — გინზბურგი, მელნიკოვი, ვესნინი — და სხვები თვლიდნენ საჭიროდ მხატვარ-გამაფორმებლებთან თანამშრომლობას.

უკანასკნელი წლების მანძილზე დეკორატიული პანოები თითქმის აუცილებელ კომპონენტად გადაიქცა საზოგადოებრივი შენობის ფსადის გადაწყვეტისას. ერთ შემთხვევაში მხატვარი ცდილობს თემატიკით გამოსატოს ნაგებობის ფუნქციური მხარე და ამით ერთგვარი ინფორმატორის როლში გამოდის, ზოგჯერ კი სრულიად განზოგადებული, უსაგნო გამოსახულებებით კმაყოფილებს.

ზ. რუბანენკო და ვ. პალადინა სრულიად უარყოფენ კედლების მოხატვას, განსაკუთრებით დაუსუველად მიანიათ იგი საცხოვრებელ სახლებზე, ვინაიდან ეს, მათი აზრით, ეწინააღმდეგება ნაგებობის სპეციფიკას, მასშტაბს, ტექტონიკას.

უნდა გავსთვადეს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს საუკუნის დასაწყისში პროგრესულ არქიტექტურულ წრეებში უკვე საკვებით ჩამოყალიბდა ჯანსაღი აზრი დეკორის უაზრობის შესახებ (ლუ კორბუზიე, ადოლფ ლოოსი).

დეკორატიული გაფორმება, როდესაც იგი მასობრივ ხასიათს ატარებს და როცა მას ვაკისრებთ დიდ მისიას — ადამიანის აღზრდას, იგი მსჯელობის საგნად მაინც უნდა გადაიქცეს.

უნიკალური და მასობრივი

არქიტექტურას და ღიზინში უნიკალურისა და მასობრივის საკითხი ერთ-ერთი საჭირობო-

ტოა. როგორი როლი უნდა შეასრულოს ხელოვნების სინთეზა ერთსა და მეორე შემთხვევაში?

ცნობილია, რომ არქიტექტურის მომავალი ინდუსტრიული წესით შექმნილი ელემენტებია, მასობრივი წარმოების ნაკეთობანი. ეს ელემენტები მზადდება ისევე, როგორც მანქანური წესით — ღიზინის ნაწარმი. აქ ხდება არქიტექტურისა და ღიზინის შერწყმა. მხედველობაში გვაქვს ტოტალური დაგეგმარება, რომელიც გაითვალისწინებს ფორმა-წარმოქმნის პროცესის ყველა მხარეს.

მომავალი არქიტექტურა-ღიზინი სრულიადაც არ გულისხმობს მშრალ მანქანურ ნაკეთობათა წარმოებას. იგი მიზნად ისახავს ურთიერთობათა ორგანიზებასა და ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

წმინდა ხელოვნების ნიმუშები არქიტექტურასთან ერთად მოახდენენ სივრცის ორგანიზაციას. ამ შემთხვევაში ხელოვნების სინთეზი არქიტექტურის წინასწარდასახული გაარბებული კავშირია სხვა მომიჯნავე ხელოვნების დარგებთან.

ხელოვნების ნიმუშების ადგილი, მათი როლი და სინთეზის მომავალი სოციოლოგიური პარამეტრები გათვალისწინებული იქნება ტოტალური დაგეგმარებისას.

მასობრივი საცხოვრებელი ნაგებობანი, ისევე როგორც მასობრივი წარმოების პროდუქტები: ავტომობილები, ტელევიზორები, საკრავი მანქანები, არ საჭიროებენ დეკორატიულ მორთულობას. დღეს მათ არაფერ აჩუქებთმებს ეროვნული ორნამენტით.

როგორ შედის ხელოვნებასთან სინთეზში არქიტექტურა, რომელიც არამასობრივია, უნიკალურია (იგულისხმება სხვადასხვა დანიშნულების საზოგადოებრივი ნაგებობანი)? აქ უხვად გამოი-

ყენება ყოველგვარი სახის მორთულობა. მომავალში ალბათ ამ სახის მორთულობის ესთეტიკური შეფასების საშუალებანი და მეთოდები უფრო უნდა დაისვენოს და მეცნიერული სახაით მიეცეს უკანასკნელი წლების მინილზე დიდი მუშაობა ჩატარდა მემორიალების მშენებლობის ხაზით. მემორიალი ახლოს არის ქანდაკებასთან, წმინდა ხელოვნებასთან, ე. ი. მის გამოხატულებისა, პლასტიკას ვიზუალური შემოქმედების ძალას პირველხარისხიანი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მას სივრცის ორგანიზაციისა და თეოთერობათა მოწოდებების ფუნქციაცაა გააჩნია.

საფეხურები წმინდა ხელოვნებიდან არქიტექტურამდე შემდეგობრივად გვესახება: ქანდაკება-მემორიალი — უნიკალური ნაგებობა — მასობრივი არქიტექტურა.

რა მდგომარეობაა სამრეწველო დიზაინში? შესაძლებელია თუ არა არსებობდა ჭიქა, რომელსაც არა აქვს ფეკერი? ასეთი სამართლიანი კითხვა დაისვა „დეკორატივუ ისკუსტოს“ ფურცლებზე. მხედველობაში ჰქონდათ მინის, ცილინდრული, ჭიქის ფორმის დეკორატიული ნაკეთობანი. საინტერესოა, რა აიძულებს მხატვარ-გამოფორმებელს მიახვედოს ნაკეთობა მინის ჭიქას, მაქანური ნაკეთობის პროდუქტს.

თუ შევაფასებთ ჩვენს გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს და აგრეთვე მასობრივი წარმოების პროდუქტებს, ვერ შევამჩნევთ ზუსტ საზღვარს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის მხატვრულ საშუალებათა და სპეციფიკას შორის.

დიზაინერი თუ აგებმარებს, გამოყენებით ხელოვნებაში მხატვარი გვაძლევს საბოლოო შედეგს. მხატვარი არ ქმნის მასობრივი მოხმარების საგანს, ნამუშევარი უნდა გამოხატავდეს მის ინდივიდუალურ საწყისს, ხოლო დიზაინერის ნაკეთობაში მაქსიმალურად უნდა იყოს გამოვლენილი მაქანური ტექნოლოგიის შესაძლებლობანი.

ხელოვნების ნიმუშები და სუვენიერები გამოდის მასობრივადაც. ამ ნაკადის რეგულირება და შეთანხმება არქიტექტორებთან, რომლებიც აგებ-მარბეზს საცხოვრებელს, წარმოადგენს პარმონიული გარემოს შექმნის აუცილებელ პირობას.

უნიკალურ და მასობრივ ნაკეთობათა თანაფარდობა და მათი ადგილის გარკვევა საცხოვრებლის ინტერიერში საშუალებას მისცემს არქიტექტორებს უფრო ზუსტად და უფრო სრულად წარმართონ ფორმა-წარმოქმნის პროცესი.

„რემიონალნიზმი“ ნოსტალგია

„რემიონალნიზმი“ ნოსტალგია! — ძველი ფორმების მექანიკური, მიმდგასებითი გადმოტანა თანამედროვე არქიტექტურაში.

1 „რეგიონალიზმი“ ნოსტალგია — გამოთქმა ეკუთვნის პიერ ვაოსს.

გარეგანი ფორმები გატაცება საფუძველს მოკლებულია, „არქიტექტურის განხილვა არ შეიძლება სახეთი ხელოვნებათა მფავსად, — წერს პროფ. ირ. ციციშვილი, ვინაიდან თუ ფერწერა და ქანდაკება წარმოადგენენ წმინდა იდეოლოგიურ კატეგორიას, არქიტექტურას აქვს პრაქტიკული, ფუნქციური საფუძველი, რომელიც არა მარტო არსებობს, არამედ აპირობებს კიდევაც მას. ამიტომ სივრცის ორგანიზაციის მხატვრულ საშუალებას არქიტექტურაში წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური კონსტრუქციული ელემენტები და ტექნოლოგია“.

ფორმალისტური მიდგომის ნიმუშა ბრაზილიელი თ. ნიმიეირის შემოქმედება, იაპონელი არქიტექტორების ადრეული ნამუშევრები, რომელსაც ტრადიციულ, ხის კოჭების არქიტექტურას რკინაბეტონში იმპორტირდნენ, არ უწყვიდნენ ანგარიშს ახალი მასალების კონსტრუქციულ შესაძლებლობებს.

ასეთი ტენდენციები ჩვენს არქიტექტურაშიც შეიმჩნევა. ეს განსაკუთრებით გამოიხატა ე. წ. „ტრადიციული“, ყალბი ქვის წყობის ვარიანტების სიუჟეში“.

სიფულების დაგვემარებაში აუცილებელ პირობად გადაიქცა ადგილობრივი ქვის გამოყენება, რაც შრომატევადი, არაეკონომიური და არაინდუსტრიულია.

ბრტყელი გადახურვებით გატაცებაც ხშირად მხოლოდ „ნოსტალგიის“ შედეგია.

თვითონ ხევისურმა უარი თქვა თავის კალიბრს სახლზე, მას კალო აღარ ჰქონდა. ჩამოვიდა შედარებით ვაკე ადგილას და სახლს ორქანობიან სახურავს უკეთებს ნალექების უკეთ ჩამოსადენად. შეიცვალა მისი ესთეტიკური კრიტერიუმები. ჩვენ კი ისევ „ესთეტიზირებულ“ ძველ სახლს ვთავაზობთ.

„არა მაქვს არავითარი სურვილი, — წერს კენძო ტანგე, — რომ ჩემს ნაგებობებს ტრადიციული იერი ჰქონდეთ. ტრადიციებს კატალოზატორის როლი აქვთ. რომელიც ააქტიურებს და სტიმულს აძლევს ქიმიურ რეაქციას, მაგრამ არ მონაწილეობს შედეგნილობაში, რომელიც მიიღება ასეთი რეაქციის შედეგად. ე. ი. ტრადიციის შეუქმლია მიიღოს მონაწილეობა შემოქმედებაში, მაგრამ თავისთავად არ წარმოადგენს მოქმედ ძალას“.

იერონული და იხტირანციონალური

საპიძის გარკვევისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაზუსტოთ, თუ რას გულისხმობს ეროვნული თავისებურებანი არქიტექტურაში.

ეროვნული ფორმა არქიტექტურაში არ შეიძლება იყოს თვითმიზანი, ან ამოცანის ფორმალური გადაწყვეტა. ყოველი ერის წარმომადგენელს

აქვს თავისებური მხატვრული აზროვნება და, შესაბამისად, მისი გამოხატვის უნარი.

ყოველი ერის კულტურა ერთდროულად ეროვნულიც არის და ინტერნაციონალურიც. ზოგიერთი ნიშანი მას სხვა ერების კულტურასთან აკავშირებს, ზოგიც ანსხვავებს, თავისებურ ელფერს, განუმეორებლობას ანიჭებს მას.

გარკვეულ ისტორიულ პირობებში არქიტექტურა ისეთ შედეგებს აღწევს, როდესაც ეროვნული თავისებურებანი მკაფიოდ მჟღავნდება და შემდეგ ეს ნაწარმოებები სხვა ერების კოლექტივს იქცევა. ასეთი არქიტექტურა, როგორც წესი, დიდ გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების არქიტექტურაზე.

ერის ფსიქიკურ წყობაში აირეკლება, ანუ აისახება მისი ცხოვრების პირობები, გრძნობები, შთაბეჭდილებები, რომლებსაც იგი დეპულობს გარემოსაკან.

ცნობილია, რომ ჩრდილოეთის და სამხრეთის ხალხებს ფერის სხვადასხვა ფსიქოლოგიური შეფასება აქვთ.

ჩრდილოეთში ასოციაციური ჯაჭვი შემდეგი სქემათა წარმოდგენილი: წითელი — სითბო-სიცხვე, ცისფერი — ყინული-სიცივე-სიკვდილი. უდაბნოში პირიქით, მზე დამლუგველია, წყალი და მწვანე სიცოცხლე (ცისფერი — შუა ზღის ხუროთმოძღვრებაში).

ეროვნული თავისებურება ისეთი თვისებაა, რომელიც ნიშანდობლივია გარკვეული ერის არქიტექტურისათვის. მასში გამოხატულებას პოულობს ერის ფსიქიკური წყობის თავისებურებანი. ეს თავისებურებანი გამოიხატება ფორმა-წარმოქმნის კომპოზიციურ კანონზომიერებაში.

ერთი და იგივე დანიშნულების საგანი სხვადა-

სხვა კლიმატურ პირობებში სხვადასხვა ფორმით გველინება და ყველა შემთხვევაში იგი კარგად ასრულებს თავის ფუნქციას. ეს ეხება როგორც ტანსაცმელსა და შრომის იარაღებს, ასევე საცხოვრებელსა და ტრანსპორტის საშუალებებს.

ბუნებრივ პირობებზე დამოკიდებული ეროვნული თავისებურებანი თანდათანობით ნიველირებას განიცდის, კარგავს თავის სიმკვეთრეს (ასალი მასალები, ტექნიკური შესაძლებლობანი), თუმცა ჯერ კიდევ, ზოგიერთ შემთხვევაში, ინარჩუნებს პირვანდელ სახეს.

ერგონომიკა მეცნიერებაა, რომლის გარეშე წარმოდგეულია თანამედროვე არქიტექტურულიზაინერული დაგეგმარება, იგი ემყარება ადამიანის ანთროპოლოგიურ, ანატომიურ მონაცემებს, ითვალისწინებს ადამიანის ფიზიოლოგიასა და ფსიქოლოგიას, დაკავშირებულია ჰიგიენასთან, შრომის დაცვასთან და სხვ.

ნებისმიერი, გააზრებული ფუნქციონალური პროცესის შექმნისათვის საჭიროა ერგონომიკის ცოდნა. მას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დიზაინერები, არქიტექტორები — ნაკლებად (რატომღაც დღემდე ერგონომიკა არ ისწავლება არქიტექტურულ ფაკულტეტებზე).

სწორედ იმიტომ, რომ ერგონომიკა საფუძვლად უდევს დაგეგმარებას, სხვადასხვა ქვეყნებში იქმნება ერთი და იგივე ფუნქციის, მაგრამ მკვეთრად განსხვავებული ფორმები.

იაპონური სამრეწველო დიზაინის ნიმუშები განსხვავდება იტალიურისაგან, დასავლეთ გერმანული — ამერიკულისაგან.

ბელოჯნების სინთეზი ინდუსტრიულ არქიტექტურაში.

ბელოჯნების სინთეზი თანამედროვე უნიკალურ ნაგებობაში.



ცნობილი ეთნოლოგი ანდრე ლურაე გურანი აღნიშნავს, რომ „ამერიკული და რუსული რაკეტები და თანამგზავრები მიუხედავად მათი მეტად ვიწრო ფუნქციური დანიშნულებისა, ატარებენ თავიანთი კულტურის ანაბეჭდს“.

აქაც დიდი როლი ენიჭება ფსიქიკურ წყობას. იგი გარკვეულად ერგონომიკაზე მოქმედებს, ე. ი. წარმოშობს თავისებურ მოთხოვნებს.

ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი უპირატესი თავისებურებანი ვლანდება ხალხის ყოფაცხოვრებაში, ტრადიციებში, მის გემოვნებასა და მიდრეკილებებში. იგი ხალხის ისტორიული წარსულის პროდუქტია და მის კულტურასთან ერთად ვითარდება, იცვლება და ახლდება.

იაპონელის ცხოვრების წესი თხოულობდა ჭერის მცირე სიმაღლეს, ტიხრების ტრანსფორმაციას, ნივთების უნივერსალობასა და ტოპოლოგიურ სივრცეს.

ევროპაში სრულიად სხვა სურათია, — სტაციონარული, მძიმე ავეჯი, ინტერიერი შედარებით გადატვირთულია.

ეროვნულისადმი სხვადასხვა მიდგომა არსებობდა. იყო პერიოდი, როდესაც ჩვენს არქიტექტურულ წრეებში განვითარდა კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ეროვნულ არქიტექტურის შექმნისათვის საჭირო იყო კლასიკური ორდერის შეთავსება ეროვნულ ორნამენტთან.

ასეთმა მიდგომამ ყალბი ესთეტიკური შეხედულებები შექმნა, ადამიანს არასწორი წარმოდგენა ექმნებოდა ნაგებობისა თუ ნაკეთობის არსზე.

ხუროთმოძღვრების შედევრთა ავტორებს არასოდეს თვითმიზნად არ დაუსახავეთ შეექმნათ ეროვნული ხუროთმოძღვრების ნიმუში.

ფუნქციონალური პროცესის ღრმა ცოდნა, კონსტრუქციული სიმარტლე ანუ ტექტონიკა, გარემოსთან ორგანული შერწყმა საბოლოოდ ქმნიდა სრულყოფილ ეროვნულ და ამავე დროს ინტერნაციონალურ არქიტექტურას.

ვ. ი. ლენინის შეხედულება ყოველ ეროვნულ კულტურაში ორი კულტურის არსებობის შესახებ საშუალებას გვაძლევს სწორად შევაფასოთ ეროვნულის და ინტერნაციონალურის დამოკიდებულება ცალკეული ხალხების კულტურაში, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

არქიტექტურის განვითარების პროცესში, ნოვატორულ ძიებათა შედეგად, ტრადიცია თანდათანობით იცვლება. როცა ვლადპარაკობთ არქიტექტურის ეროვნულ თავისებურებათა განახლების პირობაზე, სამართლიანი იქნებოდა აღგვენიშნა არა მარტო ეროვნულ ტრადიციებზე, არამედ ეროვნულ ნოვატორობაზეც, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს თანამედროვე არქიტექტურის ეროვნულ თავისებურებას.

ეკლექტიკა და არქიტექტურულ-საბნოვარივი ენის სემანტიკა

იმ პერიოდში, როდესაც არქიტექტურული აზროვნება მწვერვალებს აღწევდა და, შესაბამისად, იქმნებოდა არქიტექტურული სტილი, არსებობდა ერთი გარკვეული არქიტექტურული ენის სემანტიკა.

მასობრივი წარმოების ნიმუშების ეროვნული ორნამენტით შეშკობა. გამოყენებითი ზელოვნების ნიმუშში ეროვნული დეკორატიული ელემენტებით.

ინდუსტრიული დიზაინის პროდუქტი.



ცნობილია, რომ მრავალი არქიტექტურული ელემენტი სიმბოლური იყო. გ. ზემპერი<sup>2</sup> აღნიშნავს, რომ საკურთხეველი წარმოადგენს ცივილიზაციისა და რელიგიის სიმბოლოს. თუ საგანს საკურთხევლის ფორმა ჰქონდა, ე. ი. სიწმინდეს გამოხატავდა; პიედესტალზე და ბაზისზე დადგენილი შენობაც განსაკუთრებულ, ღვთაებრივ მნიშვნელობას იძენს.

ფონტინიც საკულტო სიმბოლოა. ეგვიპტურ ტაძარში იგი ღვთის მსახურის ადგილსამყოფელია — განავრთხის გ. ზემპერი, სკამის ფეხები, რომელსაც რომელიმე ცხოველის ფეხის ფორმა ჰქონდა, ხასს უსვამდა მის ვერტიკალურ მდგომარეობას და მიუთითებდა მისი გადაადგილების შესაძლებლობაზე.

მრავალი არქიტექტურული ფორმა ინფორმაციის მატარებელიც იყო. შემოქმედს იგი კარგად ჰქონდა გააზრებული და ყველაფერი წინასწარ დასახულად კეთდებოდა.

ოგუჩტე პერე აღნიშნავს, რომ „არქიტექტურას არ ჰქონდა სიმბოლო იმისათვის, რომ ხელოვნებად იქცეს“.

ჩვენში სასოფაღობრივ ნაგებობათა ინტერიერები მორთულია ე. წ. „ტრადიციული“, „ეროვნული“ დეკორატიული ელემენტებით. ხშირად იგი დანერგულმანებელია, მოკლებულია ერთიან ჩანაფიქრს. თავისი შინაარსით დეკორატიული ელემენტები სხვადასხვა ხასიათისაა და ამიტომაც გულტყურია. „ეკლექტიკა ისტორიული პროგ-

რესის პასიური წინააღმდეგობაა, ჯანსაღი სოციალისტური არქიტექტურის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდი“ — წერს ი. მაცა თავის ნაშრომში „ეკლექტიკის ბუნების შესახებ“.

ჩვენი არქიტექტურული სტილი ეპოქის პროდუქტია. იგი საკუთარ დამოკიდებულებას ავლენს სივრცისა და მასალებისადმი.

როგორი სემანტიკა უნდა გააჩნდეს თანამედროვე არქიტექტურულ ენას?

არქიტექტურული გარემოს აღქმა ხდება ფუნქციონალურ პროცესში, ამიტომაც მისი განზილვა შეუძლებელია ამ პროცესის ანალიზის გარეშე.

მასასადავმე, არქიტექტურული ფორმების აღქმა მხოლოდ ვიზუალური როლია, როგორც ეს ზოგჯერ ესმის ზოგიერთ მკვლევარს. მხედველობითი აღქმა — ეს მხოლოდ ერთი მხარეა რთული პროცესისა.


ყოველგვარ ფორმა-წარმოქმნას წინ უსწრებს შესაბამისი ფუნქციის ან ფუნქციათა კომპლექსის ჩამოყალიბება, რომლის არსის სრულყოფილ შესწავლაზე და შემდეგ მის მატერიალიზებაზე დამოკიდებული ფორმის ფუნქციონირებისა და მისი დანიშნულების ხანგრძლიობა.

ისევე, როგორც საგნის ან მოვლენის სიმბოლურ გამოსახტულებას წარმოადგენს საგნის ან მოვლენის არსის შესაბამისი ბგერითი ან გრაფიკული გამოსახვა, ადამიანის ფსიქიკაში არქიტექტურული გარემოს სიმბოლური ჩამოყალიბება ხდება შესაბამის ფუნქციონალურ პროცესთან ერთიანობაში.

ძველი არქიტექტურული ფორმები.

ძველი ფორმების განმეორება თანამედროვე არქიტექტურაში (ტეგიონალიზმის ნოსტალგია).

ეროვნული არქიტექტურული დეტალების კოპირება.



<sup>2</sup> Г. Земпер. Практическая эстетика, «Искусство», М., 1970, стр. 167-169.

როდესაც არქიტექტურული ჩანაფიქრი მოიცავს არქიტექტურული ენისათვის უცხო ელემენტებს, — წერს ლე კორბუზიე, ეს აუცილებლად იწვევს გვეგარბებითი სტრუქტურის დარღვევას და არღვევს ჩანაფიქრის მთლიანობას.

ახალი არქიტექტურული ფორმა, როგორც ახალი არასრული ინფორმაცია, მიუღებელია ადამიანისთვის, რადგან იგი წინააღმდეგობაში არსებულ ესთეტიკურ კრიტერიუმთან და მისაღები ხდება მხოლოდ აზრობრივი მნიშვნელობის შექმნის შემდეგ.

ხშირად არქიტექტორები თითქოს ხარკს უხდიან ამ არასასიამოვნო ფსიქოლოგიურ მომენტს. იყენებენ ძველი აზრობრივი მნიშვნელობის მქონე ფორმებს, რაც არქიტექტურაში გარემოს სემანტიკის გაღარიბებას იწვევს.

არქიტექტურის შედგენები იქმნება მხოლოდ საწინააღმდეგო პროცესის შედეგად, როდესაც ფორმა თავდაპირველად ფსიქოლოგიურად მიუღებელია, მაგრამ მისი ესთეტიკური გამოხატულება განპირობებულია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესაბამისი ფუნქციური პროცესებით, რასაც ეს ნაგებობა ან გარემო უკეთებს ორგანიზებას.

ახალი ფუნქციური პროცესები აყალიბებენ შესაბამის ახალ ვიზუალურ ფორმებს და მათ აზრობრივი მნიშვნელობას. ამიტომ იგი შეუთავსებელია ძველი აზრობრივი მნიშვნელობის მქონე გარემოსთან და გარემო ვიზუალურად გაუგებარი ხდება, თუ იგი ხედვითი აღქმისათვისაა განკუთვნილი.



რომორც არქიტექტურის, ასევე ჩვენი დიზაინის უპირველესი მიზანია საუკეთესო ხელოვნური გარემოს შექმნა შრომისა და დასვენებისათვის, ისეთი ნაგებობისა და ნაკეთობების შექმნა, რომელიც თავისი ფუნქციური და მხატვრული გადაწყვეტით ხელს შეუწყობს ახალი ადამიანის აღზრდასა და ჩამოყალიბებას.

ჩვენს ქვეყანაში ეროვნული არქიტექტურის პრობლემის გადაწყვეტისას, — წერდა მ. გინზბურგი — გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა წახამდღარი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ საბჭოთა რესპუბლიკის სახეს: 1) მრავალსაკუთრებანი ყოფისა და კლნიკტური პირობების ხასიათი, 2) ახალი, სოციალისტური წყობის პირობებში ცხოვრების ახალი ფორმები და თანამედროვე ტექნიკის მიღწევები, რომლებიც საერთოა მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის“. „კრიტიკას ვერ გაუძლებს ძველი არქიტექტურული დეკორატიული ფორმების, ან სხვა ეროვნული სტილის აღდგენა“.

ამრიგად, არ იქნებოდა მართებული, რომ ეროვნულ ტრადიციად მიგვეჩინა მხოლოდ ის, რაც განასხვავებს ერთ ეროვნულ კულტურას მეორისაგან, ან მხოლოდ ის, რაც დაკავშირებულია მის წარსულთან, მის ისტორიასთან.



საკირთა დაინახათ და გავაღრმავთ ახალი ტრადიციები, რომლებიც ყალიბდება სოციალისტურ ეროვნებათა ურთიერთკავშირის, კომუნისტური მშენებლობის პროცესში.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ჩვენს ქვეყანაში გაჩნდა ხალხთა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. ე. ი. როდესაც იქმნება არქიტექტურული გარემო, როდესაც

ეროვნული არქიტექტურული ფორმები.

ეროვნული არქიტექტურული ფორმების ნოვატორული გადაწყვეტა.

თანამედროვე ეროვნული არქიტექტურული ფორმები.



საკ არქიტექტორი სივრცობრივ ორგანიზებას უკეთებს სოციალურ პროცესს, მას ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი მისი მომავალი მომხმარებლის სოციალური პარამეტრები.

იგივე შეიძლება ითქვას სამრეწველო ნაკეთობებზე, დიზაინის პროდუქტებზე.

დღეს იქმნება ე. წ. „ქართული ავეჯი“, რომელიც შემკულია „ქართული ორნამენტით“ (ორნამენტის დამუშავება უკვე ხერხდება ინდუსტრიული წესით), მაგრამ დეტალური ანალიზისას, ავეჯი ელემენტარულ ერგონომიკულ მოთხოვნებზემსადაც კი ვერ ამაყოფილებს, თუ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ მისი სერიული გამოშვება მხოლოდ ბინების გადატვირთვის ანალიზისას, იგი ამითაც მოკლებულია სოციალურ არსს. ისეთ აბსურდამდეც კი მივდივართ, რომ თუცა ავტორ-გამფორმებლები იგივე ავეჯს ტაჯიკური ორნამენტით შეამკობენ, ამით იგი ტაჯიკურად იქმნება.

„ორნამენტი, რომელმაც დაკარგა ყოველგვარი ორგანული კავშირი ჩვენს კულტურასთან, — წერდა ადოლფ ლოთისი, — ჩვენი საუკუნის დასაწყისში, აღარ წარმოადგენს მისი გამოსატყვის საშუალებას. ორნამენტი, რომელიც იქმნება დღეს, აღარ არის გარკვეული საზოგადოებისა და გარკვეული ტრადიციების ცოცხალი შემოქმედების შედეგი; ეს არის მცენარე, რომელსაც არ გააჩნია ფესვები, არ აქვს უნარი გაიზარდოს და გამრავლდეს“.<sup>3</sup>

ჩვენს საზოგადოებრივ სისტემაში ასეთ გამფორმებლობას ადვილი არ უნდა ჰქონდეს.

სოციალისტური ფორმა-წარმოქმნის პრინციპი

<sup>3</sup> A. Лох. Орнамент и преступление. Мастера архитектуры об архитектуре. М., «Искусство», 1972, стр. 146.

არა სტილიზაცორობა, დიზაინის მიზანია სრულყოფილი ნაკეთობის შექმნა, ე. ი. ადამიანს სწორი წარმოდგენა უნდა შეექმნას ნაკეთობის არსზე.

ადამიანის აღზრდაში, მის ფორმირებაში მონაწილეობს არა მარტო ოჯახი და კოლექტივი, ხელოვნება და სპორტი, არამედ მთელი მატერიალიზებული, ხელფონური გარემოც, რომელიც იქმნება არქიტექტურისა და დიზაინის საშუალებით ახალი არქიტექტურა, შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურით, ახალ ურთიერთობათა სისტემას წარმოქმნის.

არქიტექტორებისა და დიზაინერების ვალია პარამონიული გარემოს შექმნით ხელი შეუწყონ ამ პროცესს.

ეროვნული ფორმა ფორმა-წარმოქმნის პროცესის მოქმედ ფაქტორთა სწორად გათვალისწინების შედეგია და არა თვითმიზანია.

ეროვნულის ძიება „გამფორმებლობის“ გზით სასურველ შედეგამდე ვერ მივიყვანვს.

ერის ფსიქიკური წყობა გარკვეულ როლს თამაშობს ფორმა-წარმოქმნის პროცესში და, შესაბამისად, ვლინდება თავისებურ ფორმებში.

არქიტექტურულ ნაგებობათა და დიზაინის პროდუქტის აღქმა შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციური პროცესის ანალიზის საფუძველზე.

ურთიერთობათა სისტემის შექმნა, რომელიც ხორციელდება ხელოვნური გარემოს საშუალებით, ჩვენი არქიტექტურისა და დიზაინის მთავარი ამოცანაა.

სოციალისტური არქიტექტურისა და დიზაინის პრინციპების დრმა ცოდნა საშუალებას გვაძლევს სწორად წარმართოთ ფორმა-წარმოქმნის პროცესი.

თანამედროვე არქიტექტურის გამომსახველობითი ენა.  
კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი ისტორიულად ჩამოყალიბებული და თანამედროვე ხელოვნური გარემოს არქიტექტურულ ენათა შერწყმა.



ისტორიულად ჩამოყალიბებული ხელოვნური გარემოს არქიტექტურულ-გამომსახველობითი ენა.

### უპრო ახლოს

### საკამათო საბანთა

#### ჯანსუღ ღვინჯილია

#### 1. ანშლაბის მაცდუნებელი პატრონი

„მომუხამდამლად, ვნებათა აღუგნებლად, უმროზლად და მუღმივი ჟინიანი ლტოლვის გარეშე, მშვენიერების გრძობის საკუთარ არსებაში განუვითარებლად, ხელოვნებას ვერაფერ უხარება“ — ანდერძივით დავკვიტოვა ბელისსიმი.

ასე მთავრდება ეთერ გალუსტოვას წერილი „უპროს რას ვეპარობებით?“ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1974 წლის მე-12 ნომერში.

მკითხველ საზოგადოებას წინასწარ უნდა წოვუსადო მოდომი ერთი გარემოების გამო: ხშირად მიგმართავ ციტირებას როგორც ჩემი, ასევე ოპონენტის სტატიიდან, რადგან საკითხი, რაზედაც დავა მიმდინარეობს („თეატრი და მასშობელი“), უადრესად მნიშვნელოვანია და იგი ოვითვე მოითხოვს დისკუსიაში მონაწილეობას კამათის ყველა წესის დაცვას, საკამათო დებულებების ყოველმხრივ გაანალიზებას, მოკამათის პატივისცემას.

სამწუხაროდ, ძნელია ისეთი დისკუსიის დასახელება, რომელიც კამათის კანონების დაცვით იყოს წარმართული, თითო-ორილა მაგალითის თუ მოიგონებს ვინმე. ასეთი ატმოსფეროს

გარემოცავში არც არის გასაკვირი ჩვენი უნებლედ ცოდებანი და არც ეთერ გალუსტოვას წერილის პათოსიკური კვირვება, არც მისი გაცხარებული ტონი (აქვე უნდა მოვხსენიოთ რომ შეიძლება ზოგჯერ თვით საკამათო საგანზე, ფაქტზე, მოვლენებზე გამოწვივის ჩვენი გაცხარება. ეს ხშირად აუცილებელიც არის. მაგრამ მოპაექრესთან საუბარი მოითხოვს, პირველ რიგში, თუნდაც საკუთარი თავის პატივისცემის მიზნით, მეტ სიღრმევს. ასე რომ, ოპონენტის მიერ შენიშნული „ჯ. ღვინჯილია გვიკვირებს“ და ირონიკარული კითხვები საკამათო საგანს და თვით კამათის აზრს არაფერში გამოადგება).

ერთი წამითაც არ მინდა მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეეკმნა, თითქოს ეთერ გალუსტოვა ზერეულად მოვიწინა და თვით საკამათო საგანს და მისი მტკიცების სასიათი ამ ზერელობამ განსაზღვრა. ოპონენტი ქართული თეატრის გულშემატკივარია და მასეუბრებისა და თეატრის ურთიერთობის პრობლემა, ბუნებრივია, გულწრფელად აღვლევს. მაგრამ თვითონ მისი საკამათო წერილი იმდენ წინააღმდეგობას შეიცავს, მასში იმდენჯერ არის დარღვეული კამათის თვით ელემენტარული წესებიც კი, რომ თითქოს აზრი არც მჭონდა განმეორებით მტკიცებას. მაგრამ ეთერ გალუსტოვას წერილში გატარებული აზრი არც ისე ზერელეა, როგორც, ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს (იგულისხმება, რომ ოპონენტსაც, თავის მხრივ, ზერეულად მოუჩვენა ჩემთვის არსებითი დებულებების ძირითადი ნაწილი). თვით ამ ზერელობის არსია საგულისხმოდ. უფრო სწორად, ის მიზეზი, რომელიც თეატრისა და მასშობელის ურთიერთობაზე თქმულ ყოველ სიტყვას ზერელობის ელფერს ანიჭებს.

„ხანუმასა“ და „ძველი ვოდვილების“ ანშლაბები რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიურ თეატრებში უადრესად პრინციპული მნიშვნელობის ფაქტია და მასზე წამოწყებულ დავას ჭირდება ბოლომდე გაყოლა. თანაც ეთერ გალუსტოვას წერილის ზურგს უკან „ხანუმასა“ და „ძველი ვოდვილების“ გულშემატკივართა მთელი ზღვა დგას და ოპონენტთან პაექრობისას ამ დიდ აუდიტორიასაც ვგულისხმობ, უბრალოდ, არ შეიძლება არ ვიგულისხმოდ. სახელმწიფო აკადემიური თეატრების პოზიციის დადგენა ამგვარი სპექტაკლების მიმართ ასევე უადრესად პრინციპული საკითხია და „ხანუმასა“ და „ძველი ვოდვილებზე“ მსჯელობა არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს. სახელმწიფო აკადემიური თეატრების პოზიცია ამავე დროს ქართული თეატრების მიმართულებასაც განსაზღვრავს და, მით უმეტეს, დიდია პასუხისმგებლობა. ამიტომაც სისხლბორცულ საკითხებზე ჩვენი შეხედულებების იმდენად კბილბეტი დავაკვირ არ ვჭირდება, რამდენადაც ოპონენტთა დავკვირებების შეკერება და ნაივლყოფა.

შემოთავაზებულ და ახლაც საგანგებოდ ვამიგობებ, რომ ეთერ გალუსტოვას დამოკიდებულება კი არ არის თეატრთან ზერეულ, არამედ ეთერ გალუსტოვას ჩემს წერილთან დამოკიდებულებაა ზერეულ. როდესაც კვამათობთ ვინმესთან, იმ ვინმეს საკამათო დებულებები ღრმად უნდა გავანალიზოთ, რომ ჩვენი ზერეულ დამოკიდებულება მოპაქრის წყაროებისადმი არ გადაზარდოს საკამათო საგნისადმი ზერეულ დამოკიდებულებად და ამით საქმეს არ ვნებს.

სამწუხაროდ, ასე მოხდა.

ეთერ გალუსტოვამ სცადა გაქეპრწყობინა ჩემს წერილში გამოთქმული მოსაზრებების აბსოლუტური უმარჯესობა, თანაც მტკიცებისა და არგუმენტირების გარეშე, იოლად, მარტივად

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ №126-2-12 1974 წ., №126 1-3, 1975 წ.

ად. მაგრამ რაკი თითონ საკითხი ასე მარტივი არ არის, მიტომ ჩემი აზრით, აუცილებელია ის კვლევა მოექცეს სასო-  
დლოების უზრუნველების ცენტრში და მტკიცებულ დებულებე-  
თა თვდაპირველი სახით წარმოვადგინოთ.

ეთერ გალუსტოვას თავისი წერილის სათაურში გააქვს ერთ-ერთი ბრალდება: „უანრს რას ვემართლებით?“ — კითხვითის იგი. და აი, სწორედ სათაურთან იწყება ჩვენი დის-  
უსიებისათვის მიმასახიათებელი ე. წ. საერთოო აზრების  
მაკვერისათვის მიწერა და საკამათო საენის რელსებიდან  
ვადგებმა. სათაურდამდე ისეთი დასკვნა გამოდინარების,  
რომ მე ვანრს (ამ შემთხვევაში ვოდევილი) ნათიერ წარ-  
მოდგენა არ მაქვს და ამიტომ ოპონენტი განმეზმარტავს გო-  
დევილის არსს და ვოდევილის თამაშისათვის აუცილებელ მსა-  
სიბურ მონაცემებს: „საქმე ის არის, რომ ვოდევილს უმკვე-  
ლი სცენური ღირსებები გააჩნია და ამავე დროს განსახიერე-  
ვის თავისებური სინდიენიცი: მის შემსრულებელ მსახიობს  
ერთად მოეთხოვება გულწრფელობა, ვოდევილური პლასტიკა,  
მიზმილავი უმუშაობა, მუსიკალურობა, იმპროვიზაციის ნი-  
ქი და, რაც მთავარია, მხატვრული ტაქტი და გემოვნება. თუ  
ეს უკანასკნელი არ გააჩნია, ან ნაღობად აქვს შესაძლოა  
ვოდევილური წარმოდგენა ერთბაშად მდარე და უსამსიცი გე-  
მივიდეს. ჰოდა, აქ საქმე სიუჟეტს ან თითონ ვოდევილით  
ანანს კი არ ხვება, როგორც ე. ლინჯილია ფიქრობს“.

საკამათო განათინ რაც შეიძლება ჩქარა მისცლის მიზნით  
სატირია აქვე შევახსენოთ მითხველს, ე. ლინჯილია რას  
ფიქრობს ვოდევილზე, უფორ სწორად, ამცირება თუ არა მის  
წინმელობას, როგორც დამოუკიდებელი ჟანრისა: „ვოდე-  
ვილს რაც მოეთხოვება, ყველასათვის ცნობილია და რაც მოე-  
თხოვება, მას საქმეტკალში მონაწილენი მაქვსიმალურად აკე-  
ვებენ“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1974 წ. № 2, გვ. 109). სხვა  
ადგილას გარკვევით არის თქმული: „სამივე ვოდევილი სცენუ-  
რად შესანიშნავად არის გამართული, ზოგჯერ გაკეთებულია  
იმასე მეტი, რის საშუალებასაც ტექსტი იძლეოდა. სსრკ სა-  
საბუო არტისტები, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების  
ლაურეატები გასო გოთიაშვილი ფაქტიურად განასაზოებებს  
„ძველი ვოდევილების“ დაუცხრამელ რიტმს და საერთოდ  
მოელს საქმეტკალის ზემოქმედების უნარს. მრავალჯერ ნაცე-  
დი, მუდამ გამარჯვებული მისი ტალანტი აქ იოთქმის არაფ-  
რიდან ქმნის ტვირან პოპოზანიცისა და არმუკას მეტყველ სა-  
ხეებს. გარდასახვის ნიქი მაქსიმალურად არის გამოვლენილი...  
გაგისხენით პირველი ვოდევილის „თინაზის“ დასასრული-  
ე. გოთიაშვილი როკვით გადის სცენიდან. მაყურებელი ამ  
დროს ფაქტიურად მონაწილეობს საქმეტკალში. ე. გოთიაშვილი  
მაყურებელს აჯადოებს უნაკლი თამაშით, მადელი გემოვნე-  
ბით, აჯადოებს როლთან დამოკიდებულებითაც. თითქმის მის-  
თვის უსაყვარლეს როლს ასახიერებს. თამაშის თვალდავი-  
წებით, მთელი არსებით... ე. გოთიაშვილის თამაშის შთამბეჭ-  
დობას პარტნიორთა — ე. ყიფშიძის, ე. გელოვანის, ნ. მამა-  
ლაძის კარგად გააზრებული, დახვეწილი თამაშზე უწყობს  
ხელს“.

ჩემთვის გარკვეველია, რამ აფიქრებინა ოპონენტს თით-  
ვის ვოდევილს, როგორც ჟანრს, ვემართლებოდა ნუთუ მართ-  
ლა სერიოზულად ვფიქრობთ, რომ ვინმეს თუნდაც სურვილი  
შეიძლება დაებადის ჟანრთან დაპირისპირება? ნუთუ ჩემა  
წერილიდან აქ აუცილებლობის გამო ციტირებული და სხვა  
უამრავ ადგილზე (საგანგებოდ რომ მაქვს განმეორებული) არ

აუგლისსმება შემსრულებელთა უნაკლი თამაშის და რეჟისო-  
რების მალალი ხელოვნების ქება?

არავს არ აქვს უფლება და არც მე დამინახავს მიწინა-  
ვოდევილს, როგორც ჟანრის წინააღმდეგ გამოვსულოყავი. მე  
მინდოდა ჩემი მოსახრება გამოვხედავო იმის შესახებ, რომ  
„ხანუშასა“ და „ძველი ვოდევილების“ ადგილი რუსსაშველი-  
ს და მარჩანინოსის სხსაღმსრუმი აბაღმსმრე შთამბრძენი  
პრ არის, რემ მამოი აღმვიმ სხმამანასა. იმ წერილშიც საგან-  
გებოდ დადამქონდა ამ აზრზე აქცენტო, საგანგებოდ ვუსვამდა  
ხაზს აკადემიურ თეატრს და ახლაც საგანგებოდ გამოვყოფ  
მას. რადგან მიზანია, რომ ჩვენი დღევანდელი სათეატრო კულ-  
ტურის უმწვეავის საკითხი სწორედ თეატრების მჭარი მოზი-  
ნის დადგენაა, მისი შინაგანი შემოქმედებითი პრინციპების  
მთლიანობა, სტლი და საზოგადო ფორმების სტრუქტურა.

მაგრამ ეს არსებითი საკამათო საგანი რომ ისევ თვისა  
ადგილზე დავდგის, აუცილებელია ოპონენტის წერილის შინა-  
განი წინააღმდეგობა და ავტორის მერყევი პოზიკია განათდეს,  
რადგან ეს წინააღმდეგობა და მერყევი პოზიკია, სწორედ  
„ხანუშასა“ და „ძველი ვოდევილებისადმი“ აკადემიური თეატ-  
რების პრინციპული დამოცილებულების წისკვილს ათასი  
წყაღს.

ეთერ გალუსტოვას წერილს წინააღმდეგობა ნათლად  
ამტკავებს სასოგადოების ერთი ნაწილის (დიდი ნაწილის!)  
გაოგრებულ დამოცილებულებას არაერთთვის ხასხსენის ასე-  
ტკალებისადმი. ამ სასოგადოებას, რომლის აზრსაც ასე დაუ-  
ზარდავად და გულწრფელად გამოხატავს ეთერ გალუსტოვა,  
მშენიერი სანასიბითი მხარისა და საშემსრულებელი ხელო-  
ვნების გამო, არ ეთობა „ხანუშა“ და „ძველი ვოდევილები“,  
ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი მართლაც დაქვევულია საქმ-  
ეტკალების იაფფასიანობით და შინაგანად უპირისპირებულ  
კიდევ ამ იაფფასიანობის ესოდედ დიდ რეზონანსს.

დავიწყოთ ამ შინაგანი წინააღმდეგობის პირველი მხარით,  
ე. ი. იმით, თუ ეთერ გალუსტოვას რა ღირსებების გამო არ  
ეთობა „ხანუშა“ და „ძველი ვოდევილები“ (აქვე უნდა შეე-  
ნიშნო, რომ მე საკამათო მათისა დირსება არც გამიხიდა!).

ე. გალუსტოვა წერს:  
„რუსთაველელთა და მარჯანიშვილელთა აკადემიური თეა-  
ტრების მოქმედ რეპერტუარში ჩნდებიან და ქრებიან სხვა და-  
სახელებანი, ესენი კი უსველად რჩებიან მათ აფიშებულ და  
ალბათ ამ წარმოდგენების ნახვის სურვილი კიდევ დიდხანს არ  
განეღებმა...“

სხვა ადგილას:  
„...მიუხედავად ამისა, ორივე წარმოდგენას ნიზიდულების  
დიდი ძალა გააჩნია — ლამაზი სანახაობა, ცალკეულ შემსრუ-  
ლებელთა ფრიადი ნიქიერი, ოსტატური თამაში და ისეთი მნი-  
შენლოვანი თვისება, როგორცაც დრამატკატეგორიული ნაწარმო-  
ების, მისი სურვილი განსახიერების ყველა კატეგორიის ძალ-  
დაუტანებელი, ოლიო აღქმა „ხანუშასა“ და „ძველი ვოდევი-  
ლების“ წარმოდგენების დროს სცენა და მაყურებელთა დარ-  
ბაზი ერთი სულისკვეთებით იმსკვადება, რადგან მაყურებელი  
სცენიდან იღებს იმ ესთეტიკური საზრდოს, თავისუფლად რომ  
ითვისებს თითქმის მზამზარეულად“.

უფრო ქვემოთ:  
„გარდა იმისა, რომ ის ორივე საქმეტკალი ადვილად აღსაქ-  
მელია, მათ გააჩნიათ კიდევ ერთი მიმზიდველი ნიშან-თვისე-  
ბა — სცენები, რომლებშიც მონაწილეობენ გასო გოთიაშვილი,  
ერთი მანკგაღაძე, რამაზ ჩხიკვაძე, სალომე ყანჩელი, ელენე

ყოფნით, მარინე თბილელი და კიდევ რამდენიმე მსახიობი, გამორჩევა სცენური თამაშის თვალსაჩინო მომხმარებლებით. მშენებრებთ, მეთლი თავისი ზემოქმედებით, გადაწყვეტილებების პირველყოფილი უმანკოების ქედითი სისხლისით, რაც მსახიობური ბუნების უმაღლესი გამოვლენებაა. ესე იგი იმისა, რითაც თეატრი მსატრული მუშების იჯახიდან გამოირჩევა? „ხანუშას“ და „ძველი ვოდველებს“ ღირსებებს გაანალიზებას ავტორი არაერთხელ მიმართავს სხვადასხვა კონტექსტში მათ თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. სასცენო ლოკაციებზე ჩემი და ოპონენტის ქება რეჟისორებისა და მსახიობების ხელოვნების მიმართ ერთმანეთის ემთხვევა. ისინი უზარალოდ განსხვავებულ ფორმით შეიძლება იყოს გამოთქმული; უნა და ეს. მაგრამ ეთერ გალუსტოვას წინააღმდეგობა მას შემდეგ ცხადდება, როდესაც იგი, იცავს რა ვოდველის ეპოსს, საერთოდ, და დასახლებულ სპექტაკლებს, კერძოდ, იწყებს აკადემიურ თეატრის „ხანუშას“ და „ძველი ვოდველების“ ანშლავის გამართლებას. თეატრის გულმგობრად ოპონენტ არ უფიქრდება სწორედ იმ მოვლენის არსს, რომელზეც ასე გულწრფელად აკურობს: „ი, ერთ კონკრეტულ საკითხზე შეეწინააღმდეგეთ. მაყურებელთა გარკვეული რიცხვი რუსთაველის სახელობის თეატრში დადის მხოლოდ „ხანუშაზე“. სხვა სპექტაკლებზე ქუდი რომ შეუდგოს, მაინც არ შეევა როგორც თეატრის პოზიცია და ურთიერთობა „ხანუშას“ მუშტართან“. თეატრის მისი თავიდან მოშორებას ან ხელახლა აღზრდას ცდილობს თუ ასეთი აუდიტორიის გაფართოებაზე ზრუნავს? როგორ პარადოქსადაც არ უნდა მოგვიჩვენოს, თეატრის უნაშაურად (ნამდამთ იძულებით) „ხანუშას“ მასშტაბის ნება-სწრაფიშე (ხანუშას ყველგან ჩემია — ჯ. დ. ჯერ ერთი, თეატრი სრულებითაც არ ფიქრობს რეპერტუარდანი მის ამოღებას. პირიქით, განახალა დეკორაციები (უფრო აკადემიური მსატრებით), განახალა დადგამა და, უფრო მეტიც, — ცნობილი თბილისელი მახანუშის თაყვანისმცემლებს პაირდება მისი თავგადასავლის გაგრძელებასაც კი, აგრეთვე თავად ფანტაზივილისა და აკოვას მოგზაურობას საზღვარგარეთ: ევროპაში, კერძოდ, პარიზში. გეკითხებით, რომელი მაყურებლისთვის ზრუნავს და იღვწის თეატრი ასე გულმოდგინედ, ვისი გულის მოგებას აპირებს? მსატრული სადავო, შელახვით რეპუტაციის წარმოდგენის, ბედრული „ხანუშას“ მაყურებლის გულის მოგებას? ამის დამდეგ მის დაპარკამთ, „რუსთაველიშე“ მასშტაბილი, შინ განსასაზღვრავს ამ თეატრის სარეპერტუარო გზას, შინ მისი მისი ხელოვნების ამინდს?„

ამ კითხვებს, რომლებშიც უკვე ილანდება ავტორის მერყეობა, შინაგანი წინააღმდეგობა, ქვემოთ უფრო ნათლად და უსუსტად გაგრძელდება აქვს, მაგრამ თავდაპირველად კითხვებს მინდა ვისასუხო აქვე ისევე პირდაპირ, როგორც პირდაპირობითაც ისინი დასვა ოპონენტმა: სამწუხაროდ, არც რუსთაველისა და არც მარჯანიშვილის თეატრი არ აპირებს (თუმცა შეიძლება ცდილობდეს) ამ სპექტაკლების „შომორებას“. ჯერჯერობით, როგორც ჩანს, აფართოებს „ასეთ აუდიტორიას“. რაც თეატრია, ორივე თეატრი უმშტაბილია სწორედ „ხანუშას“ და „ძველი ვოდველების“ მაყურებლის „ნება-სურვილზე თამაშობს“, უმშტაბილია სწორედ ეს სპექტაკლები განსასაზღვრავს „სარეპერ-

ტუარო გზას“ და ძირითადად ისინი ქმნიან ჩვენი ორო ქმნიანი თეატრის „ხელოვნების ამინდს“.

დამაფიქრებელ გარემოებად სწორედ ის ფაქტი მსახიობთა, რომ თეატრები „ხანუშას“ და „ძველი ვოდველების“ მაყურებლის „ნება-სურვილზე“ თამაშობენ; საგანგაშო სწორედ ის არის, რომ თურმე ამ მაყურებლისთვის „ზრუნავს და იღვწის“, მათი „გულის მოგებას“ აპირებს. საგანგაშო სწორედ ის არის, რომ ეს მაყურებელი განსასაზღვრავს თეატრების „სარეპერტუარო გზას“ და კიდევ ერთხელ, საგანგაშო ის არის, რომ ეს სპექტაკლები ქმნიან ჩვენი უწყაბიო თეატრების „ხელოვნების ამინდს“.

ჩვენი საკამათო საგანი აქ იწყება თუ ვოდველიზე, როგორც ჯანზე, და შემსრულებელთა მაღალ ხელოვნებაზე, თავისთავად მე ერთხელაც კი არ მიმიტანია იერიში.

ოპონენტის შინაგანი მერყეობა თანდათან გამოიკვეთა და ბოლოს მისი პოზიცია მთლად ნათლად აჩვენა:

„და მაინც სამწუხარო ის კი არ არის, „ხანუშას“ და „ვოდველებს“ მაყურებელი ზღვასავით რომ აწყდება, პრამელ სხვა ამბავი, იმი მთლიანად რომ იღებს ბატი, უწყაბიანოდ, უკამათოდ, განსაზღვრავს. არავითარი გამოჩენვა, არავითარი კრიტიკული განაღმებება. ნახავი ხელოვნება, ამ შემთხვევაში მხოლოდ ასე ვინებს მაყურებელს, ასე ვთქვათ, სიაშინებას ანიჭებს, ეს არის და ეს.“

ამ მასშტაბებზე ხელოვნებასთან ურთიერთობა მერყეობს, ურთიერთმომხმარებლობის არსს მერყეობს, მერყეობს მისი ბაზმა, მხოლოდ ნახვეთი დამამაყობილია.“

თუ მხოლოდ კამათის სუბიექტური ინტერესი ვაცოცხლებს, მაშინ აღმაშინებ ოპონენტისაგან თავისი ხელთ მოწყობილი უსუფო იარაღს ვერ ინატრებს. მაგრამ ღრია, საკამათო საგანი ყველაფერზე მაღლა დაგაყენით და სიაშინებით უნდა შევინიშნო, რომ აქ ციტირებული ადგილის ავტორი საკამათო საგნის მიმართ იმავე პოზიციაზე დგას, თორც კვამათობა. აქვე მინდა მომაქვრს შევინიშნო, რომ თუ ისეთი მაყურებლის ზღვა აწყდება თეატრს, რომელმაც „ხელოვნებასთან ურთიერთობა ვერ ისწავლა, ურთიერთმომხმარებლობის არსს ვერ ჩაწვდამა, ვერ ისწავლა მისი გაცემა, მხოლოდ ნახვეთი დამამაყობილია“ — ეს ნამდვილად სამწუხაროა, სამწუხაროზე სამწუხარო!

ასე შეიკრა იმ შინაგანი წინააღმდეგობის მეორე მხარე, რომელიც ეთერ გალუსტოვას წერილს ახასიათებს. ავტორს, ბუნებრივია, ვერ ეთმობა 280 ანშლავის სპექტაკლი, ვერ ეთმობა მაყურებელი გატყვილი დაზარაო, საზოგადო წარწყობილება და ამავე დროს აშკარად ხედვას ანშლავით მიზანდასახლებული მაყურებელთა დაბალ გემოვნებას. ხედვას და აღიარებს; ამით აღიარებს თვით სპექტაკლის ვოდველიურ იაფფასიანობას და მისგან თეატრის „სარეპერტუარო გზის“ გამორღებას.

ეთერ გალუსტოვას წერილში არის ერთი მეტად საჭირო და საგულისხმო დაკვირვება:

„ალბათ ეს ორივე სპექტაკლი იქნება აუგად არც არავის მოუხსენიება, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების რეპერტუარში რომ ზრუნავდნენ მთლამხატვრული, ღრმადზოროვანი, პირველხარისხისთვის, ასე ვთქვათ, შვე-სპექტაკლები და მასთან შერწყმული დიდი მასშტაბის მსახიობური ნამუშევრები. სამწუხაროდ, ასეთი სპექტაკლები ძალიან ცოტაა. ამის პრალიცაა, რომ „ხანუშას“ და „ძველი ვოდველების“

წარმატება იმდენად მკაფიოდ ჩანს, რომ თვალშიც კი გვიჩ-  
ხივრება“.

აი, საიდან უნდა დაგვეწყოს დავა, რადგან ოპონენტს,  
უბრალოდ, არავითარი საბაზი არ ჰქონდა ჩემგან დაეცვა ამ  
სპექტაკლების ღირსებები (როგორ შემემძლო მიმქმენსაში),  
არავითარი საბაზი არ ჰქონდა დაეცვა ვოდევილის ქანრი  
(არაკი მომცემდა ამ ქანრის წინააღმდეგ გალაშქრების უფ-  
ლებას), არავითარი საბაზი არ ჰქონდა, შეხებინა სპექ-  
ტაკლების დიდი რესონანსი და პოპულარობა (ჩემი წერილი  
ამ პოპულარობისა და რესონანსის დასასაბუთებლად იწყება).  
ოპონენტმა უამრავი კითხვა დამისვა, ზოგ მათგანს ირონი-  
ასულდგულებს. ამ კითხვების გარკვეული ნაწილი ციტირე-  
ბისას შევასსენე მკითხველს. მაგრამ ამჯერად, მინდა რამდენ-  
იმეტი კითხვით მივმართო ოპონენტს და იმათაც, ვინც „ხანუ-  
მასა“ და „ძველი ვოდევილებს“ ამ ზარზუდის თეატრის ზეი-  
მად მიჩნევენ: რაკი ქართულ სპექტაკლში მისტრისმში „ძალაში  
ცოტაა მაღალმსატკრული, ღრმამართიანი, პირველხარისხო-  
ვანი, ასე ვთქვათ, მზე-სპექტაკლები“, სწორედ ამიტომ ხომ  
არ არის საგანგაშო „ხანუმასა“ და „ძველი ვოდევილების“  
დიდი პოპულარობა, რომელსაც ოპონენტსავე დასასაბუთებლად  
„ურთიერთგეგმვების აზრს ვერ ჩამწვდარი“ მაყურებლის  
ზღადა აწყვეტს? და თუ ჩვენი სახელმწიფო აკადემიური თეატ-  
რები „ხანუმასა“ და „ძველი ვოდევილების“ მაყურებლის  
„ნება-სურვილზე“ თამაშობენ, როგორ მოვიქცეთ, კიდევ ღრმად  
შევეყნოთ ამ მაყურებელს, კიდევ დავეთხოთ? ნართლა მისით  
განსვლადროთ სპექტაკლში თეატრების „სარეპერტუარი გაცის“?  
არ იზრუნონ სპექტაკლში თეატრებმა თავიანთი მუხის პო-  
სიციის, საპროფიციო სტილისა და პრინციპების ჩამოყალიბე-  
ბაზე? თუ ამისთვის ასალი თეატრები გაუხსნათ, რაკი „ხანუ-  
მასა“ და „ძველი ვოდევილების“ მაყურებელთა ნება-სურვი-  
ლი უკვე ყველაფერზე მაღლა დაგვიყენებდა? და კიდევ  
ერთი კითხვა, იქნებ ცოტა მკვეთრი, მაგრამ უსაბუთოდ ამოსა-  
თქმელი: თუ მთარბრმი მართლაც საპამაო სპექტაკლში  
მაცურებელთა „ნება-სურვილს“ თამაშობენ, როგორც გუ-  
ლანდილად შეინარსეს ოპონენტს, თუ მთარბრმის „სარეპერ-  
ტუარი მუსს“ მართლაც „ხანუმასა“ და „ძველი ვოდევილებს“  
საპროფიციო სტილი განსაზღვრავს, შეიძლება ამ თეატ-  
რებს ვოდევილთა სხელმწიფო სპექტაკლში მთარბრმად? მაგ-  
რამ მთლად ასე არ არის ჩემი აზრით, ვთერ გალუსტრავას სა-  
კამათო სპექტაკლების დასაცავად დასჭირდა მათ რესონან-  
სისა და პოპულარობის ერთობ გაცხადება. ჩემს წერილში აქ-  
ცნებთ გადატანლილი იყო იმაზე, რომ „ხანუმასა“ და „ძველი  
ვოდევილების“ რესონანსი თეატრის მყარ პოზიციას ეუქნებდა.  
ან ამ პოზიციის არქონას მოასწავებს. სურათის ისე დასატვა—  
თითქოს „ხანუმას“ და „ძველი ვოდევილებმა“ ყველაფერი  
ჩაყლაპეს, ცოტა გადაჭარბებულია. რუსთაველის თეატრი  
რამდენიმე პირველხარისხოვანი სპექტაკლით: „გუშინდლინი“,  
„სამანგივილის დედინაცვალი“, „ყვარყვარე“ და „მერანრდა  
აღბას სახლი“ აშკარად ავლენს სასიამოვნო თანამედროვე  
თეატრალურ კულტურას, ხელწერას და დინესტაჟ. ჩემი აზრით,  
არც მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარი გუამ-  
ლევს იმის უსულებას, რომ თეატრის რეპერტუარი მთლიანად  
„ძველი ვოდევილების“ კავალში ჩაყაყენით. აქ მხოლოდ აშკა-  
რა ტენდენციავ შეიძლება საუბარი და პრინციპულად იმაზე  
უნდა ვიდათო, დავეთხოთ თუ არა ნეგატიურ ტენდენციას, ან

მაზე, არის თუ არა დღეს „ხანუმასა“ და „ძველი ვოდევი-  
ლის“ ანალიტიკური აღწერება ნეგატიური ტენდენცია.

წერილის დასასრულს ვთერ გალუსტრავა აბლოს მივჩენე  
არსებითი საკითხთან, თუმცა მთელი ძალა სწორედ საკამათო  
სპექტაკლების დაცვას შევლია. ოპონენტის ნაწილსმეტი და-  
კვირება გვეხმარება უფრო გაუმართო „ხანუმასა“ და „ძველი  
ვოდევილების“ გარშემო საიქმელი და დავიძნით, რომ ამ  
ხასიათის სპექტაკლების აკადემიური თეატრებში განხორციე-  
ლება საერთოდ კი არ წარმოადგენს დაუშვებელ ფაქტს, არა-  
ნებდა ახლა, კონკრეტულად ამ პერიოდში, როდესაც ჩვენი წამ-  
ყვანი თეატრები ჯერ კიდევ ვერ ფლობენ მყარ პოზიციას,  
შეუვლა პრინციპის, თავისთავად სერიოზული, თუ ოპო-  
ნენტის აზრითქმის მივმართათ, ჯერ კიდევ არ „ბრწყინავენ  
მაღალმსატკრული, ღრმამართიანი, პირველხარისხოვანი, ასე  
ვთქვათ, მზე-სპექტაკლებით“ „ხანუმასა“ და „ძველი ვოდე-  
ვილების“ ანალიტიკურ ხელს ამიტომ უშლის ჩვენი სათე-  
ატრო კულტურის აღმავლობას. არც ერთი მათგანი არ გამოი-  
წვევდა ამდენ კამათს თუ აკადემიური სახელმწიფო თეატრ-  
ში მრავალი კარგი სპექტაკლით დაფარავდნენ „ხანუმასა“ და  
„ძველი ვოდევილების“ პულსს. დღეს კი ნამდვილად „გვემი-  
ხიბობა თვალში“; ყველას ეჩხივრება, თვით იმათაც, ვინც  
„განუსჯულად“ ტაშს უკრავს. იმათაც კი, ვინც სპექტაკ-  
ლზე ჰქუნი რომ შეუდგოთ, მაინც „არ შევას“. იგი ოპონენტს  
ამ ფრასისთან დაკავშირებით კიდევ ერთი კითხვა უნდა დავ-  
სვა, რადგან საკამათო საგანზე აზრის ბოლომდე, ნათლად  
შეფუთავებისათვის ეს კითხვა აუცილებელია. ან დიდძალი  
მაყურებელი, რომელიც „სქუდი რომ შეუდგოს“ თუ მაინც არ  
მეფა სხვა სპექტაკლზე, საიდან არის რუსთაველის სხელ-  
მწიფო სპექტაკლში მთარბრმის მამარბრმში? ნუთუ, საკუთარი  
სუბიექტური მოსაზრების გატანის მიზნით დღეს უკუგაგდოთ  
ოლითგან მიმდინარე პირობითობა, რომ ყოველ თეატრს თა-  
ვისი მაყურებელი ჰყავს? განა იმის თქმით, რომ „ხანუმას“  
მაყურებელი რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის  
მაყურებელი არ არის?, მაყურებელთა ხელოვნური დიფერენ-  
ცირების უსუფარლობა გამოიხატა? თეატრის უკუშემატე-  
ვარს ნუთუ ჰირდება იმის შესსენება, რომ პირობითად  
არსებობს დრამატული თეატრის, ოპერისა და ბალეტის თეატ-  
რის, მუსკოვიდის, ეტრადის და სხვათა მაყურებელი და  
მსმენელი, რომლებიც ასევე პირობითად ერთმანეთისაგან გან-  
სხვადებიან. თეატრის ისტორიაში ასე ყოფილა მუდამ და,  
მიუხედავად მასობრივი ხელოვნების არანაული მოძალე-  
ვისა, ეს პირობითობა ძალაში რჩება დღესაც.

ამდენად, ჩემი, იქნებ მკვეთრი, ფორმულირება სხვას  
არაფერს გულისხმობს, თუ არა აკადემიური თეატრების პო-  
სიციის დაცვას, რომელიც ამ თეატრების შემქმნელ კლდე-  
ტიმებს ჩვენსა — მოკამათებებს — ნაკლებ პრ აწუხობთ.

ახლა ბუნებრივად მივადევით უფრო მთავრას, არსებობს.  
„ხანუმასა“ და „ძველი ვოდევილების“ უკურგავისა თეატრის  
შემოქმედებით სტრუქტურაზე, რამეც უყოყმანოდ მეთანხმება  
ოპონენტს, ჩემი ანალიზის ხერხემლს წარმოადგენს. მოკამა-  
თეს შევძლო ანალიზის ხასიათი უკუვედო ანალიზის გზითვე,  
მაგრამ რატომღაც ჯერდება მხოლოდ ზედაპირულ, დაუსაბუ-  
თებელ განცხადებებს. ყველა არსებითი დაკვირვება ჩემს წე-  
რილში, სამწუხაროდ, პრეტენციულობის მოსალიდნელი შთა-  
ბეჭდილების მიუხედავად, ხასკასმით არის გამოიყოფილი, რი-



თავ საგანგებოდ მივანიშნებდი მათ ფუნქციავზე. აქედან არსებითად მხოლოდ ერთს შეეძლება ოპონენტი კერძოდ, მიესალმა იმ ფაქტს, რომ „ხანუმა“ და „ძველი ვოდევილები“ განსაზღვრავენ წამყვანი თეატრების მაკოსტუმას.

აუცილებელი იყო და შევეცადე ამეხსნა „ხანუმა“ სოციალური ნებათაღებლებისაგან განხვრეტვის მიზეზები, რომ შედეგადვე ბუნებრივად უნდა მივიღებ დასკვნებში, რომ „სპექტაკლ „ხანუმა“ ადრული სიცილი არაჯანსაღი სიცილია. ამ სიცილს ფუნქცია არა აქვს, ის არ არის სოციალური, არ იწყებს კაპრიზებს“ და იქვე: „როდესაც თეატრი დაგმას „ხანუმა“, ის თვითონვე სპოს თავის ნამდვილ მაყურებელს, ამიგერიებს კატასტროფულად მათ რიცხვს და იმათ გემოვნებასაც არასწორად წარმართავს, ვისაც შეუძლია დღეს თუ ხვალ ჭკმაბერი სტუდენტის მაყურებლად ჩამოყალიბდეს. რაკი თეატრი მაყურებლის გარეშე წარმოუდგენელია, ამიტომ დღევნე უცვლელია აზრი, რომ თეატრი თვითონ ზრდის თავის მაყურებელს, მაგრამ მაყურებელი რომ აღზარდო, საკუთარი მყარი პოზიცია უნდა გაააზრდოს“.

საწყისად, ოპონენტი არ თვლის თავს ვალდებულიად ანალიზის არსებით მიმართულებას ანკარიში გაუწიოს, არ აბეჭადებს საპირისპიროს: რომ „ხანუმა“ დადგმით თეატრი არ სპოს თავის ნამდვილ მაყურებელს, არ აყალიბებს მაყურებლის გემოვნებას, რომ მაყურებლის აღზრდასთვის სრულყოფილად არ არის საჭირო მყარი პოზიცია გააზრდეს თეატრს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში „ძველი ვოდევილები“ და „ხანუმა“ მაყურებლის ნებაზე არ ეთამაშობთ.

ჩემთვის აუცილებელია მოვაკერებ დამისაბუთოს, რომ „ხანუმა“ ზემოქმედება თეატრის შინაგან სახეზე სრულდებით: არ არის ისე საგანგაშო. როგორც მე მაქვს წარმოდგენილი: „მაყურებელთა ზღვა, რომელიც „ხანუმა“ აწყდება, ამომშრალ ფსკერს ტოვებს „სამანიშვილის დედინაცვლისთვის“. რადგან: გუშინ და გუშინწინ მაყურებელი „ხანუმა“ ნახვით სპსმ მისაბრძნო უფუნქციო, არაჯანსაღი სიცილს დაეჩვიოა. ამ სიცილმა თავისი სიმსუბუქით სპსმ მისაბრძნო მაყურებელი შეაშადა იაფფასიანი მიზანსცენების აღსაქმლად. სპსმ მისაბრძნო მაყურებელი თუნდაც ერთი იაფფასიანი ხელოვნების ნიმუშმა უფრო მოინადირა და მიიმხრო, ვიდრე რამდენიმე ჭკმაბერიტმა სპექტაკლმა ერთად“. იქვე ნათქვამია, რომ „ხანუმა“ ტამისცემა და ოცავიები „გუშინდელისის“ და „იულიუს კეისრის“ ამაღლებული ადგილებით აძირულ ტამისცემათა გერბის, შლის და წაღუეკავს მს. არც ამ ანალიზის ეკუთვლება თვლის ოპონენტი საჭიროდ, ამ შინაგანად ეთანხმება, რადგან თავისი წერილის ბოლო ნაწილში აღიარებს, რომ თეატრი „ხანუმა“ მაყურებლის ნება-სურვილზე თამაშობსო. აქ კი საკითხავია ერთივე კიდევ: საკუთრივ ჩვენი პოზიცია როგორია, კერძოდ, ეთანხმება თუ არა ოპონენტს ჩემს მიერ განვიტარებულ მოსაზრებას: „თუ საერთოდ შეუძლებელია მაყურებლის იზოლირება იაფფასიანი გემოვნებისაგან, თეატრიცო მაინც უნდა მოხერხდეს მისი იზოლირება იაფფასიანი სპექტაკლებისაგან. სხვა არსებით მიზეზებთან ერთად „ხანუმა“ მსგავსი სპექტაკლი ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა იმისა, რომ „ანტიონის“, „სამანიშვილის დედინაცვლის“, „ბერნარდა ალბას სახლისა“ და „გუშინდელისის“ მაყურებელი მცირდება“ (დღეს ამ სპექტაკლების რიცხვს, ბუნებრივად, მივამატებდი „ყვარყვარის“).

ეთერ გალუსტოვა თავის წერილში, მიუხედავად ღრმა კრიტიკული კონსტრუქციისა, მაინც, ჩანს, შერჩევით „ხანუმა“ „ძველი ვოდევილების“ ნება-სურვილზე თეატრების თამაშს, რამდენადაც კმაყოფილებ არის ამ სპექტაკლების ძლიერმოხლებით (მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იცის ნაკულისხმები მაყურებლის გემოვნების დონე). ბუნებრივად გვრჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქმის საბედწიფო აკადემიურ თეატრებს უფლება აქვთ შევეგონ თავიანთ ბედს და მათთვის შესაფერისი მყარი პოზიციის, თავისთავად სტილითა და სულისკვეთებისათვის არ უნდა იბრძოლონ. მათ, ვინც ოპონენტის ერთად ამ თვალსაზრისზე დგანან, ლოგიკურად უნდა აღიარონ თავიანთი დამოკიდებულების ხარისხი. თუ ვიცავთ „ხანუმა“ და „ძველი ვოდევილების“ ანშლავებს, როდესაც მისი შემოქმედით, „მაღალსატრული, ღრმავარდანი, პირველხარისხისი...“ სპექტაკლი არა გვაქვს, უკვე აქითობა, რომ ვიცავი მერყევი პოზიციებს, შელახულ პრინციპებს, თავისთავად სტილის უკონლობას. უფრო სწორად, დავიღავ ეგვიტობი მათ. სხვაგვარად წარმოუდგენელია. ეთერ გალუსტოვა აღიარებს მწარე სინამდვილეს, რომ „ხანუმა“ და „ძველი ვოდევილების“ მაყურებელმა მართლაც მოსთხოვა კიდევ ერთხელ დაუმოთხეთ მათის, რომ მის „ნება-სურვილზე“ ეთამაშოთ. რადგანაც საკმაოდ საგანი ამ ორი სპექტაკლით არ ამოიწურება, მომდევნო წერილში აუცილებლობად მესახება იმ იაფფასიანი სცენების და მიზანსცენების ნაკადი განვიხილო, რომელიც საკამათო სპექტაკლების აშკარა გამოძახილთ ნიაწყვდა სცენას.

თეატრისა და მაყურებლის ურთიერთშემოქმედების პროცესს თავისი შინაგანი ლოგიკა აქვს. ინფორმაციების ზედამართული სიუჟეტით საკითხის არსს ვერ ჩავალწევთ. ანშლაკური მონაცემებით ძალიან ადვილია „ხანუმა“ და „ძველი ვოდევილების“ დაცვა, თუ მათ აზგვარი დაცვა სჭირდება. მაგრამ რატომ არ ვასახებთ არსებით დებულებებს, არსებობს არა ჩემი წერილობითი, არამედ თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის ცხოველყოფილ პრაქტიკისათვის. ხომ უნდა დავქვემდებაროთ ამ პრობლემისათვის აუცილებელ რგოლებს. ერთ-ერთი რგოლი კი ასეთია:

„საგანგაშო უფრო მეტად ის კი არ არის, როგორი მოვიდა მაყურებელი გარედან თეატრში, არამედ ის, თუ როგორი მიდის იგი თეატრიდან. შინაგანად განიწმინდა თუ გაულრმავდა ის ზურღლობა, სიმსუბუქე, რომელიც თეატრის კარებამდე მოჰყავს“.

დღეს კი დაუფრავად (ეს სიღებმა აშკარად აქვს ეთერ გალუსტოვას წერილს) ვაღიარებთ, რომ „სარეპერტუარი გზას“ აზგვარი სპექტაკლები განსაზღვრავენ. რაც არსებითად სწორია! და შეიძლება დამევიდებოთ ევკერიოთ ამ პროცესს? ასეთი დაღმატულ თეატრზე ჩვენი წარმოდგენა? გავისცენი თნი ფედერიკო გარსია ლორკას სიტყვები:

„თეატრი ერთ-ერთი ყველაზე ბასრი და ქმედითი იარაღია ქვეყნის მშენებლობაში. იგი ბარომეტრია — ერის აღმავლობის თუ დაქვემდებარების მაკუწებელი ჭკმაბერი თეატრს, მართალ გზას რომ მიავლი ყველა ვარსი — ტრაველიდიან ვოდევილამდე — შეუძლია მოკლდ დროში აამადლოს ხალხის სული, ხოლო ზნერელე, გამოფიტულ თეატრს, ღორის ჩლიქები რომ ამჯობინ ვერთებს, შეუძლია დაამალუროს მთელი ერის მხატვრული გემოვნება, მივლემარე გაულრმავობაში ჩასძობს იგი. თუ



ხალხი არ ზრუნავს თავის თეატრზე, არ სასწრაფოდებს მას — ეს ხალხი კვდება ამ უკვე მკვდარზე“.

მიჯაჭვებით ყურადღება, რომ გარსია ლორკა ყველა ენაწრის აღრიძინებას უსასაგის თეატრის მიზნად. თანაც ვოლდეგილი კი არ არის მისთვის თეატრალური მაქონციემის განმსაზღვრელი. ტრაგედია, დრამა, კომედია, — ესენი იგულისხმება ვოდეგილი-მდე. ისინი უნდა ჰყავდნენ პირველ რიგში. სულიერ ცხოვრებას ისინი უნდა ახსარდობდნენ თავდაპირველად. მათთან ვოლდეგილიც უნდა ედებოდა. მათთან ერთად და არა პირველ რიგში (ჩვენ ხომ ვეუბნებით ფაქტურად ვოდეგილის პირველობას, თანაც სად? აკადემიური თეატრების კედლებში, ვეუბნებით მისი მაცურებლის კაპრიზებს, დინებს, არ ვუჭვავართ დარღვეულ ხვედრით წიხაზე). ასეთია მოკამათის მოთავარი აზრი.

გარსია ლორკას სიტყვებით ცნობილი კრიტიკოსის აკაკი ბაქრაძის წერილიდან მოვიტანე. აკაკი ბაქრაძე ამჟამად რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს უდგას სათავეში მართლაც სავალაოდ იქნებოდა მდგომარეობა, თვით თეატრის შემოქმედელი კოლექტივის პოზიციაც რომ არ ილანდებოდეს აკაკი ბაქრაძის წერილში („მეტე პრინციპულობა“, „საბჭოთა ხელოვნება“ 1974 წ., №2). აკაკი ბაქრაძე ვულისტყვილია თეატრის შესახებ, რომ იაფუბრაძის სპექტაკლების დამგმვას თეატრის თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული გვემები იწვევს უმეტესად. მაგრამ სასამიგობოა, რომ თვით შემოქმედებითი კოლექტივი შინაგანად სრულგობიდაც არ მივალბებ სურთავისა. და, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად, უამრავი მოქმედი მიზნის გამო სრულყოფილად ვერ ხორციელდება თეატრის ჭეშმარიტი მოწოდება, თეორიულად ეს გვევა ჭეშმარიტი ხელოვნების არსს გაცლის ხმობს და აკაკი ბაქრაძის სიტყვებში თეატრის პოზიციაც ნათლად გამოსჭვივის: „სამწუხაროდ, თეატრის არსში ჩაუხვდავი ადამიანებისათვის მაცურებლის პოზიციად ასე დგას: დადის ხალხი თეატრში, მაშასადამე, ფინანსური გვევა სრულდება, ე. ი. თეატრი კარგად მუშაობს. არ დადის ხალხი, მაშასადამე, ფინანსური გვევა არ სრულდება, ე. ი. თეატრი ცუდად მუშაობს. თუ ამ ვოლენტიარულ არითმეტკის დროებით დავივიწყებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მაცურებლის პრიბოლმა უპირველესად სწორად შემოქმედებას უკავშირდება“: სხვა ადგილას იმავე წერილში აკაკი ბაქრაძე წერს: „გვემების თვალსაზრისით ერთნაირად ფასობს „სამანნიფილის დედინაცვალი“ და „ჩვენი მელიდები“. სულიერი თვალსაზრისით კი ისინი დაუთინებელი მტრები არიან. რამეთუ პირველი ხელოვნებაა, მეორე კი — სურთავია“. ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

ჩემთვის აუხსენია, ბელნისკის სიტყვების სრული იმოწმებს ოპონენტს სტატის დასასრულს. განა დიდი კრიტიკოსის ამ ციტატადინ სწორედ ის აზრი არ უნდა გამოვიტანოთ, რომ მაცურებლის აღსაზრდელად თვით მაცურებლის და თეატრის მხრივ დიდი შრომა დასასაზრავი? დიდი შრომა დასასაზრავი, რომ „საკუთარ არსებამი“ მშენიერების გრძნობა განავითარო, რადგან ამის გარეშე „ხელოვნებას ვერავინ ეზიარება“. და როგორ უნდა განავითაროთ ეს გრძნობა თუ აკადემიურ თეატრშიც არ მოიხიბოთ მაცურებელს „ჟინიანი ლტოლვა“, „შრომა“, თუ აქაც მზამაზარული, გასართობი სახანაბო შევადგებთ და ღლაბუქს მივარჩევთ. თუ აქაც მის ნებაზე გარდაეჭვებით რეპერტუარი, თუ „ხანუმა“ გავრძელებ

ბები ვერცხვ და განვასოროცილო, თუ პრესამი მხარი შეჭრით ვიხილ მაცურებელს, რომელიც სხვა სპექტაკლზე არ შედის „ქუდიც რომ შეუვდით“. როგორ უნდა განვეუთხოთ მაცურებელს „მშენიერების გრძნობა“, თუ მკაცრად განსაზღვრული შემოქმედებითი პრინციპებით არ შევქმენით სტილი თეატრის!

ოპონენტს სამართლიანად შეზინებას, რომ აღზრდა მივლი კომპლექსია და ეს აღზრდა ოჯახიდან, სკოლიდან უნდა იწყებოდეს. ნიმუშად მოყავს ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მისაბაძი ლონისძიბანი, რაც თავისთავად ანგარიშგასაწვეია. მაგრამ პირველ რიგში, თვით თეატრმა არ უნდა დაუშვას თავის კედლებში ისეთი სპექტაკლი, რომელიც იაფუბრაძისა პულაბრით არასასურველ მიმართულებას მოახვევს თავზე. ისე გამოდის, თითქოს, „იდეალური“ მაცურებელი თეატრში მისვლამდე უნდა გავზარდოთ არსად არ ხდება ასე. თეატრი ვერ დაელოდება ასეთ ოქრის ხანას, იდეალური მაცურებლის თაობებს.

მხოლოდ და მხოლოდ მტკიცე პოზიცია და მტკიცე შემოქმედებითი პრინციპები, თვისთავადი სტილი და თვითმყოფობა არის თეატრის დინამული არსებობის გარანტია. გარეშე მიხეზები ან ხელს უწყობს მათ განვითარებას ან ხელს უშლის. ამიტომ არ შეიძლება შევევოთ „ხანუმა“ და „ველი ვოდეგილების“ მაცურებელთა კაპრიზებს, არ შეიძლება მათ „ნება-საუთილზე“ ითამაშოს თეატრმა.

2. ფანტაზიის დასაცავად

თავისი ზოგადი მსჯელობებით ნათელა ურუშაძე, რა თქმა უნდა, არ უპირისპირდება ფანტაზიის თავისუფლებას, შემოქმედებითი რისკს, სიხალის გრძნობას („რისთვის მიდის მაცურებელი თეატრში“, „საბჭოთა ხელოვნება“ №7, 1974 წ.). მაგრამ ზოგიერთი კონკრეტული ხელოვნების ნიმუში (ამ შემთხვევაში სპექტაკლები), „ზღუდემშობილი“ თავისუფლების გამო, მიაჩნია სკენის ხელოვნების ფუნქციური კანონის დარღვევად. წერილის ამ ძირითადი აზრის გამოაკვეთა ავტორს სჭირდება და მიმართავს ხშირ ექსკურსს, რომლითაც მკითხველს შეასხენებს ცნობილ ჭეშმარიტებებს რეჟისორზე, მსახიობზე, დრამატურგაზე. ოპონენტის მსჯელობის თეორიული ნაწილი სასებით გასაზიარებელია, თანაც გამოთქმულია მკაფიოდ, ლაკონურად, შთამბეჭდავად. თეორიული მსჯელობის ზოგიერთი აზრი სხვადასხვა ფორმით რამდენჯერმე მეორდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ავტორი საგანგებოდ მიმართავს ამ განმეორებას.

ოპონენტი ლტერატურული მასალისადმი რეჟისორის თავისუფალი დამოკიდებულების ფორმებს აცხადებს სადავოდ და ამ კუთხიდან თითქოს გამართლებულია ის ფაქტი, რომ „ყვარყვარე“ და „ხანუმა“ ერთ სიბრტყეზე მოექცა. ორივე სპექტაკლი ეკუთვნის რეჟისორ რობერტ ტტურუას. ჩემთვის არა მარტო საკამათო, არამედ არსებითად მიუღებელია ნათელა ურუშაძის შესხედლებები „ყვარყვარეზე“ და ამასთან ოპონენტის პოზიციაც „ყვარყვარე თუთაბრის“ ახლებური გადაწყვეტისადმი რუსთაველის თეატრში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ ნახსენები თეორიული მსჯელობები არც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, არც თეატრალური ხელოვნების კანონია სრული დახასიათება. ზოგადი

მსჯელობის წიაღში ნათელა ურუშაძის მხედველობის გარეშე რჩება ის პირობითობა, რომელიც ყოველნაირად ამართლებს (მისგან „ხელდაწმინდვით“ თავისუფლად გამოცხადებულ) რეჟისორის სიახლეს გრძობას, ძიების წყურვილს, თვით ლიტერატურული მასალისადმი დამოკიდებულების რისკსაც. ამართლებს მამინაც, როდესაც ეს სიახლეს გრძობა და ძიების წყურვილს წარბაზებს ზემოთის შესანიშნავ სექტაკლში და გამართლებდა მამინაც, თუ რეჟისორს უბრალოდ ბედი არ გაუღივებდა და სექტაკლი „ყვარყვარ“ უფურცლი გამოვიდოდა. აქ სწორედ პრინციპია თავდაპირველად სადავო: აქვე თუ არა უფლება რეჟისორს თავისუფლად მოეკიდოს ლიტერატურულ მასალას და დაუქვემდებაროს იგი თეატრის არსებით სავანს — სექტაკლის დედააზრს? მთავრული მომეტევებს, აღბანა, თუ მეუ თეატრალური ხელოვნების ცნობილი ქემპარტიტების ვარიანება დამჭირდება საკვანის საკანთან დაკავშირებით.

ლიტერატურული მასალისადმი თავისუფალი დამოკიდებულება არ გულისხმობს თავდაპირველი წყაროს უპატეცემულობას. თუ უნდავეს შემოხვევაში დამდგმული რეჟისორები ერთგულად მისდევდნენ და მიხედვენ კლასიკური ნაწარმოების ტექსტს, ეს არ ნიშნავს რაღაც უნივერსალური კანონის არსებობას, რომლის ძალითაც გამოირცხვლება იმ კლასიკური ნაწარმოებებისადმი რეჟისორის თავისუფალი დამოკიდებულება. თეატრის ისტორიამ არაერთი მაგალითი იცის მაძიებელი რეჟისორების ამ თავისუფალი დამოკიდებულებისა, რაც, მიუხედავად იმისა, მაინც ფაქტია და მისი მიზნევა სცენის ხელოვნების ფუძისეული კანონის დარღვევად გაუმართლებელიცაა და აუხსნელიც. თვართში სექტაკალი მთავარი — თეატრის ნაწარმოები ის არის! სექტაკლის დედააზრს უნდა დაემორჩილოს ყველა კომპონენტი, მათ შორის დრამატურგაც. ეს ყველაფერი კარგად არის ცნობილი ნათელა ურუშაძისთვის. თეატრის ისტორიის კარგმა მცოდნემ ისიც იცნა, რომ დღეს თეატრული ფორმების მონაცვლეობა არნახსად მასტახის იქნის, რომ ირდევვა ტრადიციული მხედველობების უღივანესი იქნის, მკვიდრდება ახალი გააზრება და ყველაფერი ეს ხდება სწორედ შემოქმედებითი თავისუფლების ხარჯზე, ფანტაზიაზე დაწობით. თეატრისათვის მუდამ ნიშანდობლივი იყო ასეთი პროცესები. ჩვენი დრო უფრო ინტენსიურად მიმართავს თეოსორივი ცვლილებების ცხოველყოფილ პროცესს და, ამდენად, უფრო გაოცებს იწვევს ოპონენტის დაყინებლი აქცენტული ლიტერატურული მასალისადმი რეჟისორის თავისუფალი დამოკიდებულებაც. როგორც ჩანს, ვივიწყებთ, რომ ქართული თეატრის საუკეთესო წარმომადგენლები მიმართავდნენ სექტაკლის დედააზრისადმი ტექსტის დამორჩილებას. ამ დამოკიდებულებას ხან ხორცი შეუსხან უხალხო სექტაკალით, ხანაც ვერ გაუმართლებია თეატრის შემოქმედებითი კოლექტივისათვის. მაგრამ განა ცოტაა მაგალითი, როცა ტექსტისადმი ფანტაკური ერთგულებას ვერ გადაურჩენია სექტაკლი ჩავარდნისკენ? მაგრამ მთავარი და დამაფიქრებელი სულ სხვაა.

ჩვენი ტრადიციის შეურაცხყოფად, კლასიკური ნაწარმოებებისადმი უპატეცემულობად, თვით სცენის ფუძისეული კანონის ხელყოფად ითვლება რეჟისორის უბრალო სურვილი ახლებურად წაიკიბოს ნაწარმოები, შემოქმედებითი რისკით გამოიყენოს დღემდე ჩვენივე ნაკლებად ცნობილი თეატრალური ფორმები. რეჟისორ რობერტ სტურუას სექტაკლში

მომხილავია სწორედ ლიტერატურული მასალისადმი თამარ/დამოკიდებულება. ოღონდ ეს თამარი დამოკიდებულება მინურა კი არ არის, არამედ მოტივირებული სექტაკლის დედააზრით. მომხილავია ამ თამარი დამოკიდებულების მაიმორბეველი პირობაც — ცდა ახალი საწარმოო სტილის შემუშავებისა: რეჟისორი, დიხაპე, ესწრაფვის თავისთავად შემოქმედებას; ამასთან თანამედროვე თეატრის კუთვნი მიღწევათა გაზიარება-გათავისებას, ესწრაფვის საუკეთესო დონეს. ძიება არა მარტო რობერტ სტურუას, არამედ ყველა თანამედროვე რეჟისორს ავალეს სიახლეს გრძობას. ამდენად გასაკვირია, ნათელა ურუშაძისა და სხვთა ოპიონია „ყვარყვარსადმი“.

ვიწყებს ხო რეჟისორისა და, საერთოდ, თეატრის უფლებას, იყოს თავისუფალი დრამატურგის მიმართ (გარკვეულ „ხელდაწმინდა“), ნათელა ურუშაძე არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმ ფაქტს, რომ სექტაკლმა „ყვარყვარემ“ გამიარჯვა შედგენა გამართლად რეჟისორის ფანტაკის თავისუფლებაც აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „ყვარყვარს“ გამარჯვების რულებითაც არ არის „ხანუმას“ წარმატების ტოლფასა. „ხანუმაზე“ მე ჩემი აზრი გარკვევით გამოვხატე ზემოთ. აქ უბრალოდ ხაზგასმით უნდა იქნეს, რომ „ყვარყვარს“ რთული, ტვივრად და მრავალმნიშვნილი სათქმელი უთუოდ შეურაცხყოფილია „ხანუმასთან“ გათანაბრებით.

ნათელა ურუშაძე თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს სექტაკლის საცარ შინაგან მთლიანობას (იგი გუნტურობას თვლის სექტაკლის წარმატების მიზეზად) და საკამათოდ ხდის ლიტერატურული პირველწყაროსადმი რეჟისორის თავისუფალი დამოკიდებულებას. მას მიანიჭა, რომ რეჟისორმა დაიწყო პოლიკარბე კაკაბაძის პიესის დედააზრის „გაუკვირდა მაყურებელს — მან ხომ იცის, რომ მწერლის ნაწარმოები იმ დედაზე აღმოცენებული, რომელიც ამ მწერალს ავლებდნენ. იცის, რომ მწერალმა საკუთარი აზრის სათქმელად შეუძნა ნაწარმოები და ყველაფერი, ყველა მოქმედი პიერის სიტყვაც, ყველა მოვლენა და ამავე, ყველა დეტალი, მთლი სიტყვიერი ქსოვილი მის დაუქვან სამსახურად. ვინ არ იცის, რომ ნაწარმოებში ყველაფერი დედააზრადან აღმოცენდება. იმტომაც უწოდება მას ანა უბრალოდ აზრი, არამედ აზრი — დედა, ანუ მშობელი ნაწარმოებისა. მამასადემ, თუ პიესის დედააზრი რადიკალურად შეიცვალა, თუნდაც უბრწვენილად სხვა აზრით, — ნაწარმოები დინგერევა, საძიებელი გამოცვლება.

რუსთაველის თეატრს მთავარეს მიზნად პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუბატრის“ სიღრმეთა ველომა და ატორისეული სამყაროს სცენური ამონახს რომ არ დაუსახავს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მან სათაური შეუცვალა პიესას.

ამჯერად არ მიგმართავ „ლიტერატურის კრიტიკოსების“ (ასე ვიწოდებდნენ ოპონენტს) — გ. მარველას კრიტიკის, თ. ბიბი-ვილი და ჩემი წერილების დებულებათა ციტირებას იმის საილუსტრაციად, რომ რეჟისორ რობერტ სტურუას საძირკველი არ გამოუღვია „ყვარყვარე თუთაბატრისთვის“, რომ რეჟისორი ძიებს წყურვილმა, პოლიკარბე კაკაბაძის დიდებულ პიესის სცენურად გააზრებას თანამედროვეობის ასპექტში მუხნებრივად მიიყვანა პიესის ჩარჩოების გაფართოებამდე პოლიკარბე კაკაბაძისვე იდეის განვითარების გზით.

მაგრამ სანამ ლიტერატურისა და თეატრული კრიტიკოსების ხელოვნურ დიფერენციალზე ვსაუბრობ რაბის, ოპონენტს უნდა შევასწავო „საბჭოთა ხელოვნების“ იმავე ნომერ-



ში გამოქვეყნებული მშპბრპლპი პრინციპის ნოდარ გურაბანიძის აზრი.

ნოდარ გურაბანიძე საგანგებოდ ეხება ლიტერატურული პირველწყაროსადმი რეჟისორის დამოკიდებულებას და დიალექტალურად განსხვავებულ შეხედულებას გამოთქვამს: „სექტაკლი სულ სხვა ესთეტიკურ პრინციპებსა აგებულ, ვიდრე პიესა, ვიტყვი, სხვა თეატრის პრინციპებს — ვიდრე „ი. კაკაბაძის თეატრია“. მაგრამ მთავარი სხვაა. არის თუ არა თეატრი ერთული? პ. კაკაბაძის პიესის არსის, მისი ძირითადი პათოსის, მისი იდეური მიმართულების? ანკარაა, რომ ფორმის თვალსაზრისით ფაქტიურად სხვადასხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მასადაამე. რჩება არის გარკვევა და ამის კვალად ის, თუ რამდენად შესაძლო თეატრში ამ განსხვავებულ ფორმის მისი განმარტება. თუ ჩვეულებრივად დავაყვარებთ პ. კაკაბაძის ამ პიესას, შევინწავთ ერთ გარემოებას — რაც უფრო ვითარდება მოქმედება, მით უფრო ზოგად ხასიათს იღებს ყვარყვარე. თვით პიესა, პირველი მოქმედებისაგან განსხვავებით, თავისუფლდება ყოფის დეტალებისაგან და ასევე ზოგადობისაკენ მიილტვის. ყვარყვარე იქცევა ტიპად იმ უხეიო კაცისა, რომელიც სარგებლობს ისტორიის ქარტიულიზმის გაშვებატანებული არეულობით და საზოგადოებრივ ცხოვრების ზედაპირზე ამოტყვივდება. პირველ ხანებში იგი უნებური „მსხვერპლია“ შექმნილი მფგომარეობის, მაგრამ მალე შეიცნობს თავის ძალს და საზოგადოების შესაჭის როლს იკისრებს. აქ ძვეს მისი უხეიობის სათავე საკულტურული ცხოვრებით იგი უხეიობას სჩადის და ნაცარქექიას ნიღაბს (თუმცა სულს სიღრმეში ბოლომდე ნაცარქექიად რჩება) სცვლის ხალხზე მზრუნველი კაცის ნიღობით. ეს არის მთავარი პ. კაკაბაძის ამ პიესაში. მე გვიჩინე, ის, ვისაც სექტაკლი აქვს ნახსი, დამთავანხმება, რომ თეატრი ამ პრინციპში მშპბრპლ (დაყოფა ავტორისა — ჯ. დ.) პ. კაკაბაძის დრამატურების ერთ-ბუნაა.“

არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, ითქვას ნოდარ გურაბანიძის ავტორიტეტს ვახვედვ თავს ოპონენტს. შინაგანად ნათელა ურუშძისა და ნოდარ გურაბანიძის აზრები ამ საკითხზე, როგორც ვხედავთ, აბსოლუტურად განსხვავებულია. ნოდარ გურაბანიძის აქ ციტირებული მოსაზრებები იმიტომ არის საინტერესო, რომ მათში ამოწურავადაა ახსნილი ლიტერატურული მასალისადმი რეჟისორის კეთილხანდისიერი დამოკიდებულების არსი. ჩემი აზრით, ეს ანალოგი შეუვალაინარაი „ლიტერატურის კრიტიკოსების“ დასკვნებას ნაყოფი ენდობა. მობაქერეს კიდევ მინდა ერთი ადგილი მოვაგონო ნოდარ გურაბანიძის წერილიდან. ამ ადგილში ფაქტიურად განვითარებულია ზემოთ მოტანილი ციტატის დედაზარი:

„ეს ენერგიული, გონამახებელი, ათას ჭირში გამოვლილი კაცი (ყვარყვარე) ყოველ ვითარებაში გარდასახვის განსაკვირვებელ უნარს ავლენს და ყოველი მფგომარეობიდან გამოსავლს ავიღლად ბოულობს ფერისცვალების ამ ნიჭის წყალობით. სექტაკლის ავტორმა პ. კაკაბაძის შემოქმედების ამ ერთ-ერთი ძირითად მოტივს მიაპყრო თავიანი ყურადღება და მან თითქმის ჯერ ერთ მწკრივში დააყენა ყვარყვარეს მსგავსი პერსონაჟები. ხოლო შემდეგ შეჯჯგუდა ყვარყვარეში გაყვრილიან, რათა შექმნას მთლიანი თემა „ყვარყვარე-მისა“. ასე გადაიქცა თვით პ. კაკაბაძის დახმარებით ნაცარქექია ყვარყვარე თუთაბერი — ყმარყმარედ, შემკრებლობით ტიპად, მრავალი ნიღობიდან ერთ ნიღობად, ვინაიდან თვად ყვარყვარე თუთაბერის ნიღაბი თავისი ტევალობით მასში და-

ფარული განზოგადების ტენდენციით ამის საშუალებას უღელდა.“

თუ არა ავტორის ხასხასმა ერთ სიტყვაზე ამ ტექსტში, საგანგებოდ გამოყოფილი ბოლო წინადადებას, რადგან იგი აბსოლუტური სინუსებით წარმოაჩენს რეჟისორის ჯანსაღ, უღრმესი პატივისცემის გამოხატულ დამოკიდებულებას პ. კაკაბაძის დრამატურებისადმი. ამ დრამატურების არ შეიძლება მოწიწებით არ უხრიდეს ქედს მაძიებელი რეჟისორი, რადგან მან მისცა საშუალება თავისებურად განვეითარებინათ თეატრალური ფორმები. „ყვარყვარე თუთაბერის“ დედაზარი. სწორედ მიდარმა პიესისეულმა ფანტაზიამ მოიხრგო „არტურული“ პარალელი, შეიწოვა და გაითავისა იგი პიესისეულმა ფანტაზიამ უბიძგა, თავის შხრივ, რეჟისორის ფანტაზიის თავისუფლად მოქმედობა ტექსტის ქსოვილის, გადაადგილებების დიალოგები და შემოტანა სხვა პიესებიდან ორგანულად მასწავლებელი ტექსტები. მთავარია, რომ უცვლელი რჩებოდეს „ყვარყვარე თუთაბერის“ არსი. „მასში დაფარული განზოგადების ტენდენცია“ სწორედ ის მაღლი, რომელმაც საშუალება უნდა მისცეს ამა თუ იმ რეჟისორს ფანტაზიის გასაშლელად და იგივე მაღლი არის სიცოცხლისუნარიანობა ე. წ. „უკვდავება“ ყოველი დრამატურული ნაწარმოებისა. „განზოგადების“ ამ „ტენდენციამ“ უნდა დაასაბუთოს პიესის მუდმივი თანადროულობა, ახალ სცენურ ფორმებთან „შეხვედლობა“. „ყვარყვარე თუთაბერის“ ყოველი წაკითხვა მომავალში იმ „განზოგადების ტენდენციის“ ახლებური სცენური ფორმებით გადაწყვეტას უნდა ვერდობოდეს, სხვაგვარი გააზრება კონსერვატიულ დოგმებს განაჩნავლებს. ჩემი, წინასწარ ჩარჩობაში მოქცეული, შეხედულება „ყვარყვარე თუთაბერის“ წარმოდგენაზე ჩვენდაუნებურად იქცევა პ. კაკაბაძის დრამატურებისადმი უპატივცემულობად.

ამ სექტაკლის მთლიანობის არსი „ლიტერატურულ საქათველობის“ შარწში ისე გავანალიზე, როგორც მესმოდა. ასევე ააანალიზე იგი გ. მარგალიტისაგან, თ. ბიბულაძისა და რ. ჯაჩილიძის თაიანი წერილებში. იქნებ სექტაკლის სცენებს სხვადასხვაგვარად ვახსათებოდით, მაგრამ „ყვარყვარეს“ დედაზარი და შინაგანი მთლიანობა არავის გაუხადია საკამათოად. ასევე არ ვაღვლია ეს მთლიანობა საკამათოდ თეატრალურ კრიტიკის ნოდარ გურაბანიძის. მაგრამ ოპონენტთან კამათის ლოკია მოითხოვს, კიდევ ერთხელ გავიმეორო სექტაკლის, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოების მთლიანობაზე თქმული და დავიწინო, რომ „ყვარყვარეს“ თავისი შინაგანი კანონები აქვს, თავისი ესთეტიკური პრინციპები და მის სისუსტე-სიძლიერეზე ამ შინაგანი კანონებისა და ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით უნდა ვიმსჯელოთ. არავითარი შემთხვევაში არ შეიძლება (აქ უკვე სრულ უფლებას ვიტოვებ, მკვეთრად და კატეგორიულად გამოთქვა ჩემი აზრი) ზოგადი კანონებით, პ. კაკაბაძის პიესაზე ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული, უცვლელი შეხედულებების ჩარჩოთი მივივდეთ რ. სტურუას სექტაკლის არქიტექტონიკას და, რაკი ვერ მოვარგებთ იმ ჩარჩოს, რეჟისორის ნამუშევარი მკვის ქვეშ დავაყენოთ. დასაწყისიდან დასასრულიმდე ყოველი მიზანსცენა სექტაკლის დედაზარს გათავისებრ ემსახურება. ხოლო ეს დედაზარი „არსებით მომეტეშა“, როგორც ვნახეთ, სულაც არ არის პ. კაკაბაძის პიესის იდეის დამახინჯება. პირიქით, მისი ახლებური გააზრებაა.

საქტაკალის შინაგანი მთლიანობა დასტურდება ყოველი დეტალით, შინაარსიანი ქვეტექსტებით, და რეჟისორის ნამუშევარი თუ არ მოგვწონს, მაშინ ამ დეტალებისა და საქტაკალის საერთო არქიტექტონიკა უნდა გავაანალიზოთ. უნდა დავასაბუთოთ სწორედ საქტაკალის შინაგანი კანონებისათვის და ესთეტიკური პრინციპებისათვის რა არის ზედმეტი, ალოგიკური. უნდა დავასაბუთოთ, საქტაკალის საოცარი დინამიზმი მართლაც მოჩვენებითია და ზედაპირული, თუ ორმა აზრის ელასტიკური სცენური ფორმებით გამოსახვა არეგულირებს ამ რიტმს. „ყვარყვარეს“ არქიტექტონიკის დეტალური ანალიზი სწორედ მის ცხოველყოფილ ესთეტიკურ ღრმებულებას ასაბუთებს. ამ არქიტექტონიკის ვრცელ ანალიზს საჭიროებდნენ თვლის ნათელა ურუშაძე, ამიტომაც სცემების მიერ ანალიზის შემდეგ გამოტანილი დასკვნა სასობით წერილად მიაჩნია. მინდა შევასწნო ოპონენტს ერთი ჭეშმარიტება: პოზიტიურ შეფასებასა და სახობტო წერილს შორის დიდი განსხვავებაა. როდესაც წერილის ავტორი არგუმენტირებული, გამოწვეილვითი განხილვის შემდეგ აყვავებს დადებითად ამა თუ იმ ნაწარმოებს, ეს მისი შეუკარ, პრინციპული აზრია. ასეთ აზრს უფლება აქვს პოზიტიურ შეფასებად რჩეულიყოს. სასობტო წერილი „საგანგებოდ“ იყრება ხოლმე და ავტორი, თავისი გემოვნების საწინააღმდეგოდ, ზედაპირულად და ზერღულად აქებს ნაწარმოებს. თუ ჩვენს „სახობტო“ წერილებში ოპონენტმა ეს ზედაპირულობა და ზერღულად დაინახა, ანალიზითვე უნდა დამტკიცებინა თავისი შეხედულება. ასე რომ, არც შე და არც სხვას, ვინც „ყვარყვარეს“ დეტალური ანალიზი მიუძღვნა, არ შეგვიღია შეგვივით ნათელა ურუშაძის ეპითეტს. ჩვენ ხობტა კი არ წვევსთვს „ყვარყვარისთვის“, სულია და გულით მივვასლმეთ კარგი საქტაკალის შექმნას მას შემდეგ, რაც დავასაბუთოთ მისი სიმშენიერება არსი. ასევე თეატრალურმა კრიტიკოსმა (ნინო გურაბანიძემ) დეტალური ანალიზის შემდეგ გამოხატა თავისი პოზიტიური დამოკიდებულება საქტაკალისადმი. გამოდის, რომ მის წერილსაც სახობტო უნდა მივუბრინოთ ეპითეტად, რაკი ჩვენი გემოვნებისა და საწინააღმდეგოდ სრულებითაც არ არის ნეგატიური აზრის.

ვერ დავთანხმებთ ოპონენტს, თითქმის საქტაკალის პერსონაჟებს ნიადაგი გამოვცალათ და ერთეული ხასიათები დაკარგვის. ნუთუ „ტექსტურალური უსოფლის ის სიტყვები მიგაჩნია, მართლაც, ქართველობის ჟუსყარ საბუთად, ნუთუ ერთეული ნიშნები მეტყველების ამ კუთხურ ფორმებამდე დავეყვავს. ერთეული ბუნება სულიერი ცხოვრების სტრუქტურასეა დამოკიდებული, ხოლო ქართველი დაამიანის სულიერი ცხოვრება ჩვენს წარმოდგენაში რატომ არის ასე გამარტკივებული, ვითომ რატომ ვერ უთავსდება ჩვენი ერთეული ბუნება გრძნობათა და აზრთა განზოგადების ხარისხს, რად ვერ იფუხვა ყვარყვარისში გაფართოებულ არნახ?

საკითხი თავისთავად ნათელია და არ გავაჭრძვლებ მასზე საუბარს, მაგრამ უნდა შევნიშნო მოპაქერს, რომ თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკოსების დიფერენცირება ერთი ბირობითაა. ამიტომ ნუ გავცივირდებთ, თუ „ლიტერატურის კრიტიკოსებმა“ სწორედ ლიტერატურის პირველყვაროს „ხელყოფა“ მოვიწინეთ. თეატრი და მწერლობა არასოდეს არ ყოფილა ისე შამაძრწუნებლად დამორტებული, როგორც თეატრალური და ლიტერატურის კრიტიკოსებია ერთმანეთს დამორტებული ჩვენს წარმოდგენებში

მის 1959 წლის 4 დეკემბერს ოცდაჩვიდმეტი წელი უნდა შესრულებოდა, მაგრამ ათიოდ დღით ადრე მოულოდნელად გამოთხოვა სიცოცხლის თუმცა, გამოთხოვებაც ადრ დასცალდა... მხოლოდ რამდენიმე დამიანმა — ექიმებმა და მისმა ერთგულმა მეუღლემ — ერთი თვით ადრე იცოდა, რომ იგი უკანონებლმა სენმა შეიპყრო და განყირული იყო...

მართლაც, მოულოდნელი უფრო ეთქმის მის წასვლას, ვიდრე უღროდ გარდაცვალება, რადგან მარად სიჭაბუკის სიმბოლოდ ქვეული ისეთი შემოქმედისათვის, როგორც ვერას ფილიპი იყო, არ არსებობს დროით შეზღუდულობა. გამოჩენილი რუსი კინორეჟისორი სერგეი იუტკევიჩი სწორად შენიშნავს, რომ ფერარ ფილიპმა ღირსეულად დამისახურა დიდი ფრანგი პოეტის ლუი არაგონის ეპიტოფად ქვეული სიტყვები:

„ოცდაჩვიდმეტი წლისა გამოთხოვნი სიცოცხლეს პუშკირი, აპოლინერი, მაიაკოვსკი, ოცდაჩვიდმეტი წლისა წავიდა ჩვენგან ფერარ ფილიპი. წავიდა, ვიდრე თავის თავს ადარ ემგვანებოდა...“

როდესაც კინზე, ლეკნზე, ფრედერიკ ლემეტრეზე და ტალმაზე ვფიქრობთ, უპირველესად ხანდაზმული სახეები გვაგონდება.

ფერარ ფილიპი კი თავისი წასვლის შემდეგ მხოლოდ გაზაფხულის სახეებს ტრეფბ...

ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში, ახალგაზრდა თაობამ ფერარის სიკვდილი უდიდეს დანაკლად, თავისი სიმწაწვილის დაუამებელ ტკივილად მიიჩნია.“

